მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
წლის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ. ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

- გადადგა რუმინეთის მთავრობა.
- ინგლისში 820.000 მუშას დათხოვით ემუქრებიან.
- სამხრეთ-სლავიაში გააძლიერეს მუშათა ორგანიზაციების დევნა.
- ჩან-ძო-ლინის შვილის ლი-ჩან-ლინის არმია ტიან-ცზინისაკენ მიიწევს.
- ინგლისის მიერ კანტონის ბლოკადის გამოცხადებამ მთელ ჩინეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია.
- ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე პარტიზანებმა მოქმედება განაახლეს.

კვირა, 28 თებერვალი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 47 (1502)

სამშაბათს, მარტის 2-ს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

ცაკის მდივანი ს. თოდრია

დღეს, კვირას 28 თებერვალს „კომუნისტი"-ს კანტორა ღია იქნება ხელისმოწერის მისაღებად

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

2—1

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენცია

გუშინ მკითხველი გაეცნობოდა პირველ სხდომის ანგარიშს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციისას, რომელიც 25 თებერვალს გაიხსნა პარიზში. როგორც ეტყობა, არა მარტო ჩვენ, არამედ საფრანგეთის პასუხისმგებელ და გონიერ წრეებს ესმით დაწყებულ მოლაპარაკების უდიდესი მნიშვნელობა.

სამი მთავარი მომენტი ახასიათებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ერთი მათგანია ვალების საკითხი. ყოფილ მეფის მთავრობას საფრანგეთისაგან აღებული ჰქონდა დიდძალი ვალი როგორც მსოფლიო ომამდე, ისე მის განმავლობაში. გაზ. „ტან"-ს თუ დაუჯერებთ, ამ ვალის ჯამი უდრის 17 მილიარდ ომის წინანდელ მარკას (6 მილიარდი ომიანობამდე აღებული, 11 მილიარდი კი ომის დროს). ეს, რა თქმა უნდა, საზღაპრო ციფრია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ნამდვილი ვალების ჯამი მაინც დიდია. საფრანგეთის ბურჟუაზია ამას კიდევ უმატებს ერთ მილიარდ მარკას—ფრანგ მოქალაქეთათვის ოქტომბრის რევოლიუციით მიყენებულ ზარალის ღირებულებას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი ანგარიშის წამოყენება ყველაზე ნაკლებად შეიძლება მხარეთა შეთანხმების საფუძვლად გახდეს. „ტან"-ის დებულებაზე, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა სცნოს ვალების გადახდის პრინციპი, არ ღირს შეგადახდის პრინციპები. არ ღირს შეჩერება. ამ თვალსაზრისზე დადგომა ნიშნავს კონფერენციის ჩაშლას, ვინაიდან ჩვენ ვერ ავიღებთ ხელს ოქტომბრის ერთ-ერთ ძირითად მონაპოვარზე, რომელიც მდგომარეობს მეფის ვალების გაუქმებაში და ამიტაც ხალხის განთავისუფლებაში უცხოეთის კაპიტალის მონობისაგან. ამასთან „ტან"-მა ჩვენზე ნაკლებ არ იცის, რომ მეფის ვალები უკვე გადახდილია რამოდენიმე მილიონ რუსეთის ხალხთა მოქალაქეების სისხლით მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის იმპერიალიზმის სასარგებლოდ, რომ არ ვილაპარაკოთ იმ ნივთიერ სარგებლის შესახებ, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიამ მიიღო ამ ვალებიდან. ესევე შეიძლება ითქვას ფრანგ კაპიტალისტების მიერ რუსეთში დაბანდებულ ქონებაზე,—ისიც კარგა ხანია ანაზღაურებული აქვთ მის მესაკუთრეთ.

აყენებს რა ზევით ხსენებულ „თამასუქებს", „ტან"-ს დაუშვებლად მიაჩნია ინტერვენციით საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების საკითხის დასმა. ეს ზარალი კი სამჯერ აღემატება საფრანგეთის ვალებს, და თუ ანგარიშებზე მიდგა საქმე, ჩვენ უფლებას ვერავინ წაგვართმევს გავიხსენოთ ჩვენი თამასუქებიც.

მაგრამ საკითხი დღეს ასე არ დგას, არც შეიძლება იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენციის გახსნაც მოუხერხებელი იქნებოდა. „ტან"-ის პოზიცია, ჩვენ ვფიქრობთ, არ არის საფრანგეთის მთავრობის პოზიცია. ამ გაზეთის პრეტენზიებს ალბად მიზნად აქვს რაც შეიძლება მეტი დათმობის გამოგლეჯა საბჭოთა მთავრობისაგან, რაც ჩვენს დელეგაციაზე ამ მხრივ, თავის-თავად იგულისხმება, არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს.

საფრანგეთის ხელმძღვანელები უფრო მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას იჩენენ. მაგ., ბრიანი ლაპარაკობს ფრანგ მოქალაქეების, განსაკუთრებით მათ ნაკლებად შეძლებულ წრეების ინტერესებზე, რომელნიც „რუსეთის დემოკრატიას არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს"-ო. საქმე ეხება ყ. რუსეთის ფასიან ქაღალდებს, რომელთა საგრძნობი ნაწილი თავმოყრილია, სხვათა შორის, ფრანგ წვრილ მესაკუთრეთა ხელში. საბჭოთა მთავრობა ამას ანგარიშს უწევს. მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს, რომ ასევე მხედველობაში იქნეს მიღებული პსიქოლოგია და ინტერესები საბჭოთა მშრომელების, რომელნიც ვერ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ მათ რაიმე უნდა გადაიხადონ მეფის ვალების ანგარიშში, მეფის, რომლის დამხობაზე მათ ამდენი მსხვერპლი გაიღეს.

მაგრამ მშვიდობიანობის განმტკიცების, საფრანგეთთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარების გულისათვის ჩვენ მზად ვართ ერთგვარ დათმობაზე წავიდეთ და ამ მხრივ, სრულებით არ უარვყოფთ რა ამავე დროს მეფის ვალების გადაუხდელობის პრინციპს. თუ როგორ უნდა მოხდეს შეთანხმება ამ საკითხის შესახებ, ამაზე უნდა გამოინახოს პრაქტიკული საშუალებები.

და აქ ჩვენს წინაშე იჩრება საფრანგეთის მიერ ჩვენთვის სესხის მოცემის და ჩვენ შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის საკითხი, რათა ამ გზით შეძლება მოგვეცეს მეურნეობის აღორძინების და იმ ვალდებულებათა უმტკივნეულოდ განაღდების, რომელთაც ვკისრებთ საფრანგეთის მიმართ. ესაა მეორე მომენტი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. ჩვენ რა კრედიტი გვესაჭიროება, ეს ყველამ იცის. საფრანგეთს შეუძლია ამ კრედიტის მოცემა, როგორც საქონლის, ისე ფულადი კრედიტის. საფრანგეთის მრეწველობა ძალიან გაიზარდა ბოლო წლებში, მისი პროდუქცია [illegible] საუკეთესო ბაზარს წარმოადგენს. ამასთან, მიუხედავად საფრანგეთის ფინანსიური კრიზისისა, რაც არის შედეგი მისი მთავრობის უხეირო ფინანსიური პოლიტიკის, ამ ქვეყნის ბანკებში, კაპიტალისტების ხელში, საკმაოდ დიდი თანხებია თავმოყრილი. მთავრობის გარანტიის ქვეშ ფრანგი ბანკირები ფულად სესხს მისცემენ საბჭოთა კავშირს.

მეორე მხრივ, გარდა ჩვენი ბაზრისა, საფრანგეთს ესაჭიროება საბჭოთა ნედლეული და ნახევრად ფაბრიკატები.

საფრანგეთის საქონლის და ფულადი სესხის მოცემით, ჩვენთან აღებ-მიცემობის განახლებით, საკმაო სარგებელს ნახავს პროცენტების და სხვა სახით. ამ მოგების ნაწილით მას შეუძლია რუსეთის ფასიან ქაღალდების მქონებელი წვრილი მესაკუთრენი დააკმაყოფილოს.

გარდა ამისა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას საფრანგეთს უკარნახებს პოლიტიკური ინტერესები, და ესაა მესამე მომენტი, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით. ეს მომენტი დღეს განსაკუთრებულ როლს თამაშობს. საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა ფრიად რთულია. ლოკარნოში ინგლისმა დიდი გამარჯვება მოიპოვა და საფრანგეთი თავის გავლენის ქვეშ მოაქცია, ინგლისი გახდა ევროპის ხელმძღვანელი და საფრანგეთს მეორეხარისხოვან სახელმწიფოს დონემდე ჩამოქვეითებას უქადის. ამავე დროს იგი ემუქრება მის კოლონიებს იტალიასთან ერთად. საფრანგეთი ცდილობს ინგლისის ბრჭყალებიდან თავის დაღწევას. ამ მიზნით, მან სხვათა შორის, შეკრა მეგობრული ხელშეკრულება ოსმალეთთან. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ინგლისის ძლიერების შესასუსტებლად საჭიროა, რომ საფრანგეთმა აღადგინოს ნორმალური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ჩემბერლენს ეს კარგად ესმის, და ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობს მოლაპარაკების ჩასაშლელად. ინგლისი სულ ბოლო დროს წავიდა საფრანგეთთან დათმობაზე ერთა ლიგის გაფართოების საკითხში; და შესაძლებელია ამას რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების საკითხთან.

მაგრამ, გვგონია, რომ საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები, რომელთაც კბილები გაშინჯული აქვთ კონსერვატიულ ინგლისის პოლიტიკისთვის, უკანასკნელის ანკესზე არ წამოეგებიან. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას გადაჭრით მოითხოვენ საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესები.

კონფერენცია მხოლოდ ეხლა გაიხსნა. იგი დიდხანს გასტანს, რადგან რთულია ის საკითხები, რომელთა განხილვა და გადაჭრა მას მოუხდება. ახლო მომავალში გამოირკვევა, თუ რამდენად საფუძვლიანად აქვთ შეგნებული საფრანგეთის მეთაურებს თავისი ქვეყნის ინტერესები.

როგორ ამცირებს ბალდვინის მთავრობა უმუშევრობას

გასაოცარი მათემატიკური წესით, ოფიციალური ცნობების მიხედვით, უმუშევართა რიცხვი ყოველკვირეულად კლებულობს ინგლისში. ამავე დროს გრძელდება წარმოების დაცემა. მაშ არავითარი შეთანხმება არ არსებობს ამ ორ მოვლენას შორის. წარმოების დაცემა ლოგიკურათ უნდა იწვევდეს უმუშევრობის გაძლიერებას და არა შემცირებას.

ცხადია ოფიციალური ცნობები სავსებით არ ეთანხმება სინამდვილეს.

უმუშევრობის სისტემატიური შემცირება — ეს მხოლოდ კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის თვალთმაქცობაა. უმუშევრობის შემცირების ყოველკვირეული ცნობებით იმას უნდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნას თითქო მწარმოებელი მუშაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდეს. მაგრამ წაგარეო ვაჭრობის ყოველკვირეული სტატისტიკა სრულიად არა ხელსაყრელ ცნობებს იძლევა ინგლისის წარმოებისთვის.

ხელისუფლების მოპოვების დღიდან კონსერვატიული მთავრობა სულ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება გააძლიეროს დევნა უმუშევრების წინააღმდეგ. მან სასტიკი განკარგულებანი მისცა შრომის ადგილობრივ ბიუროებს, რომ ყოველი საშუალებით შეამცირონ იმ უმუშევართა რიცხვი, რომელნიც დახმარებას იღებენ უმუშევართა დაზღვევის კანონის ძალით.

ამ მიზნის მისაღწევათ მართლა არ დაუზოგავთ არავითარი საშუალება. მაგალითად მაღაროს მუშები, რომელნიც არ დასთანხმდენ მეპატრონეების მიერ მოთხოვნილ ხელფასის დაკლებას, ლოკაუტ გამოცხადებული არიან. ისინი დაურიდებლათ ამოშლილნი არიან უმუშევართა ოფიციალურ სიიდან და ამიტომ არც იღებენ რაიმე დახმარებას, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველთვის წესიერად იხდიდენ თავიანთ დაზღვევის ხვედრ გადასახადს. ყველგან ათასობით აღნიშნავენ უმუშევრებს, რომელნიც არ მოქცეულან ოფიციალურ სიაში იმ მიზეზის გამო, რომ ისინი თითქო დაბეჯითებით ვერ ეძებდენ სამუშაოს. შრომის ბიუროს მოხელეები დახმარებისთვის მოსულ მუშებს სთხოვენ მეპატრონეების მოწმობას, რომ ისინი მართლა გამოცხადდენ სამუშაოთ და თავიანთ სურვილის წინააღმდეგ დარჩენ უმუშევრათ. **მაგრამ ამავე დროს ეს მოხელეები აფრთხილებენ მეპატრონეებს, რომ არასგზით არ მისცენ ასეთი მოწმობები.** ეს სამარცხვინო ზომა აიძულებს მუშებს, მასსიურათ მივიდენ ხოლმე ქარხანაში და თავიანთი მუშაობის მოთხოვნილება შეამოწმებინონ ტრედიუნიონების საბჭოების წევრებს. მხოლოდ ამგვარი საშუალებით ხდება შესაძლებელი ბრძოლა შრომის ბიუროს მოხელეებთან.

ზოგიერთ მუშებს კი ისეთ დაბალ ხელფასიან სამუშაოს შესთავაზებენ, რომ ნახევრადაც ვერ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, და თუ ის უარს იტყვის, დახმარების მიცემასაც უსპობენ.

ეს არის რამდენიმე მაგალითი უმუშევართა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა.

მიუხედავათ ასეთი საგანგებო ზომებისა, უმუშევრობა ბევრათ უფრო მეტია, ვიდრე 1924 წელში იყო ბალდვინის მთავრობის მოვლენამდის.

აი, ჩვენი აზრის დამამტკიცებელი ცხრილი:

	1924 წ.	1925 წ.	მომატება
თებერვალი	1.192.000	1.287.000	95.000
მარტი	1.095.000	1.249.000	154.000
აპრილი	1.087.000	1.251.000	164.000
მაისი	1.057.000	1.253.000	196.000
ივნისი	1.049.000	1.368.000	319.000
ივლისი	1.089.000	1.262.000	173.000
აგვისტო	1.191.000	1.418.000	227.000
სექტემბერი	1.243.000	1.401.000	154.000
ოქტომბერი	1.247.000	1.295.000	48.000

ეს არის ოფიციალური ცნობები. **ნამდვილათ კი უმუშევრობა ბევრათ უფრო ძლიერია.**

ალბათ დაგვეკითხებით, თუ რას შვრებიან მთავრობისაგან დევნილი უმუშევრები?

ისინი იძულებული არიან დახმარებისთვის საზოგადოებრივ დაწესებულებებს და იმ საქველმოქმედო ბიუროებს მიმართონ, რომელნიც მუნიციპალიტეტების გამგეობაში იმყოფებიან. ცხადია მუშათა რაიონების მუნიციპალიტეტები ყველაზე მეტ გაჭირვებაში იქნებიან. ზოგიერთს არავითარი შეძლება აღარა აქვს, „ღარიბებს" დაეხმაროს და იძულებულია სესხისთვის მთავრობას მიმართოს. მაგრამ მთავრობა უწესებს დახმარების მაქსიმუმს და, თუ ეს მიღებული არ იქნა, მაშინ [illegible] საქველმოქმედო ბიუროებს ემუქრება, რომ მათ თავის გამგებლობას დაუქვემდებარებს.

როგორცა ხედავთ, ეს მხოლოდ უბრალო გადარიცხვაა უმუშევრებისა, რომ ხალხს თვალები აუბან თვალთმაქცური ოფიციალური ცნობებით.

აი, ნამდვილათ ასეთია ვითომდა შემცირებული უმუშევრობა ინგლისში.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 1926 წ. 11 თებერ.

საბჭოთა პრესა

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის

ამ ბოლო დროს ფაბრიკა-ქარხნებში შემჩნეულია შრომის დისციპლინის დაცემა. სამუშაოზე გამოუცხადებლობა ხშირ მოვლენად იქცა. სამუშაოს გაცდენის საერთო ჯამი ცალკე ქარხნებში 15—20 პროცენტამდე აღწევს. შრომის დისციპლინის დარღვევა განსაკუთრებით ახასიათებს წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშებს, რომელნიც უფრო გლეხურ ელემენტებს წარმოადგენენ. სამუშაოზე გამოუცხადებლობას განსაკუთრებით ადგილი აქვს კვირა-უქმე დღეების შემდეგ, რაც „ბახუსს" ეწერება. გარდა არა საპატიო მიზეზებისა, სამუშაოზე გამოუცხადებლობა აიხსნება „საპატიო" მიზეზებით. მათ შორის პირველია ავადმყოფობა. მაგრამ არის ავადმყოფობა და „ავადმყოფობა". „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა" გადმოგვცემს:

> „მთელი რიგი წარმოებები აღნიშნავს სამუშაო გაცდენის გაძლიერებას ავადმყოფობის გამო საექიმო კონტროლის შესუსტების წყალობით. სამწუხაროდ, კვლავ გაჩნდა სიმულიანტი. ნახევრად გლეხ მუშებს შორის შეჩვეულია განზრახ [illegible] დაჭრის შემთხვევები, რათა შეეძლოთ ციილონ ავადმყოფობის გამო და სოფელში წავიდენ. სორმოვოს დამხმარე სალაროს ექიმ მოხდენილმა გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ავადმყოფობის მიზეზით განთავისუფლებულთა ხოლოდ 25 პროცენტი წევს ან საშინაოთ უქეიფოთაა; დანარჩენი 75 პროც. სოფლად წავიდენ, თავის მეურნეობაზე მუშაობენ. ლენინგრადში მოსკოვ-ნარვის სარაიონო დამხმარე სალაროს მიერ მოხდენილ შემოწმების დროს შინ არ აღმოჩნდა ავადმყოფების 63 პროცენტი".

როგორც სჩანს, სიმულიაცია, გამოგონილი ავადმყოფობა ძალიან გავრცელებულია. ამით ზარალობს, როგორც დამხმარე სალარო, ისე მრეწველობაც, რომლის ანარიცხები დამხმ. სალაროს საშუალებს შეადგენს. ამით ზარალობენ ნამდვილად ავადმყოფი მუშებიც, რომელთა დახმარების ნაწილი სიმულიანტებზე მიდის, და ფერხდება საწარმოო პროცესიც. აუცილებელია ავადმყოფების სისტემატიური შემოწმება, რაც შეადგენს დამხმარე სალაროების მოვალეობას. საერთო შრომის დისციპლინის განმტკიცებლად უნდა იქნეს მიღებული გადაჭრილი ზომები. ამ ხრივ დიდი როლის ესრულება შეუძლიათ ქარხნების პროფკავშირებს, რომელთაც თავის წევრებში ამ მიმართულებით უნდა გააძლიერონ მუშაობა.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

უბედური შემთხვევები, რიცხვი [illegible] მეტად გაიზარდა უკანასკნელ წლებში. აიხსნება ეს ერთი მხრივ ფაბრიკა-ქარხნების მაქსიმალური დატვირთვით და ბევრი მათგანის [illegible] მოუწყობლობით, ძირითად უბედურ შემთხვევებისაგან დამცველ აპარატების უქონლობით,—მეორე მხრივ—თვით მუშების კვალიფიკაციის სისუსტით, ამათ ნაწილმა, პირველ რიგში წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშებმა [illegible] არ იციან, თუ როგორ მოეპყრან ინსტრუმენტებს, ამასთან ადგილი აქვს დაუდევარ დამოკიდებულებას სამუშაო იარაღებისადმი. უბედურ შემთხვევების აღმოსაფხვრელად უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები. ამისათვის, მუშა ხელის კვალიფიკაციის აწევასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დაცვას წარმოებებში. ამ საქმეში თვით მუშებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. ამხ. ბახუტოვი სწერს „რაბოჩაია გაზეტა"-ში:

> „პირველი და უმთავრესი პირობაა ამ ბრძოლაში (უბედურ შემთხვევებთან) თვითეულ ქარხანაში, ფაბრიკას, საწარმოოს მუშების მოზიდვა. განსაკუთრებით კი საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, შრომის დაცვის კომისიების საქმე აქ არა იმდენად გეგმების შედგენა, რამდენად შრომის დასაცავად წარმოებულ მთელი მუშაობის ნამდვილი შემოწმება და ამ საქმეში ნამდვილი ჩაბმა აქტიურ მუშებისა, რომელნიც ყველაზე უფრო ეწევიან ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის და შრომის ინსპექციის მუშაობის ცალკე ნაკლულევანებების კრიტიკას.
>
> საჭიროა, რათა თავის ანგარიშებში საფ.-საქ. კომიტეტი აღნიშნავდეს, თუ რაა გაკეთებული მის მიერ ამ მხრივ თვითეულ ცეხში, განყოფილებაში, სახელოსნოში. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შრომის ინსპექციის აქტებს უეჭველად აცნობდენ არა მარტო შრომის დაცვის კომისიის ყველა წევრებს, არამედ წარმოების მუშების ფართო მასსასაც, კედლის გაზეთების, მოხსენებების საშუალებით".

სამეურნეო და პროფესიულ ორგანოების შეერთიანებული მუშაობით, თვით მუშათა მასსის აქტიურ მონაწილეობით შესაძლებელი გახდება უბედურ შემთხვევების შემცირება და აღმოფხვრა. საჭიროა მხოლოდ ამ საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. უნდა ვიცოდეთ, რომ შრომის პირობების გაჯანსაღება ხელს შეუწყობს არა მარტო უბედური შემთხვევების ლიკვიდაციას, არამედ შრომის ნაყოფიერების აწევასაც, რაც ასე გვესაჭიროება დღეს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ

მემარცხენე ბლოკის პრესა კმაყოფილია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დელეგატების პირველი შეხვედრით

გერმანიის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მხარი დაუჭირა საბჭ. კავშირისათვის სესხის მიცემას

მოლაპარაკება საფრანგეთთან

პრესა მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 26 თებ. საფრანგეთის პრესა აქვეყნებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის პირველ სხდომის ვრცელ ანგარიშს და აღნიშნავს ბრიანის, დე-მონზის და რაკოვსკის სიტყვების [illegible] კილოს და საქმიან ხასიათს. გაზეთების უმრავლესობა მხოლოდ ანგარიშებს ათავსებს სხდომის შესახებ. ის გაზეთები, რომელნიც კომენტარს უკეთებენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეხვედრას, აღნიშნავენ, რომ კონფერენცია რეალურად მიუდგა თავის ამოცანებს, რაც „კარგ ნიშანს" წარმოადგენს.

მემარცხენე ბლოკის ორგანო „ევრ" ეხება ბრიანის საუბარს ჟურნალისტებთან სხდომის შემდეგ. საფრანგეთის პრემიერი, გაზეთის სიტყვით, ძალიან კმაყოფილი იყო პირველი შეხვედრის საქმიანი ხასიათით და აღნიშნა, რომ კონფერენცია „ძალიან დიდ ხანს გაგრძელდება, მაგრამ საჭიროა, რომ იგი ხანგრძლივი იყოს; საქმე კარგად წავა, რადგან დელეგაციის შემადგენლობაში შესაფერი პირები შედიან".

„ერ ნუველი" (მემარცხენე ბლოკის ორგანო) აცხადებს: „უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიყოთ პრაქტიკოსები და რეალისტები".

„ვოლონტე"-ს აზრით საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის პირველ „ისტორიულ" სხდომაზე გათვალისწინებული მთავარი პროგრამა მდგომარეობს იმაში, რომ მოსპობილი იქნას წარსული ურთიერთობა და შემუშავებულ იქნას მომავალი ურთიერთობის ახალი საორგანიზაციო ფორმები.

მემარჯვენე გაზეთები ემიგრანტების თეთრ პრესასთან ერთად გააგრძელებენ კამპანიას კონფერენციის წინააღმდეგ.

საქმიან პოზიციებზე

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 27 თებ. „პრავდა" ასეთ სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„როდესაც საფრანგეთთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, ჩვენ სწორ ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს თავს, რომ საქმე გვაქვს კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან, რომელშიაც გამეფებულია ბურჟუაზიული რეჟიმი, ბურჟუაზიული ნორმები, ბურჟუაზიული სამართალი და სხვ.

ჩვენ ვცდილობთ საფრანგეთთან მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა დავიჭიროთ და გადავსჭრათ მთელი რიგი პრობლემებისა, ჩვენ ვალდებულათ ვსთვლით ჩვენს თავს მხედველობაში მივიღოთ და დიდი ანგარიში გაუწიოთ თანამედროვე საფრანგეთის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს და პრინციპებს. მაგრამ ამავე დროს უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ ჩვენმა კონტრაგენტმა ასეთივე ანგარიში გაუწიოს იმ პრინციპებს და საფუძვლებს, რომელიც გამეფებულია ჩვენს ქვეყანაში, ოქტომბრის რევოლიუციის ქვეყანაში.

ეს არის ელემენტარული წინასწორი პირობა მოლაპარაკებისათვის და იგი ორივე მხარემ უნდა შეასრულოს ყოველ მიზეზს გარეშე. უამისოთ მოლაპარაკება ტყუილად დროს დაკარგვა იქნება.

დღეს, საღმა აზროვნებამ, „სახელმწიფო გონიერებამ და სწორმა კლასიურმა ინსტინქტმა" ჩვენს კონტრაგენტებს ის უბრალო აზრი უკარნახოს, რომ ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა 1917 წლის ოქტომბერში იმიტომ კი არ ჩაიგდიათ ხელში ძალაუფლება და იმიტომ კი არ დაუმხვიათ მემამულეთა და ბურჟუაზიული კამარილია, რომ თავის თავზე რაიმე დამამცირებელი ვალდებულებანი ეკისრათ. ჩვენს ქვეყანაში იმისათვის კი არ ჩაეყარა საფუძველი ახალ წყობილებას, რომ იგი გაუქმებული იქმნას რომელიმე კონფერენციაზე. არავითარ „დენაციონალიზაციაზე", არავითარ ძირითად პოლიტიკურ დათმობაზე რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება.

საფრანგეთის ბურჟუაზიას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ გამოვცხადდით კონფერენციაზე არა მარტო საფრანგეთის ლამაზი თვალებისათვის. ჩვენ კონფერენციაზე განსაზღვრულ სარგებლიანობის განაღდება გვინდა. საფრანგეთის ბურჟუაზიას უნდა ესმოდეს, რომ კონფერენციას სასურველი შედეგი მოჰყვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს".

გერმანია სესხს გვაძლევს

ბერლინი, 26 თებ. **რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ 19 ხმის უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი რომლის თანახმად მთავრობა უზრუნველყოფს კრედიტებს საბჭოთა დაკვეთებისათვის.**

ნაციონალისტების წარმომადგენლებმა ხმის მიცემის დროს თავი შეიკავეს. ნაციონალისტების ორატორმა მოითხოვა საბჭოთა კავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულების დამყარების ტენდენცია, მაგრამ დასძინა, რომ გერმანიის ფინანსიური რესურსები ასე დიდი [illegible] არ კმარა.

კომუნისტმა კენენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დაკვეთები დიდ როლს ითამაშებენ გერმანიაში არსებულ უმუშევრობის შემცირების საქმეში.

ახალი კანონპროექტის თანახმად, კრედიტების საერთო რაოდენობიდან 300 მილ. მარკიდან გერმანიის მთავრობა უზრუნველყოფს 106 მილ. მარკას, ხოლო 75 მილიონს გერმანიის ცალკე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ.

გარდა ამისა საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ცენტრის პარტიის წარმომადგენლის კლემენის წინადადება, რომელიც მოითხოვს რომ [illegible] დაჩქარებით იქნეს მოწესრიგებული გერმანიის საქონლის ტრანზიტი საბჭოთა კავშირის გზით აღმოსავლეთისაკენ; წინადადება მოითხოვს აგრეთვე, რომ გერმანიის მთავრობას უფლება მიეცეს გამოიყენოს იმ 10 მილიონიან მარკის საგარანტიო კრედიტიდან, რომელიც საბჭოთა კავშირს უნდა მიეცეს, ნაწილი, რომელიც უნდა მოხმარდეს საქონლის [illegible] საბჭოთა კავშირის საკონცესიო წარმოებებისათვის გერმანიის მონაწილეობით.

რუსეთ-ამერიკის სამრეწველო კორპორაცია

ნიუ-იორკი, 26 თებ. რუსეთ-ამერიკის სამრეწველო კორპორაციის თავმჯდომარემ ხილმანმა აცნობა აქციონერთა კრებას, რომ კორპორაციის მთელი თანხა 300 000 დოლარი დაუბრუნდა მას და შეტანილია სამრეწველო ბანკის დეპოზიტში. აქციონერთა კრებამ დაავალა დირექტორებს კორპორაციის მთელი თანხა ისევ საბჭოთა კავშირის წარმოებებში დაებანდოს.

ხილმანმა განაცხადა, რომ კორპორაცია აწარმოებს მოლაპარაკებას „ლენინგრადსკაია ოდეჟდასთან" უკანასკნელისათვის ამერიკაში კორპორაციის ფონდიდან მანქანების შეძენის შესახებ.

გამორბიან საბჭოთა კავშირში

ვენა, 26 თებერვ. გაზეთ „უნივერსულ"-ის ცნობით, დნესტრის განაპირა სოფლის როზენის სანაპირო რაზმის კომენდანტი კაპიტანი იონესკუ ამას წინად საბჭოთა კავშირში გაიქცა.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი

საბჭოს გაფართოების წინააღმდეგ

ლონდონი, 26 თებ. პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების წინააღმდეგ.

„მანჩესტერ გარდიენის" თანამშრომელთან საუბარში მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს ერთა ლიგის საბჭოში ესპანეთისა და პოლონეთისათვის მუდმივ ადგილის მიცემას.

ინგლისში წინააღმდეგნი არიან

ლონდონი, 27 თებერ. ერთა ლიგის საბჭოს მომავალი შემადგენლობის საკითხს გაცხოველებით არჩევენ პოლიტიკურ წრეებში.

გუშინ ბოლდუინს ეწვია ლიბერალების, კონსერვატორების და მუშათა პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ერთა ლიგის საპარლამენტო კომისიის აღმასკომის დეპუტაცია, **რომელმაც შიში გამოთქვა ლიგის საბჭოს მოსალოდნელი გაფართოების გამო.**

კაბინეტი ერთა ლიგის შემადგენლობის საკითხს ოთხშაბათის სხდომაზე განიხილავს.

გუშინ ნიუკესტლში ლორდ გრეიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ **ლოკარნოს ხელშეკრულების შედეგები არარაი იქცევა, თუ ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი დასმულ იქნა ლიგაში გერმანიის შესვლამდე, ან შესვლის დროს.** გრეის აზრით ეს საკითხი მეტად არასასურველ პირობებში წარმოიშვა—ამ გზით სურთ მოწინააღმდეგე გაუჩინონ გერმანიას თვით ლიგაში:

გერმანიის ლიგაში მიღებით—აცხადებს გრეი—ჩვენ მივდივართ ერთგვარ რისკზე, მაგრამ თუ იგი მას არ მიიღებს, მას მოელის გადაგვარება და გაქრობა. ეს რისკი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია გერმანიამ თავისი მუშაობა ლიგაში მოახმაროს არა ლიგის იდეალების დაცვას, არამედ გერმანიის ეროვნული ინტერესების განხორციელებას. გერმანია ლიგაში უნდა შევიდეს, როგორც თანასწორუფლებიანი და მის შესვლამდე არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს ლიგის საბჭოს შემადგენლობაში.

გრეის იმედი აქვს, რომ ჟენევაში ბევრი საკითხი დამაკმაყოფილებლად გადაიჭრება და შეიქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა საკითხების მეგობრულად გადაჭრას.

ჰოლანდიაც წინააღმდეგია

ბერლინი, 27 თებერვ. დეილი ტელეგრაფის ცნობით, ჰოლანდიაც შეუერთდება იაპონიის, ნორვეგიის და შვეციის ოპოზიციას ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების წინააღმდეგ.

პრიმო დე-რივერას იმედები

პარიზი, 27 თებერვ. როგორც მადრიდან იუწყებიან, პრიმო დე-რივერა ოპტიმისტურად უყურებს საკითხს ერთა ლიგის საბჭოში ესპანეთისათვის მუდმივ ადგილის დათმობის შესახებ.

შვეციის პოზიცია

პარიზი, 27 თებერვ. „ეკო დე პარი"-ს ცნობით შვეციამ აცნობა გერმანიას, რომ ის გაილაშქრებს ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისათვის ადგილის დათმობის წინააღმდეგ.

რას ფიქრობენ გერმანიაში

პარიზი, 27 თებ. „მატენის" ცნობით გერმანიის მთავრობა შეშფოთებულია ევროპის პრესის კამპანიით ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთის და ესპანეთის კანდიდატურის წამოყენების სასარგებლოთ. შტრეზემანს განზრახული აქვს წარმოსთქვას შემარიგებელი სიტყვა სკშინსკის სიტყვის საპასუხოთ.

საფრანგეთის მთავრობაში

პარიზი, 27 თებ. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად, კაბინეტის წევრები ორად გაიყვენ ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთის დაშვების საკითხში. ჩემბერლენი იმუქრება გადადგომით.

პოლონეთი პირფერობს

ვარშავი, 26 თებერვ. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა სეიმში საფრანგეთ-პოლონეთის და გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულებების განხილვის დროს, თავის სიტყვაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პოლონეთის ინგლისთან დაახლოების მომენტს.

„ლოკარნოს შემდეგ, განაცხადა სკშინსკიმ—არც ერთ ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუძლია სთქვას, რომ ის არ იცნობს პოლონეთის საგარეო პოლიტიკას.

ამჟამად ლოკარნოს ერთ ერთმა სულის ჩამდგმელმა—ჩემბერლენმა, რომლის სახელი შეტანილ იქნება ისტორიაში, იცის, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხაზი მიდის ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხაზის პარალელურად, რაც ჩვენს პოლიტიკას სიდინჯის და სიმტკიცის იერს აძლევს.

რწმენა ინგლისის მტკიცე პოლიტიკისადმი კონტინენტზე წარმოადგენს უძლიერეს ფაქტორს მშვიდობიანობის განსამტკიცებლად და პოლიტიკაში [illegible] ჩემბერლენი თავისი რასის გენიის ბრწყინვალე წარმომადგენელი".

შემდეგ სკშინსკიმ განაცხადა რომ ხელშეკრულებების თანახმად პოლონეთი უნდა მიიღოს ადგილი ერთა ლიგის საბჭოში გერმანიასთან ერთად.

იტალია და სამხრეთ-სლავია

ნინჩიჩის გამგზავრება რომში

ვენა, 26 თებ. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნინჩიჩის რომში გამგზავრებამ, მოულოდნელობის გამო, დიდი სენსაცია გამოიწვია.

სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, რომში მოლაპარაკების მთავარ საგანს შეადგენს მუსოლინის მიერ ამოყენებული ეთანხმება ავსტრიის გერმანიასთან შეერთების წინააღმდეგ. მოლაპარაკება შეეხება აგრეთვე სამხრეთ-სლავიის და იტალიის ძველ ორმხრივ ხელშეკრულებას და მისი მიზანია ორივე მხარის პოზიციის გამორკვევა ბალკანეთის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხში. გაზეთ „ობზორ"-ის ცნობით, მოლაპარაკება შეეხება აგრეთვე საკითხს სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის დაახლოების შესახებ იტალიის შუამავლობით, რასაც ოპოზიციის წრეებში ინგლისის გავლენად სთვლიან. იმავე გაზეთის ცნობით, ნინჩიჩი თავისი მოლაპარაკების დროს რომში და პარიზში შეეხება აგრეთვე საკითხს თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭირონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა ჰუნგრეთ ყალბი ფულის მჭრელთა საქმეში. სამხრეთ-სლავიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ნინჩიჩი რომში ჩავიდა იტალიის ბელგრადელი ელჩის ბოდრეროს თანხლებით.

უკანასკნელი ცნობები

არჩევნები ბულგარეთში

ვენა, 27 თებ. ბულგარეთიდან იუწყებიან, რომ მთავრობის პარტიამ სოფლის თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში მიიღო 423.000 ხმა, ოპოზიციამ კი—217.000 ხმა.

არჩევნები ხდებოდა მთავრობის სასტიკი ტერორის ქვეშ.

ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტში

ნიუ-იორკი, 27 თებ. ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტი ფიქრობს სრულიად გააუქმოს რკინის გზები მიწაზე, რადგან ისინი ხელს უშლიან ქუჩებზე ჩქარ მოძრაობას.

არჩევნები

ვენა, 27 თებ. რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ლიბერალურმა მთავრობის პარტიამ სათემო არჩევნებში მიიღო უმრავლესობა 5.601 სოფლის თემში, ოპოზიციამ—688, ნაციონალურ უმცირესობებმა 66 თემში.

სკშინსკის სიტყვის გამო

ვარშავა, 27 თებ. პოლონეთის პრესა გაცხოველებული ეხმაურება სკშინსკის სიტყვას სეიმში [illegible].

პილსუდსკის ორგანო ამბობს: „სკშინსკის ფრაზებიდან, რომლებიც დიპლომატიურ ქაღალდში იყო გახვეული, ძნელი გამოსარკვევია რაიმე კონკრეტული და [illegible]".

ნაციონალურ-სახალხო კავშირის გაზეთი „ორანნა ვარშავსკა" აღნიშნავს, როგორც ცუდათ შეხვდა სეიმი სკშინსკის სიტყვას. დაბოლოს გაზეთი მოულოდნელათ აცხადებს: „ჩვენ კატეგორიულათ უნდა მოვთხოვოთ ჩვენს აღმოსავლეთით მყოფ მეზობელს (საბჭოთა კავშირს), რომ ის შეცდომას სჩადის, როდესაც ფულით ეხმარება პოლონეთს, რომელსაც არ ჰყოფნის ფული თავის უმუშევართათვის. ამით ის აძნელებს, ისედაც ძნელ, თუმცა სასურველ, ორივე ქვეყნის დაახლოების საქმის"

უკანასკნელი პარტყრილობის დად-

ნოვა სოციალისტურ მშენებლობის
გზით,

წარმოებით გლეხთა ინდივიდუალურ
მეურნეობებს, კომუნა ზოგჯერ ვერ

ნების წარმოებისათვის სხვაგვარი
ბელი საშუალებანი.

ლით მუშაობაში. ჩვენ არ უნდა და-
გვავიწყდეს, რომ თუ ღარიბი გლე-

განმტკიცებისაკენ. ღარიბ გლეხობის
ორგანიზაციამ ამას უნდა შეუწყოს
ხელი,

რომ მუშათა პარტიის აღმასკომი ამ
წინადადებას შეურაცხყოფლად სთვლის.
იგონებს რა II და III ინტერნაციონა-

ნებს სოციალისტურ პარტიებს, განსაკუთრებით კი ინგლისის მუშათა
პარტიას".

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

26 თებერვლის დილის სხდომა

მდგომარეობა ინგლისის კომპარტიაში

ამხ. ფერგიუსონის მოხსენება

მოსკოვი, 27 თებ. კომინტ. აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სხდომაზე 26 თებერვალს დილით ამხ. ფერგიუსონმა მოხსენება წაიკითხა ინგლისის კომპარტიის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა სთქვა:

რა პირობებში გვიხდებოდა მუშაობა

„ვიდრე შევუდგებოდე ინგლისის კომპარტიის მოქმედების განხილვას წარსულ პერიოდში, საჭიროა განვიხილოთ ის ობიექტიური პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა.

ზინოვიევმა თავის მოხსენებაში სავსებით სწორად აღნიშნა, რომ ინგლისის კაპიტალიზმი ამჟამად დაცემის პერიოდში იმყოფება. მართლაც, მრეწველობის ყველა დიდ დარგებში—ნახშირის, რკინის და სხვა წარმოებებში—ჩვენ ვხედავთ წარმოების შემცირებას. უმუშევართა რიცხვი დღითიდღე იზრდება. მწარმოებლები ემზადებიან მუშათა კლასზე თავდასასხმელად, რათა დაფარონ თავიანთი ზარალი ხელფასის შემცირებით.

ყველა ეს ფაქტორები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობენ ინგლისის მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას და ჰქმნიან ხელსაყრელ პირობებს ჩვენი მოქმედებისათვის. ასეთ ფაქტორებს უნდა დაუმატოთ ე. წ. ყვითელ შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციების დაარსება, რომლებსაც აშკარად უჭერენ მხარს მთავრობა და მწარმოებლები. ამ ფაშისტურ ორგანიზაციების მოქმედება უკანასკნელ ხანებში სრულიად აშკარად სწარმოებს. მოვიგონოთ თუნდაც ლონდონის ქუჩებში მომხდარი თავდასხმა ავტომობილებზე, რომელნიც ჩვენს გაზეთებს ავრცელებდენ, მოვიგონოთ ჩვენი ამხ. პოლიტის გატაცება. ყველა ეს აქტები თვალსაჩინოთ უმტკიცებენ ინგლისის მუშათა კლასს, რომ დემოკრატიულ თავისუფლებათ მოჩვენებითი ხასიათი აქვთ და გადამწყვეტი პოლიტიკური მოქმედება აუცილებელია.

ინგლისის კომპარტია მთლიანია

ფერგიუსონი ეხება შინაურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ინგლისის კომპარტიაში სრული ერთსულოვნება არსებობს და ადგილი არ აქვს ფრაქციულობას.

ჩვენი პარტიის მთლიანობა წარმოადგენს ჩვენი წარმატების ერთ-ერთ მიზეზს. შემდეგ მომხსენებელი ეხება კომუნისტურ პრესის მდგომარეობას.

კომუნისტური პრესა

„3 წლის წინად, სთქვა მან, ჩვენ გვქონდა ინგლისში მხოლოდ ერთი ჟურნალი, რომლის ტირაჟი უდრიდა 1.800 ცალს. ამ ჟურნალის რედაქციის პარტიული ხელმძღვანელობა ძალიან სუსტი იყო. ეხლა კი ჩვენი ყოველკვირეული გაზეთის ტირაჟი აღწევს 60.000 ცალს.

კომპარტია და პროფკავშირების უმცირესობა

ყველაზე დიდ მიღწევას ჩვენს პარტიაში წარმოადგენს უმცირესობის მოძრაობის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში ჩვენ წინააღმდეგობას გვიწევდენ რეაქციონურ პროფკავშირთა ლიდერები. ასე მაგალითად ტომასმა მოახერხა უმცირესობის კონფერენციაზე რკინისგზელების მონაწილეობისათვის ხელის შეშლა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ. ასეთ წარმატებათა ნიშანს წარმოადგენს სასტიკი კამპანია, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ რეაქციონური კაპიტალისტური პრესა. ყველა გაზეთები იძულებული არიან აღიარონ, რომ მთავრობის დათმობა მაღაროს მუშებისადმი წარსულ წელს იყო ჩვენი აგიტაციის შედეგი. კომუნისტური პარტია უმცირესობის ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს თამაშობს.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მისწრაფება მთლიანობისაკენ ინგლისის მუშათა კლასში იმდენად ძლიერია, რომ ლიდერები, რათა საბოლოოთ არ დაჰკარგონ მასების ნდობა, იძულებული არიან ისე მოიქცენ, თითქოს გაერთიანებისაკენ მიისწრაფვიან.

ამით აიხსნება ის წინადადება, რომელიც დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომმა მისცა კომუნისტურ ინტერნაციონალს ორივე ინტერნაციონალის გაერთიანების შესახებ. მას სურს ამ წინადადებით დრო მოიგოს და პასუხი არ მოგვცეს ჩვენს კონკრეტიულ წინადადებებზე.

ბრძოლა დაუესის გეგმის წინააღმდეგ

1924 წ. ნოემბერში, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გეგმა შეიმუშავა 1925 წლისათვის. ამ გეგმაში შეტანილი იყო შემდეგი მუხლები: ბრძოლა დაუესის გეგმის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მუშათა მთავრობის პოლიტიკის გამომჟღავნება „ზინოვიევის წერილის“ საკითხში, ბრძოლა პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის საერთაშორისო მასშტაბით.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია საბოლოოდ ვსთქვათ, რამდენად შესრულდა ჩვენმა პარტიამ პროგრამის ეს მუხლები.

როდესაც ჩვენ ბრძოლას ვიწყებდით დაუესის გეგმის წინააღმდეგ, ვეწეოდით საგიტაციო კამპანიას და ვამტკიცებდით, რომ ეს გეგმა არის გერმანიის მუშათა კლასის ექსპლოატაციის ახალი მეთოდი,—ამ აგიტაციას უარყოფით ხვდებოდა ინგლისის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა. საქმე იმაშია, რომ ეს გეგმა დამტკიცებული იყო ინგლისის მუშათა მთავრობის მიერ, რომელიც მაშინ დიდი პოპულიარობით სარგებლობდა. მაგრამ ჩვენ განვაგრძეთ ბრძოლა და მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს.

მართლაც, ტრედიუნიონების საყოველთაო კონგრესმა სკარბოროში დაგმო დაუესის გეგმა და ამგვარად, ჩვენი სიმართლე აღიარა. მუშათა პარტიის ყრილობაზედაც კი ლივერპულში არც ერთი ხელი არ აწეულა გეგმის დასაცავად. თვით მაკდონალდი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ წინადადებით, რომ კომისია შემდგარიყო ამ საკითხის დეტალურად განსახილველად.

ჩვენი გავლენა ამ გადაწყვეტილებათა შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ პირველ მუხლში ჩვენ სავსებით შევასრულეთ ჩვენი ცეკას პროგრამა.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ

სწორედ ასეთსავე მდგომარეობაშია მეორე მუხლი—ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალისტური ტენდენციები ყოველთვის ძლიერი იყო ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მაგრამ აქაც, ჩვენს აგიტაციას დადებითი შედეგი მოჰყვა.

პროფკავშირთა კონგრესმა სკარბოროში მიიღო ჩვენი რეზოლიუცია, რომელშიაც გადაჭრით დაგმობილია ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკა. რეზოლიუცია მოითხოვს ყველა კოლონიების განთავისუფლებას და კერძოთ, ჩინეთიდან ინგლისის ჯარების გაყვანას.

„ზინოვიევის წერილის“ საკითხში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ინგლისის მუშათა კლასი სავსებით დარწმუნდა ამ წერილის სიყალბეში.

„დუმილის შეთქმულება“

ბოლოს უკანასკნელ მნიშვნელოვან საკითხში — საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის საკითხში—ჩვენ შევასრულეთ დიდი მუშაობა. საბჭოთა კავშირიდან ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის დაბრუნების შემდეგ, ტრედიუნიონების მემარჯვენე მოღვაწეები ყოველმხრივ ხელს უშლიდენ ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა დაახლოების განხორციელებას.

ამ საკითხის გარშემო შეიქმნა დუმილის შეთქმულება. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ ვერ მოვახერხეთ რაიმე პრაქტიკული ღონისძიების მიღება. მემარცხენე ფრთაშიაც კი ერთხანს გამეფებული იყო ერთგვარი დაბნეულობა და პესიმიზმი.

ჩვენმა კომპარტიამ, უმცირესობის ორგანიზაციამ თავიდანვე ენერგიული მუშაობა დაიწყო იმ მიზნით, რათა ჩაეშალა ეს შეთქმულება და აეძულებია მემარცხენეთა ლიდერები უფრო ენერგიულათ ემოქმედათ. ამიტომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაარსება და მისი მოღვაწეობა ნაწილობრივ ინგლისის კომუნისტურ პარტიის დამსახურებას წარმოადგენს.

ჩვენი ამოცანები

ამოცანები, რომელიც ჩვენ მომავალში უნდა დავისახოთ ასეთია: ჯერ-ერთი საჭიროა მუშაობის განგრძობა, რათა ინგლისის მთელი მუშათა კლასის სრულ გაერთიანებას მივაღწიოთ მოსალოდნელ კაპიტალისტურ შემოტევის წინააღმდეგ; მეორე, ჩვენ უნდა დავრაზმოთ ინგლისის მუშათა მოძრაობის ყველა პროგრესიული ელემენტები. ჩვენ უნდა მივაღწიოთ პროფკავშირთა მემარცხენე ფრთის გამოყოფას და ასეთივე მემარცხენე ფრთა უნდა დაარსდეს მუშათა პარტიაშიაც. მომავალში ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობას კოოპერატიულ მოძრაობის დარგში.

ყველა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ მოძრაობაში. ჩვენ უნდა განვაგრძოთ აგიტაცია ლოკარნოს ხელშეკრულების წინააღმდეგ და ყველგან გამოვააშკარავოთ მისი ნამდვილი შინაარსი: ეს არის დასავლეთ-ევროპის ყველა სახელმწიფოების კოალიცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ისეთივე ენერგიით, როგორც დაუესის გეგმის წინააღმდეგ ვაწარმოებდით.

უდიდეს ჩვენს ამოცანას წინანდებურად წარმოადგენს ბრძოლა საერთაშორისო პროფესიონალურ მთლიანობისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის საშუალებით, ან მის გარეშე, მოწვეული იქნას კონფერენცია ამსტერდამის ინტერნაციონალში რუსეთის პროფკავშირების მიღების საკითხის განსახილველად.

ფერგიუსონი ათავებს თავის მოხსენებას შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ დასახული გვაქვს უდიდესი ამოცანები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მივაღწევთ ინგლისის მუშათა კლასის სრულ მთლიანობას მოსალოდნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის“.

ამით თავდება პლენუმის დილის სხდომა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ქაღალდის ფაბრიკის აგება

ულიანოვსკი, 27 თებ. ს. ფ. [illegible] დაიწყო ქაღალდის ახალი ფაბრიკის აგება. ფაბრიკის წლიური პროდუქცია იქნება 238.000 ფუთი ქაღალდი.

მუშკორის დანიშვნა შრომის განყოფილების გამგეთ

იაროსლავლი, 27 თებ. საავტომობილო ქარხნის მუშა, „პრავდა“-ს მუშკორი ოლეინიკოვი საგუბერნიო აღმასკომმა დანიშნა შრომის საგუბერნიო განყოფილების გამგეთ.

უკრაინა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გადარჩევა

ხარკოვი, 27 თებ. დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გადარჩევა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 75 პროცენტმა. კოოპერაციის გამგეობებში არჩეულია 54 პროც. ღარიბი გლეხობა და 34 პროც. საშუალო გლეხობა. დანარჩენ [illegible] სოფლის ინტელიგენცია და მოსამსახურეები.

ლიანდაგის შეკეთება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის მიერ

ეკატერინოსლავი, 27 თებ. ძერჟინსკის სახელობის დნეპრის ქარხანამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზისაგან მიიღო 45.0000 ფუთი [illegible] (რელსის) შეკვეთა.

ლობაჩევსკის პირველი შრომის ასი წლის თავი

ყაზანი, 27 თებერვალი. ფიზიკო-მათემატიკურ საზოგადოებაში პროფ. პარფენტიევმა წაიკითხა მოხსენება ლობაჩევსკის პირველი შრომის ასი წლის თავის აღსანიშნავათ და საერთაშორისო შეჯიბრებაზე ლობაჩევსკის სახელობის პრემიების დარიგებაზე.

დღემდე სულ გაცემულია 6 პრემია (თითო 500 მ.ნ.), ყველა გერმანელმა მეცნიერებმა მიიღეს. შეჯიბრება შესწყდა 1912 წლიდან.

განზრახულია წრეულს ისევ განახლდეს საერთაშორისო ფიზიკო-მათემატიკური შეჯიბრება. იქნება 2 პრემია, თითო 1000 მანეთიანი.

თურქოლოგიის ყრილობა

ბაქო, 27 თებ. 26 თებერვალს, საღამოს 7 ს. და 40 წუთზე საგანგებო ზეიმით გაიხსნა თურქოლოგიის სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა.

ყრილობა გახსნა ა/კ. ცაკის თავმჯდ. ამხ. აღამალი-ოღლიმ. ის აღნიშნავს, რომ თუ ყოფ. რუსეთის იმპერიის შემავალი პატარა ერები დღეს ცხოვრობენ, სუნთქავენ და აზროვნობენ სრულიად თავისუფლად, ეს არის შედეგი ოქტომბრის რევოლიუციისა, რომლის გენიოსური ხელმძღვანელი იყო ამხ. ლენინი (მთელი კრება ფეხზე დგება და პატივსა სცემს ამხ. ლენინის ხსოვნას.)

შემდეგ ორატორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ის დიდმნიშვნელოვანი ყრილობა იმართება აზერბეიჯანში განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ეს [illegible] შემთხვევაა, როცა თურქ-თათართა ყველა ტომები ერთად იყრიან თავს დიდმნიშვნელოვან კულტურულ საკითხების [illegible].

შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას და [illegible].

შემდეგ საკავშირო ცაკის თავმჯდომარე და აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდ. ამხ. მუსაბეკოვი ულოცავს ყრილობას საკავშირო ცაკისა და აზ. სახ. კომ. საბჭოს სახელით.

ის აღნიშნავს უდიდეს კულტურულ როლს ამ ყრილობისა, რომელიც მჭიდრო კავშირს გაბამს მეცნიერულ და კულტურულ [illegible] საბჭოთა კავშირის გარეშე [illegible], ხელს შეუწყობს თურქ-თათართა ტომების ყოფა-ცხოვრების შესწავლას, მათი ისტორიის გამოკვლევას და სხვა.

შემდეგ [illegible] მოსკოვის ინსტიტუტის სახელით—ილაპარაკა პავლოვიჩმა, ის ამბობს, რომ ამ ყრილობამ [illegible] თურქოლოგიის, ორთოგრაფიის და ალფავიტის [illegible], რომლის [illegible] დღემდე ხალხთა [illegible].

ა/კ. მთავრობის სახელით ილაპარაკა ამხ. ჰუსეინოვმა.

რ. ს. ფ. ს. რ. განათ. სახ. კომისარიატის სახელით გამოვიდა ამხ. [illegible].

შემდეგ აზერბეიჯანის მასწავლებელთა სახელით ილაპარაკა თურქმა მასწავლებელმა [illegible].

[illegible] ოქტომბრის რევოლიუციამ [illegible], რომლის [illegible] თურქ-თათართა ტომები [illegible] თანამედროვე კულტურას და [illegible], ეს ყრილობა [illegible] ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის და ალფავიტის [illegible] მასებს უფრო სწრაფად იარონ პროგრესის გზაზე.

თურქ მასწავლებელ ქალის ამ [illegible] კრება დიდის აღფრთოვანებით შეეგება.

ყრილობამ მიიღო მილოცვა ამხ. ჩიჩერინისა და სხვა მრავალთაგან.

ამით გათავდა ყრილობის პირველი სხდომა.

მუსოლინი „თავს იმართლებს“

პარიზი, 27 თებ. „პტი პარიზიენის“ კორესპონდენტთან საუბარში მუსოლინი ამართლებს თავის უკანასკნელ სიტყვას იმით, რომ ავსტრიასა და გერმანიაში გაძლიერდა მილიტარისტული მანიფესტაციები. იტალიის მთავრობას განზრახული აქვს გაგზავნოს ყოფილ ჯარისკაცთა ოჯახები ზედა ადიჯის იტალიანიზაციის მოსახდენათ. საერთო საფრთხემ, მუსოლინის სიტყვით, უნდა დააახლოვოს ერთმანეთთან საფრანგეთი და იტალია. დასასრულ მუსოლინიმ მხარი დაუჭირა ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისათვის ადგილის მიცემას.

პანების სამეფოში

„ძირს პოლონეთის მებრძოლი შოვინიზმი“.

ვარშავა 27 თებერვ. პოლონეთ-საფრანგეთის და გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულების პირველი წაკითხვის დროს სეიმის ტრიბუნაზე სკშინსკის გამოჩენამ ოპოზიციის დიდი აღშფოთება გამოიწვია. რამოდენიმე წუთის განმავლობაში დარბაზში დიდი ხმაური იდგა. დეპუტატები ბრახუნობდნენ და ჰყვიროდენ: „მოგვეცით ამნისტია. ძირს პოლიცია. ძირს პოლონეთის მებრძოლი შოვინიზმი. გაუმარჯოს უკრაინულ სკოლას, პურის და სამუშაოს! გახსენით უმცირესობათა დახურული ეკლესიები.

როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა, სკშინსკიმ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. სკშინსკის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემოსულია წინადადება ხელშეკრულებები უკამათოდ გაგზავნილ იქნეს გარეშე საქმეთა კომისიაში.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს რეგლამენტის დარღვევის გამო. როცა თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, ოპოზიციამ ობსტრუქცია მოაწყო. თავმჯდომარე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა სხდომა.

პოლონეთი უარყოფს

ვარშავა, 26 თებერვ. პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური განცხადება:

„უცხოეთის პრესაში მოთავსებულ იქნა ცნობები, რომლის თანახმად სკშინსკიმ ინგლისის ელჩს პოლონეთში მაქს მილერს განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთს ერთა ლიგის საბჭოში არ მიეცემა მუდმივი ადგილი, ის გამოვა ერთა ლიგის შემადგენლობიდან და შეიცვლის ორიენტაციას საბჭოთა კავშირისკენ. პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტო აცხადებს, რომ ასეთ საუბარს სკშინსკისა და მილერს შორის არ ჰქონია ადგილი“.

პირველი ნაბიჯი

ვარშავა, 26 თებ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ სეიმში შეიტანა პოლიტიკური ამნისტიის პროექტი.

ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამნისტიის პროექტი არის პოლონეთის სოციალისტური პარტიის პირველი ნაბიჯი კოალიციიდან გამოსასვლელად.

კომუნისტურ ორგანიზაციის დევნა

ვილნო, 26 თებერვ. გაზეთების ცნობით, პოლიციამ ბელოსტოკში აღმოაჩინა მკერავთა კომუნისტური უჯრედი. დაპატიმრებულია 7 კაცი.

სხვადასხვა

— **32 სასიკვდილო განაჩენი.** სლივნოს (ბულგარეთი) არალეგალური ორგანიზაციის საქმის გამო 150 ბრალდებულიდან 32-ს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, 12-ს უვადო იძ.

— **პარტიზანები სამხრეთ-სლავიისა და ბულგარეთის საზღვარზე.** ბულგარეთის ბეჭდური გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის საზღვარზე პარტიზანებმა მოქმედება განაახლეს.

მდგომარეობა ჩინეთში

ლი-ჩინ-ლინს იერიშები მიაქვს ტიან-ცზინზე

პეკინი, 26 თებ. მუკდენის გენერალმა ლი-ჩინ-ლინმა, რომელსაც ჩჟი-ლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ეჭირა, 20 თებერვალს დაიწყო შეტევა ტიან-ცზინისაკენ და 25 თებერვალს უკვე მიაღწია [illegible]ანამდე, რომელიც ტიან-ცზინიდან 50 კილომეტრით არის დაშორებული.

ლი-ჩინ-ლინის წინააღმდეგ გაიგზავნა პირველი სახალხო არმიის ორი დივიზია. მოსალოდნელია პირველი და მეორე სახალხო არმიის გაერთიანებულად გამოსვლა ლი-ჩინ-ლინის წინააღმდეგ.

საბაჟო კონფლიქტი მოგვარებულია

პეკინი, 26 თებ. 26 თებერვალს უცხოელ ჟურნალისტების მიღების დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა ვან ჩჟენ-ტინმა განაცხადა, რომ კანტონიდან მიღებული დეპეშის თანახმად საბაჟო კონფლიქტი მოგვარებულია.

როიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კონფლიქტის მოგვარებამ შედეგათ მოჰყვა [illegible] დაბრუნებას, რომელიც [illegible] ჰქონდათ დაკავებული.

კანტონის ბლოკადის გამოძახილი

პეკინი, 26 თებ. კანტონის ბლოკადამ, რომელიც ინგლისმა გამოაცხადა, აღშფოთება გამოიწვია შანხაის მოსახლეობის ყველა კლასებში.

სავაჭრო პალატამ, სტუდენტთა კავშირმა, პროფკავშირთა საბჭომ, ქალთა ლიგამ და სხვა ორგანიზაციებმა პეკინის მთავრობას პროტესტი გაუგზავნეს, რომელშიაც მოითხოვენ ზომების მიღებას ბლოკადის ლიკვიდაციისათვის.

კანტონის მთავრობას ამ ორგანიზაციებმა გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მას სოლიდარობას უცხადებენ და დახმარებას აღუთქვამენ.

მღელვარება აგრარულ ნიადაგზე

ჩეხო-სლოვაკიაში

პრაგა, 26 თებერ. სლოვაკიაში უნგრელ მსხვილ მემამულის ესტერჰაზის მამულში ადგილი ჰქონდა მღელვარებას აგრარულ ნიადაგზე. 400 გლეხმა ძალით დაიკავა 1,600 დესეტინამდე მიწა და შეუდგა მის დამუშავებას. მემამულის საკუთრების დასაბრუნებლად პოლიცია და ჟანდარმერია გამოიძახეს.

ესტერჰაზის მიწა დანაწილებული უნდა ყოფილიყო და გადაცემოდა გლეხებს. მაგრამ მიწების დაყოფას მუდამ [illegible] განუსაზღვრელი ვადით. მიწების დაყოფის უკანასკნელ ვადათ 1927 წელი დანიშნეს.

მემამულის ადმინისტრაცია გლეხებს უდიერად ეპყრობოდა. ადმინისტრაციამ გლეხებს კოლექტიურ ხელშეკრულებების ხელის მოწერაზე ამის წინად ცივი უარი უთხრა.

ბრატიანუს გადადგომა

ბერლინი, 27 თებერვ. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, ბრატიანუს კაბინეტი გადადგა.

ბრიანის დამარცხება

ლონდონი, 27 თებერვ. „დეილი მეილ“-ის პარიზის კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიანის კაბინეტი დეპუტატთა პალატაში დამარცხდა მაროკოს და სირიის ომებისთვის დამატებითი კრედიტების საკითხის განხილვის დროს.

გაცხარებულ კამათის დროს კომუნისტები და სოციალისტები თავს ესხმოდენ მთავრობას მისი პოლიტიკისათვის სირიაში და მაროკოში. ფიქრობენ, რომ მთავრობა მიმართავს სენატს კრედიტის აღდგენისათვის.

ფაშისტური ტერორი

კომუნისტების მოწოდების კონფისკაცია

ვენა, 26 თებერვ. რუმინეთის „[illegible]“ იტყობინება, რომ კომუნისტების არალეგალური მოწოდების კონფისკაცია, რომელშიც კომუნისტები მოუწოდებდენ გლეხებს ბრძოლისაკენ ლიბერალური მთავრობის დასამხობად და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად.

პატიმრების წამება

ვენა, 26 თებერვ. მუშა ერჩი, რომელსაც ბრალად ედება ანტი-მილიტარისტული პროპაგანდა, წამებისაგან ციხეში გარდაიცვალა.

სასტიკათ აწამეს აგრეთვე კომუნისტი დეპუტატი კოსტა ნოვაკოვიჩი და მუშები მილორად პეტროვიჩი და მილუტინ პეტროვიჩი.

[illegible]

[illegible], 26 თებ. [illegible]

საყოველთაო ჩხრეკა

ვენა, 26 თებ. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, მთავრობამ [illegible] ორგანიზაციის კვალს, რომელიც ანტი-მილიტარისტულ პროპაგანდას ეწეოდა სამხრეთ სლავიის არმიაში.

მეორე ქვეითი პოლკში მოხდა საყოველთაო ჩხრეკა. დატუსაღებულია რამოდენიმე ჯარისკაცი, რომელთაც ბრალდებათ ანტი-მილიტარისტული პროპაგანდა და კომპარტიის წევრობა.

საქართველოს 1925-1926 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი(*)

3

განათლებისაკენ მისწრაფება, ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ზრუნვა—მოსახლეობის ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამისათვის ხარჯების მეორე ჯგუფს—სოციალ-კულტურულ ხარჯებს — ადგილობრივ ბიუჯეტში უჭირავს და კიდევაც უნდა ეჭიროთ პირველი ადგილი. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯები ა. წ. ბიუჯეტში გამოიხატება 7.390.512 მან., და შეადგენს ბიუჯეტის მთელი საგასავლო ნაწილის 47%-ს.

შარშანდელ 6.503.689 მან. რაოდენობის ხარჯებთან შედარებით (გასულ წელს ამა ჯგუფის დანიშნულების თანხა უდრიდა 3.591.689 მან., ხოლო ამ თანხას უნდა დაემატოს 2.887.000 მან. და 25.000 მან., რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით შარშან იმავე ხარჯებისათვის იყო გათვალისწინებული), სოციალ-კულტურულ საჭიროებათა ხარჯები გაიზარდა 886.823 მან., ანუ 13,6%. ეს ზრდა გამოწვეულია იმით, რომ წლის ნავარაუდევი იყო პედაგოგიურ და მედიკურ პერსონალისათვის ხელფასის მომატება და სკოლების ქსელის გაფართოება.

ბიუჯეტის დიდი დეფიციტის გამო ჩვენ იძულებული ვართ ის სასუბვენციო (მიზნობრივი) ფონდი, რომელიც გათვალისწინებული იყო ადგილობრივ მომუშავეთა (მათ რიცხვში მასწავლებლების და ექიმების) ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დეფიციტის დაფარვას მოვანდომოთ, და ამ რიგად შევაჩეროთ წელს როგორც ხელფასის ფონდის ზრდა, ისე სკოლების ქსელის გაფართოება. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ შეჩერება ასეთი ძირითადი საჭიროების ხარჯების ზრდისა, როგორიც არის სახალხო განათლება, სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და სხვა კულტურული საჭიროებანი — საბჭოთა ხელისუფლებისათვის სრულებით არაჩვეულებრივი მოვლენაა და აიხსნება იმ წარმოუდგენელ დისპროპორციით, რომელიც ერთი მხრით ადგილების ნივთიერ შესაძლებლობათა სიმცირისა, ხოლო მეორე მხრით საქართველოს მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა სიდიდის შორის არსებობს.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნილებანი, შემდეგიდან დავინახავთ: მიუხედავათ ასეთი დიდ 7.390.512 მან. რაოდენობის ხარჯებისა, რომელიც შეადგენს მთელი ბიუჯეტის 47%—სკოლის გარე დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა საშუალოდ 68,8% უდრის, ზოგიერთ მაზრებში-კი 80% (გორის მაზრაში), ხოლო სვანეთში —89%-ს.

მეორე მხრით შემდეგი ცნობებიდან დავინახავთ იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მოსახლეობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებით.

	ერთი საავადმყოფო კვ. კილომ. მიხედ.	მოქმედების რადიუსი.	ერთი საწოლი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.
უ. ს. ს. რ.	596	12,5	1.295
რ. ს. ფ. ს. რ.	—	—	842
ბ. ს. ს. რ.	1078	16	1.548
ა/კ. ს. ფ. ს. რ.	1324	18,2	3.703
საქართველო	54	—	2.725

სოციალ-კულტურულ ხარჯთა ხვედრი წონა მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში შემდეგნაირად გამოიხატება:

			მოსახლეობის თვითეულ სულზე.	
	1924—25 წ.	1925—26 წ.	1924—25 წ.	1925—26 წ.
რ. ს. ფ. ს. რ.	45,7%	—	2 მ. 37 კ.	—
უ. ს. ს. რ.	38,7%	—	1 მ. 83 კ.	—
საქართველო	46,6%	47%	3 მ. 11 კ.	3.53

საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტიანობის გამო ამ წელში საჭირო ხდება შეჩერდეს კულტურულ-სოციალურ ხარჯების ზრდა და მისი დატოვება წარსული წლის დონეზე, მაშინ როდესაც რ. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. რ-ში, სადაც ამ წლის ბიუჯეტი 20-25% ფართოვდება, იგივე ხარჯები შესაფერისად გაიზრდება.

მესამე ჯგუფის საწარმოვო-სამეურნეო ხარჯებისათვის ნავარაუდევი იყო ამ წელს 2.464.612 მან. წინა წლების 3.180.418 მანეთის ნაცვლად, რაც შეადგენს 414.806 მან. ე. ი. 15,9%-ით შემცირებას. მათი ხვედრითი წონა შარშან შემდეგნაირად გამოიხატებოდა: რუსეთის საბჭ. სოც. ფედერატიული რესპუბლიკა—25,3% უკრაინის საბჭოთა რესპუბ.—29,9% საქართველოს საბჭ. რესპუბლიკა—31,6%, წელს საქართველოში იგი უდრის მხოლოდ 15,9%-ს, რუსეთის ს. ს. ფედ. რესპუბლ. და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაში კი იგი გაიზრდება იმის მიხედვით, რამდენადაც მიმდინარე წელს გაიზრდება მათი ბიუჯეტი.

სურათის მეტი სიცხადისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეურნეო-საწარმოო ხარჯთა ხსენებულ 2 მილ. 465.612 მან. რაოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილი—1.602.839 მან.—იხარჯება კომუნალურ ქონებაზე და კომუნალურ წამოწყებებზე, ე. ი. სახელდობრ ქალაქებზე, და თვით სოფლის წარმოებითი ხარჯებისათვის-კი რჩება მხოლოდ 862.773 მან., რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: გზებისათვის—229.097 მან., სასოფლო მეურნეობისათვის — 588.005 მან., ახალ მშენებლობისათვის 199.998 მ. და ადგილობრივ მრეწველობისათვის —მხოლოდ 45.671 მან.

აი ის მატერიალური ფუძე, ის შემოსავლო წყაროები,—რომელზედაც შენდება და ეყრდნობა (გადასახადების და სახელმწიფო დახმარების გარდა) ადგილობრივი ბიუჯეტი, ე. ი. ბიუჯეტი ჩვენი მაზრებისა, ქალაქებისა და თემებისა. ადგილობრივ საწარმოო წამოწყებათა და სხვა არა საგადასახადო ხასიათის შემოსავლის ობიექტების უქონლობას, რომელთაც შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო და სხვა გადასახადების შემცირებით გამოწვეულ წლევანდელ დანაკლისის ანაზღაურება, მოჰყვა ის, რომ ამა წლის ბიუჯეტი შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით, რომელიც უდრიდა 13.568.906 მან. (ამ თანხას ემატება ხარჯები, რომელსაც შარშან სახელმწიფო ფარავდა), 1.453.906 მან., ანუ 10,7%-ით შემცირდა.

ამ გვარად, თუ ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯი მოსახლეობის თვითეულ სულზე შარშან 6 მ. 49 კ. გამოიხატებოდა, წლეულს ის 5 მ. და 70 კაპ-მდეა დაყვანილი. იგივე ხარჯი შეადგენდა შარშან რ. ს. ფ. ს. რ.-ში 4 მ. 86 კ. უ. ს. ს. რ.-ში 4 მ. 64 კ.; ამ წელში ის იმატებს რ. ს. ფ. ს. რ.-ში და უ. ს. ს. რ.-ში პროპორციონალურათ მათი ბიუჯეტის ზრდისა.

ადგილობრივ ბიუჯეტის მდგომარეობის სურათი მთლიანად და სავსებით არ იქნებოდა გაშუქებული, თუ აქ არ აღვნიშნავდით ჩვენი ბიუჯეტის ერთ ნიშანდობლივ თავისებურობას — სხვა რესპუბლიკების ბიუჯეტებთან შედარებით: ბიუჯეტის 15.593.822 მან. საერთო ჯამიდან მარტო იმ ხელფასზე, რომელიც ეძლევა მასწავლებლებს, აგრონომებს, ექიმებს, მილიციას, ადმინისტრატიულ და სხვა თანამდებობათა პირებს—მიდის 10.876.383 მან., ანუ ბიუჯეტის 69,8%—დანარჩენ, ე. ი. საკანცელარიო, სამეურნეო, საოპერაციო, მივლინების, სასურსათო, შეკეთებათა, ინვენტარის და წამლეულის შეძენის, ახალ მშენებლობის, ყრილობების და სხვა ხარჯებს-კი მხოლოდ 4.717.439 მან., ანუ 30,2% რჩებათ. რუსეთის და უ. ს. ს. რესპუბლიკებში იმავე ხელფასის პროცენტი განიცდის მერყეობას 40—45%-მდე, აზერბეიჯანში იგი 54,2% უდრის, ხოლო სომხეთში—48,2%.

როგორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოხსენებულიდან? დასკვნა მხოლოდ ერთია.

ვინაიდან ადგილებს, თანახმად ადგილობრივ ფინანსების შესახებ დროებითი დებულებისა, მიენიჭათ მეტად მცირე უფლებანი და შეზღუდული საფინანსო შესაძლებლობანი, იმავე დროს საქართველოს ეკონომიკა ძლიერ განუვითარებელი და ჩამორჩენილია, რითაც აიხსნება ადგილებზე არასაგადასახადო შემოსავალთა წყაროების უქონლობა, საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც ეყრდნობა გადასახადებს, განსაკუთრებით-კი პირდაპირ გადასახადებს, არ შეიძლება ყოფილიყო და არც შეიძლება იყოს უდეფიციტო; დეფიციტი კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს და ბიუჯეტი დარჩება სახელმწიფოს ხარჯზე, სანამდის მას არ ექნება მტკიცე მატერიალური ფუძე. ამისათვის-კი საჭიროა 1) ადგილებისათვის გადაცემა გადასახადების და გამოსაღებების ახალ ანარიცხებისა და უკვე არსებულ, ძველ ანარიცხების გადიდება; 2) ადგილობრივ ბიუჯეტის განტვირთვა ზოგიერთ შეუფერებელ ხარჯებისაგან; 3) ამ უკანასკნელისათვის ადგილობრივ მნიშვნელობის წამოწყებების დაბრუნება და 4) რაც ყველაზე უფრო საჭიროა, სასოფლო მეურნეობის საქონლიანობის დონის აწევა, ადგილებზე მრეწველობის იმ დარგების განვითარებით, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობის პროდუქციის გადამუშავებას მოკიდებს ხელს.

პირველი ორი ღონისძიება ცხოვრებაში მომავალ საბიუჯეტო წელს იქნება გატარებული. ს. ს. რ. კ. ფინსახკომმა უკვე დაამუშავა ადგილობრივ ფინანსების შესახებ დროებითი დებულების ახალი პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია როგორც გადიდება ადგილების სასარგებლოთ გადასაცემ ანარიცხებისა,—აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტის ზოგიერთ ხარჯებისაგან განტვირთვა.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის კოლეგიამ ხსენებულ პროექტში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება და დამატება—ადგილობრივ ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების გაძლიერების მიზნით.

მესამე ღონისძიების განსახორციელებლად საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების მიერ დაარსებულია კომისია, რომელსაც დაევალა ადგილობრივ და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის ქონების განსაზღვრა.

მეოთხე ღონისძიება — სასოფლო მეურნეობის საქონლიანობის გაძლიერება, მრეწველობის განვითარების საშუალებით, ისეთ ამოცანას წარმოადგენს, რომლის შესრულებას დაუყოვნებლივ წელსვე უნდა შევუდგეთ. ხოლო მისი საბოლოო გადაწყვეტა შესაძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში.

ადგილებმა მიზნად უნდა დაისახონ, ყოველ მაზრაში თითო ქარხანა და წამოწყება მაინც ააგონ, სადაც შესაძლებელი იქნება ადგილობრივ მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა და გადამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ამა თუ იმ მეურნეობის განვითარებას და გაფართოებას და მასთან გააძლიერებს ამ ქარხნებში შრომის ინტენსივობას და გააუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას. მაშინ ეს წამოწყება ადგილობრივ ბიუჯეტის ახალ საშემოსავლო წყაროთ გარდაიქცევა.

ასეთ წამოწყებების შესაქმნელათ მეტად ხელსაყრელი პირობებია. საბჭოთა კავშირის მეურნეობა შეუჩერებლად იზრდება და მასთან იზრდება მისი მოთხოვნილობა ჩვენი წარმოების პროდუქციაზე და ფაბრიკატებზე.

არც მსოფლიო ბაზარი ჩამორჩება მას; კავშირი ამ უკანასკნელთან სულ უფრო და უფრო მტკიცდება.

თვით საქართველოში ჩვენ ვხედავთ ისეთ ფაქტორებს და წინაპირობებს, რომლებიც პირდაპირ აუცილებლად ხდიან ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნახევრად ნატურალურ წარმოების წესიდან—უფრო მაღალ—სასაქონლო, ინდუსტრიალურ წესზე გადასვლას.

საქართველოს სასოფლო მეურნეობამ თითქმის მიაღწია ომიანობამდე არსებულ დონეს, ხოლო მისი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ახალ საწარმოო ფორმების შემოღებაზე და საზოგადოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაზე.

მეორე მხრივ — მცენარეულობის კულტურათა სხვადასხვაობა, რომელიც აიხსნება საქართველოს ბუნებრივ—ისტორიულ და სამეურნეო-ეკონომიურ პირობათა სხვადასხვაობით—შეძლებას გვაძლევს თითქმის ყოველ მაზრაში და რაიონში დავაარსოთ ასეთი წამოწყებანი.

საქართველოს საგეგმო კომისიამ შეადგინა როგორც ამამუშავებელ, ისე ამომღებ მრეწველობის დარგის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნების საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვები. ამ ხარჯთ-აღრიცხვებში გამოანგარიშებულია არა მარტო ქარხნების აგება-მოწყობის ღირებულება და საჭირო საბრუნავ თანხების რაოდენობა, არამედ შესწავლილია თვითეულ რაიონის შესაძლებლობანი ნედლეულის მხრივ და ბაზრის ტევადობა თვითეულ პროდუქციის მიხედვით.

ამომღებ მრეწველობის დარგში ამჟამად შესაძლოა შემდეგ წამოწყებათა დაარსება.

1. **ბეკონის ქარხანა** — ქარხანა, რომელიც გადაამუშავებს ღორის ხორცს — განსაკუთრებით საზღვარგარეთ გასატანათ. მთავარი ბაზრები —ინგლისი და დანია. ქარხნების აგების რაიონები — სენაკის, ზუგდიდის, სამტრედიის და თელავის მაზრები, ე. ი. ადგილები, სადაც მოსახლეობა მეღორეობას ეწევა და სადაც ღორებისთვის მოიპოვება საუკეთესო საზრდო — სიმინდი.

ბეკონი კეთდება ისეთ ღორის, სახელდობრ „მეტისი“-ს ხორცისაგან, რომელიც წარმოიშვა ადგილობრივ და იორკშირის ჯიშების შერევისაგან.

მეტისების მოსაშენებლად საჭიროა 100 ბუნაგი, თვითეულში 3 ღორით. 100 ბუნაგის მოწყობა და ქარხნის აგება გამოანგარიშებულია 275.000 მან.

2. **კონიაკის ქარხნები,** სადაც გადამუშავებული იქნება პროდუქცია ჩვენი ქვეყნის მთავარი საწარმოო დარგისა — მევენახეობისა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის 1/6 ნაწილი ეწევა. გამსაღებელი ბაზარი—შინა-საკავშირო. ქარხნების ასაგები რაიონები: თელავის, ზესტაფონის, ბორჩალოს, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრები. ერთი ქარხნის მოწყობის ღირებულება — 61.000, საბრუნავი თანხა 50-დან — 100.000 მან.-მდე.

3. **ყველის და ერბოს საკეთებელი ქარხნები.** გამსაღებელი ბაზარი — შინა-საკავშირო. ქარხნების აგების რაიონი — სამხრეთ-ოსეთი, აჭარისტანი, თბილისის, დუშეთის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები. ქარხნის მოწყობის ღირებულება 16.000 მან. საბრუნავი თანხა 17.000 მან-დან —34.000 მან.-მდე.

4. **ხილის და ბოსტნეულობის საკონსერვო ქარხნები**—გორის, ახალციხის და ქუთაისის მაზრებში. ბაზარი —შინა საკავშირო. ერთი ქარხნის მოწყობა საბრუნავ თანხიანად — 46.000 მან.-დან — 130.000 მან.-მდე, ქარხნის წარმოებითი უნარის მიხედვით.

5. **თხილის და კაკლის დასარჩევი ქარხნები** ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. ბაზარი შინა-საკავშირო. მოწყობის ღირებულება 60.000 მან.-დან—120.000 მან.-მდე.

6. **საკრამიტეები და აგურხანები** ზუგდიდის, შორაპნის, გორის, თელავის და ახალსენაკის მაზრებში. ბაზარი — შინა-საკავშირო მოწყობის ღირებულება — 55.000 მან., საბრუნავი თანხა — 10.000 მან.

7. **საულტიზაციო ქარხანა,** რომელიც დაამუშავებს მიწის სასუქს, წებოს და სხვ., — ქ. თბილისში. ბაზარი — შინაური. მოწყობის ღირებულება — 43.000 მან., საბრუნავი თანხა — 10.000 მან.

რაც შეეხება ამომღებ მრეწველობას — შესწავლილია და შედგენილია შემდეგი საგნების ხარჯთ-აღრიცხვები.

1. **ჯანგმინა** (ოხრა) ქუთაისის მაზრაში. ბაზარი—შინა-საკავშირო. ამოღების მოწყობას და საბრუნავ თანხას დასჭირდება 15.000 მან.

2. **ხურინჯი**—შორაპნის მაზრ.—ისიც 15.000 მან.

3. **მძიმილო** (ბარიტი) ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრებში. ბაზარი — შინა საკავშირო. წისქვილის მოწყობა—150.000 მან. მარტო ამოღება და ჩარეცხვა, უწისქვილოთ — 50.000 მან.

4. **ქვიცარცა** (ინფუზორის მიწა) ახალქალაქის, ახალციხის და გორის მაზრებში. წისქვილის მოწყობა — 100.000 მან., საბრუნავი თანხა — 50.000 მან.

5. **სალიტოგრაფიო ქვა** თბილისის და დუშეთის მაზრებში. გასაღება — შინაურ და უცხოეთის ბაზარზე. ძირითადი და საბრუნავი თანხა 128.000 მან.

აი ის ქსელი სამრეწველო წამოწყებებისა, ურომლისოდ ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება და მისი დაყენება საქონლის წარმოების გზაზე. სხვა გზა არ არის.

თუ ასეთ მატერიალურ ფუძეს ვერ შევქმნით, ბიუჯეტის აგებაც შეუძლებელი გახდება. ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის გამო, რომელიც მიმართულია გლეხობისაგან ასაკრეფ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, ამ ერთად-ერთ პირდაპირ გადასახადის, თანდათანობითი შემცირებისა და ბოლოს სრულიად გაუქმებისაკენ, ადგილობრივ ბიუჯეტის ბედი, როგორც ჩვენ სასოფლო მეურნეობის მომავალ განვითარების ბედიც, ეყრდნობა სწორედ იმ კაპიტალს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ზემოაღნიშნულ წამოწყებათა შესაქმნელათ.

ამიტომ მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ეს სახსარი უსათუოდ გამოძებნოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს ადგილობრივ მრეწველობის შექმნას.

განხორციელება ამ საამშენებლო გეგმისა, რომელიც თანდათან გაფართოვდება და შეივსება, ერთსა და ორი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ თუ სახსარს გამოვძებნით, წლეულსვე უნდა ავაგოთ რამდენსაც მოვახერხებთ, დანარჩენი — შემდეგისათვის.

მომავალი წლის ბიუჯეტში ახალმა მშენებლობამ უნდა დაიჭიროს უპირველესი ადგილი. და თუნდაც ამან გამოიწვიოს სხვა საჭიროებათა ხარჯების ზრდის დროებითი ნელი სვლა, ჩვენ მაინც მშენებლობას უპირატესობა უნდა მივცეთ.

თუ ვერ შევძლებით ახალი მშენებლობა სოფლის მეურნეობაში, ამ უკანასკნელის შემოსავლიანობის აწევა, შეუძლებელი იქნება ადგილობრივ ბიუჯეტის უდეფიციტოთ აგებაც.

დეფიციტიან მეურნეობას, როგორიც არის ამ ჟამათ საქართველოს თითქმის ყველა გლეხის მეურნეობა, მხოლოდ დეფიციტიანი ბიუჯეტის მოცემა შეუძლია.

გ. მგალობლიშვილი.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ №№ 36,40.

ამხ. ტროცკი საქართველოს შესახებ

სიტყვა, წარმოთქმული ამიერ-კავკასიის სათვისტომოს კრებაზე მოსკოვში

მოსკოვი, 26 თებერვ. ამიერ-კავკასიის სათვისტომოს კრებაზე, რომელიც 25 თებერვალს შესდგა საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, ლ. დ. ტროცკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

— ამხანაგებო, ნება მომეცით მხურვალე ძმური სალამი მოგიძღვნათ საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლისთავზე. ეს არის დღესასწაული, რომელსაც ჩვენ თქვენთან ერთად ვიხდით. საქართველოს ისტორია, მისი რევოლიუციონური ისტორია, წარმოადგენს უაღრესად საგულისხმო თავს ყოფილ მეფური რუსეთის ხალხთა ბრძოლის ისტორიაში. ქართველი ხალხის ბედზე ჩვენ—მარქსისტებს ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ.

იუბილე არ საჭიროებს ისტორიულ გამოკვლევებს, მით უფრო მე ნაკლები უფლება მაქვს ამისთვის, რადგან საქართველოს ისტორიას დაწვრილებით არ ვიცნობ. მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლის საერთო ცოდნა საკმაოა იმისათვის, რომ მრავალი ყალბი შეხედულება გავფანტოთ და ზოგიერთი ჭეშმარიტება ცხადვყოთ.

პირველ ყოვლისა, შევეხოთ იდეოლოგიურ სიყალბეს, თითქოს თვითეულ ხალხს თავისი მუდმივი და უცვლელი ნაციონალური ხასიათი ჰქონდეს.

სწორედ ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ნაციონალური ხასიათი [illegible] მოვლენაა, რომელიც ობიექტიურ პირობების მიხედვით იცვლება. თვალი გადავავლოთ წარსულს. ქართული ხასიათის შესაფასებლად მივმართოთ ჩვენს კლასიკურ პოეზიას. მე ამის გამოკვლევას სპეციალურად არ შევუდგომივარ, მაგრამ შემთხვევით ხელთ მაქვს რამდენიმე სტრიქონი პუშკინის და ლერმონტოვის ლექსებიდან. თუ კლასიკურ პოეტურ სახეებს ამ ხასიათს შევადარებთ, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში საქართველოს და ქართველი ხალხის სახელთან არის დაკავშირებული, (კითხულობს რამოდენიმე სტრიქონს პუშკინიდან და ლერმონტოვიდან: „ილტოდნენ მხდალნი ქართველნი“) და ჩვენ დავინახავთ, რომ ამ პოეზიაში ქართველების სიმხდალეზე და მცონარეობაზე ლაპარაკი.

აი ორი განმარტება: სიმხდალე და მცონარეობა. ეს გვაძლევს წარმოდგენას უმოქმედობისა, სიზარმაცისა, ჭადარის ხეზე და სხვ. ძველი მეფის დროს, თავად-აზნაურული საქართველოს ხალხი და ყმა-გლეხები ითვისებდენ თავისი ქვეყნის უმოქმედობას. მაგრამ აი იწყება 1905 წელი. 1917 წლის ბრძოლის ამბები გვიმტკიცებს, რომ ნაციონალური ხასიათი დაუსრულებლად მოქნილია.

რადგან, როცა ახალგაზრდა ხალხი, ცოცხალი ძალებით მოექცევა რევოლიუციაში, მაშინ მისი ხასიათი იცვლება არა საუკუნეების, არამედ ათეულ წლების განმავლობაში. მცონარე ქართველი ხალხი, მოდუნებული გლეხკაცობა—ეს წინანდელი თავადაზნაურობის გლეხკაცობაა. ეხლა კი ამ ერის გლეხებმა, რომელსაც შედარებით მცირერიცხოვანი პროლეტარიატი ჰყავს, წარმოშვეს დიდძალი ინტელიგენცია. საქართველომ დიდი როლი ითამაშა ცენტრალური რუსეთის ხალხთა განთავისუფლების და ბრძოლის ისტორიაში, რადგან რუსეთის მენშევიკები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქართველ ინტელიგენციის ისტორიასთან,—ეს ინტელიგენცია წარმოშობით თავად-აზნაურულ, ნახევრად თავადურ, წვრილ-მესაკუთრეობრივ და, ნაწილობრივ, მეშჩანურ ინტელიგენციას წარმოადგენდა.

მაგრამ საქართველო ძალიან გვიან გამოვიდა რევოლიუციისა და რევოლიუციონური ბრძოლის ასპარეზზე ისე, რომ ხელმძღვანელებს აღარ შეეძლოთ დაკმაყოფილებულიყვნენ ძველი მეშჩანური იდეებით. საქართველოში დემოკრატიამ ჩაიდინა ყველაზე დიდი თვალთმაქცობა, მიტომ რომ, თუმცა ის წარმოშობით თავადური და ნახევრად თავადური იყო, თავისი დემოკრატიული ამოცანებიდან კულტურულ - ბურჟუაზიული პროგრამა შეიმუშავა.

მაგრამ ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იყო დაყრდნობა გლეხთა მასებზე, საჭირო იყო ცენტრალური რუსეთის ხალხთა მასებთან დაკავშირება. რა გზით უნდა მომხდარიყო ეს დაკავშირება? სად იყო ლოზუნგები? დემოკრატიის ძველი იდეები, რომელიც ევროპის რევოლიუციონურმა ინტელიგენციამ შეიმუშავა მე-18 საუკ. ბოლოს და მე-19 საუკუნის შუა წლებში, გახუნდა და გაცვდა. ამიტომ რევოლიუციონური ინტელიგენცია, განსაკუთრებით საქართველოში, იძულებული გახდა მარქსიზმის იდეოლოგიის ნიღაბი აეფარებინა, მაგრამ ეს იდეოლოგია დაესაჭურისებინა და მისთვის ცხოველმყოფელი სული ამოერთვა.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ნორჩი რევოლიუციონური აკადემიის მარქსისტებისათვის ეს მეტად საინტერესო ისტორიული მოვლენაა.

ქართველმა მენშევიკებმა ნამდვილი მასკარადი გამართეს იმ პერიოდში, როცა მათ სურდათ მოეტყუებიათ—არა მარტო სხვები, არამედ თავიანთი თავიც და ამ მიზნის მისაღწევად მარქსიზმის ნიღაბს იფარებდენ. შემდეგ ჩვენ დავინახეთ როგორ დაეცნენ მენშევიკები, როგორი ბინძური საქმეები მოხდა ქართველ მენშევიკების ხელმძღვანელობით, როგორ სძულთ მათ საბჭოთა საქართველო. მთელს ევროპაში ქართველ მენშევიკების ხელმძღვანელობით ვრცელდება საზიზღარი ცილისწამება საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

ეს არის მარქსისტული იდეოლოგიის სისწორის ერთ-ერთი თვალსაჩინო საბუთი, რომელიც მოწმობს, თუ როგორ ცვალებადობას განიცდიან რევოლიუციონური იდეები და როგორ იცვლიან ისინი შინაარსს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მათი წარმომადგენელი.

თაღლითობა და თვალთმაქცობა იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკის საერთო მოვლენაა.

მაგრამ არის კიდევ მეორე დიდი გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერ ამოვსწურეთ. ეს გაკვეთილი გვეუბნება, რომ ეხლანდელ მსოფლიო მეურნეობის პირობებში, როცა მთელი დედამიწა ერთ სამეურნეო ერთეულად იქცა, არც ერთ ხალხს თუნდაც ის ბედის ტრიალით კავკასიის ქედს იქით იყოს გადატყორცნილი, არ შეუძლია თავი დააღწიოს მსოფლიოს მატერიალურ და იდეურ ზეგავლენას. ჩვენ ვიცით, როგორ გაიბა ერთ დროს საქართველოში მსოფლიო ურთიერთობის უდიდესი ძაფები, როგორ მოექცა ქართველი ხალხი პირველი პროლეტარული რევოლიუციის მაგარ სალტეში, ხოლო შემდეგ კონტრ-რევოლიუციის და იმპერიალიზმის (ჯერ ჰოჰენცოლერნის, შემდეგ ანტანტის) მუხრუჭში. სწორედ იმ დროიდან, როცა ბუნებით დაჯილდოებული, მშვენიერი საქართველო, თავისი მოძრავი, ნიჭიერი და მგრძნობიარე მოსახლეობით რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის სალტეებს შორის მოექცა, მას საშუალება მიეცა გაეწყვიტა ძველი კვანძი, რომელიც მას კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასულ მენშევიზმთან აკავშირებდა და ახალი ორიენტაცია გამოეძებნა პროლეტარიატის და სოციალისტური სახელმწიფოს ხაზით.

საქართველოს ბედი, მისი ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ ფეხზე დამდგარი სამეურნეო მშენებლობის ბედი ჩვენ გვიჩვენებს ერთგვარ დიდ ლაბორატორიულ გამოცდილებას, რომელმაც პასუხი უნდა მოგვცეს შემდეგს კითხვაზე: ვალდებული არიან თუ არა აღმოსავლეთის და აზიის ხალხები კაპიტალიზმი გაიარონ, სანამ სოციალიზმის კარებზე დაკაკუნების უფლება მიეცემოდეთ.

საქართველო მაღალი ინდუსტრიის ქვეყანა არ არის. საქართველო უმთავრესად გლეხური ქვეყანაა. ეს არის ქვეყანა, რომელმაც თავისი თავი სამუდამოთ ძლევამოსილ პროლეტარულ რეჟიმს დაუკავშირა, რომელმაც გლეხობის საუკეთესო ნაწილს ასწავლა თავისი ბედის დაკავშირება სოციალისტური პროლეტარიატის ბედთან. ამ ქვეყნის მაგალითზე, რომელიც თითქმის ასეთი ცდისათვის იყოს შერჩეული, ჩვენ ვხედავთ და მახლობელ წლებში კიდევ უფრო მკაფიოდ დავინახავთ, რომ გლეხურ ერს, რომელიც თავისი წრიდან შესაფერ ხელმძღვანელებს, მშენებლებს და სამეურნეო მუშაკებს შობს, რომელიც თავის ბედს პროლეტარიატის ბედს უკავშირებს, შეუძლია აშენოს სოციალიზმი ისე, რომ წინასწარ არ გაიაროს კაპიტალისტურ ურთიერთობის გზა. ამ საკითხს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თავის-თავად ცხადია, მარქსიზმის სკოლაში ჩვენ ყველას გვისწავლია, რომ სოციალიზმისაკენ კაპიტალიზმის გზით უნდა წავიდეთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველმა ხალხმა ეს გზა ბოლომდის უნდა გაიაროს, რომ კაპიტალიზმი სავსებით უნდა განვითარდეს, გლეხობის მთავარი მასების და წვრილი ბურჟუაზიის სრული პროლეტარიზაცია უნდა მოხდეს. არა. კაპიტალიზმი თავის ძირითად მუშაობას ამთავრებს იმ მომენტში, როცა უკვე მომზადებულია მატერიალური და იდეური პირობები იმისთვის, რომ პროლეტარიატმა, როგორც ყველა დაჩაგრულთა ბელადმა, შესძლოს ძალაუფლების თავის ხელში აღება და მეურნეობის ორგანიზაციის დაწყება. ამ მომენტიდან გლეხური ქვეყნის წინაშე იშლება ახალი შესაძლებლობა—სახელდობრ სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა. საქართველოში, სადაც ხალხის დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ სამეურნეო ცდა, რომელიც უდიდესი გაკვეთილი იქნება აღმოსავლეთის ერებისთვის.

რასაც ვლადიმერ ილიჩი ელექტროფიკაციის შესახებ ამბობდა, რომ ელექტროფიკაციას საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად კომუნიზმისაკენ მივყავართ,—განსაკუთრებით საქართველოში უნდა განხორციელდეს, მიტომ, რომ ეს ქვეყანა მთის მდინარეებით, მომავალი იაფი ენერგიის დაუშრეტელი წყაროებითაა მდიდარი.

ჩვენი კავშირის გლეხურ ნაწილებში, მათ შორის საქართველოშიაც მომავალში ჯერ კიდევ დიდხანს ნაკლები იქნება კვალიფიციური, თავისი ხალხისათვის თავდადებული რევოლიუციონური ინტელიგენცია. თუ ძველი ინტელიგენცია იძულებული იყო მარქსიზმის ფალსიფიკაცია მოეხდინა, რათა გზა გაეხსნა ბურჟუაზიული რეჟიმისათვის, თუ ისტორიამ ამ ინტელიგენციას უთხრა: „არა, შენ მეტად დაიგვიანეო“, სამაგიეროთ ახალ ინტელიგენციას, ახალ სტუდენტობას, მოწინავე პროლეტარიატს, საქართველოს მოწინავე გლეხობას ისტორია აღარ აიძულებს თავის მოტყუებას და ფალსიფიკაციას მიმართონ.

რაში მდგომარეობს საბჭოთა რეჟიმის შინაარსი? იმაში, რომ ის საზოგადოებრივ ურთიერთობას ბოლომდის აშკარავებს. აქ არ არის ნიღაბი, არ არის თავის მოტყუილება. ეს საჭირო იყო ფეოდალური წოდებისთვის, სამღვდელოებისათვის, მონარქიისათვის, ეს ესაჭიროებოდა ბურჟუაზიასაც.

სიყალბე და თავის მოტყუება საჭირო იყო დემოკრატიული ინტელიგენციისათვის მისი რევოლიუციონური ბატონობის საუკეთესო ეპოქაშიაც კი, ხოლო ახალი თაობის სოციალისტური ინტელიგენციისათვის, რომელიც იდეურად საბჭოთა რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბდა, ეს თავის მოტყუილება აღარ არის საჭირო. მისთვის საჭიროა მკაფიოდ და ნათლად გამოხატული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისთვის საჭიროა სწორი საზომი, რომ შეისწავლოს, შეაფასოს და გაზომოს ყოველი ნაბიჯი, გადადგმული ახალი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ.

აი რატომ აქვს ჩვენს ქართველ სტუდენტობას, განსაკუთრებით აქ, პროლეტარულ მოსკოვში, სრული შესაძლებლობა მიიღოს რევოლიუციონური გამოცდილება და სიმტკიცე, შეიგნოს ჭეშმარიტი მარქსიზმის იდეა და ამ გზით წინ წასწიოს საქართველო. ეხლა ისმება საკითხი საერთო საზოგადოებრივი ენის შექმნის შესახებ ყველა ერებისათვის. ასეთი ენის შექმნა განსაკუთრებით ძნელია ამიერ-კავკასიაში, სადაც თავს იყრიან სხვა და სხვა ერები. მაგრამ საერთაშორისო ენის მაგიერ შეიძლება შევქმნათ პირობები ურთიერთ გაგებისთვის, ხოლო ასეთი გაგება უფრო ადვილი და მოსახერხებელია იქ, სადაც ხალხი უფრო კულტუროსანია. უნდა შევქმნათ ისეთი რესპუბლიკა, მთელი რიგი სახალხო, სოციალისტური რესპუბლიკებისა, სადაც აღარ იქნებიან დაჩაგრულნი და გაყვლეფილნი ერთის მხრით და პრივილეგიებით აღჭურვილნი მეორეს მხრით.

მე წარმოდგენილი მაქვს, რომ აი, 10 წლის შემდეგ, და შეიძლება უფრო გვიანაც (მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს 5 წლისთავზე ოპტიმისტები ვიყოთ) საბჭოთა საქართველო მოაწყობს კულტურულ მეურნეობას და გახდება ჩვენი საბჭოთა კავშირის მარგალიტათ.

ამხანაგებო, მსოფლიო ბურჟუაზიას აქვს ასეთი მარგალიტები. იქ არის ბუნებით დაჯილდოებული კუთხეები, პატარა ქვეყნები, სადაც თავს იყრის მთელი ქვეყნის არისტოკრატია, როგორც მაგ. მონაკოში. საქართველოს აქვს უფლება და შესაძლებლობა გახდეს ასეთ მშვენიერ კუთხედ მუშებისა და გლეხებისათვის, როცა უკანასკნელნი აღარ იქნებიან მუშები და გლეხები. როცა ისინი კულტუროსანნი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი გახდებიან. შეიძლება ეს იქნება არა 10, არამედ 20 წლის შემდეგ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო მშვენიერი გახდება. ჩვენ შეგვიძლია მტკიცეთ და სრული რწმენით განვაცხადოთ, რომ ის დიდი მსხვერპლი, რომელიც გაიღო საქართველომ, მისმა მუშებმა, მისმა გლეხებმა, მისმა ინტელიგენციამ, ეს მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლის. ამაოდ არ დაღვრილა სისხლი, რომელმაც ნიადაგი გაანოყიერა—ჩვენ ის მოგვცემს მშვენიერ ჯეჯილს.

სასოფლო მეურნეობა

მზადება თესვის კამპანიისათვის

თელავი. სამაზრო აღმასკომის აგრონომიული პუნქტი შეუდგა მზადებას გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის. უკვე შეკეთებულია საფუძვლიანად და სამუშაოდ არის გამზადებული გუთნები, ფარცხები, სხვადასხვა სისტემის სათესი მანქანები, თესლის გასაწმენდი იარაღები და სხვა.

თესვის კამპანიის დასაწყებად პუნქტი უკვე მომზადებულია.

პუნქტი განიცდის მხოლოდ აგრონომიულ პერსონალის ნაკლებობას და საოპერაციო თანხების უქონლობას. სამაზრო აგრონომიულ პუნქტის განკარგულებაში არის მხოლოდ 2 აგრონომი, რაც მეტად მცირეა რაიონისათვის, სადაც [illegible] აგრონომზე მოდის 10 ათასი კომლი. [illegible] აგრო[illegible] რაიონის რადიუსი—30-35 ვერსს უდრის.

ვენახების აღდგენა

[illegible]

[illegible] მრავალი განცხადება, სადაც ისინი თხოულობენ სესხს ვენახებისათვის მიწის გადასაბრუნებლად და დამყნილი ვაზის შესაძენად. მხოლოდ თელავის საკრედიტო ამხანაგობაში შესულია ასზე მეტი ასეთი განცხადება. დასაკმაყოფილებლად საჭიროა 10 ათასი მან. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობის თანხით შესაძლებელია მხოლოდ შემოსულ განცხადების მხოლოდ 10 პროცენტის დაკმაყოფილება.

ვაზის მუშაობის შესასწავლი კურსები

ამ ერთს კვირაში სოფ. იყალთოში დამთავრდება ვაზის გამოსაყვანი სათბურის მოწყობა. აქვე, სახალხო [illegible] საერგესთან, აქ სამი კვირის წინად, მოწყობილი იქნა კურსები ვაზის მოვლის წესების შესასწავლად. კურსებზე ჩაწერილია 25 ქალი, რომელთაც ადგილზე შეითვისეს მყნობის ტექნიკა და სხვ.

[illegible] დაიწყეს მუშაობას [illegible]

მიწათმოსაწყობი მუშაობა 1926 წლისათვის

საქართველოს მაზრებში განიხილდა მიწათმოსაწყობი მუშაობა. მიმდინარე სამუშაო სეზონში მთავარი ყურადღება ექცევა გადმოსახლებულთა მოწყობას.

განზრახულია გამოყოფილ იქნეს მიწის ნაწილი, რომელზედაც მოწყობილნი იქნებიან იმ მაზრებიდან გადმოსახლებულნი, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა. ამავე დროს შექმნილი იქნება გადმოსასახლებელთა ფონდი. წელსვე ჩატარდება ახლად დასახლებულთა რაიონების გამოკვლევა, მთის ფერდობებზე გაშენებულ სოფლების მოწყობა, დაცურილ ადგილებიდან აყრილ გლეხების გადასახლება და სხვა.

მიმდინარე სეზონში მუშაობა იწარმოებს 10 მაზრაში. მიწათ მოწყობის თვალსაზრისით გამოკვლეული და შესწავლილი იქნება 13.268 დესეტინა, ხოლო გამოკვლევა გადასახლებულთა მოწყობის თვალსაზრისით შეეხება 8 მაზრას, სადაც გამოკვლეული იქნება 12.368 დესეტინა.

დღემდე გადასახლებულთა მოწყობას აბრკოლებს სათანადო აპარატის უქონლობა.

ამ სამუშაოებთან ერთად გამომუშავებული იქნება სპეციალური ინსტრუქცია საძოვრების ჯგუფად დაყოფის შესახებ—ნიადაგის ღირსების, მცენარეულობის და სხ. თვისებათა მიხედვით.

საძოვრებისა და სათიბების მოვლისა და დაცვის მიზნით, ყოველ მაზრაში იქნება მეთვალყურეთა და მცველთა შტატი. ამასთან ერთად მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიწათ მოწყობის განყოფილება აწარმოებს მზადებას მიწად მოსაწყობ მუშაობის ჩასატარებლად 284 სოფელში, რომელთა მიწების საერთო მოცულობა 817 დეს. უდრის.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია თბილისში

ზაჰესის და სამხედრო ნაწილების დათვალიერება

27 თებერვალს ავსტრიის მუშათა დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად: ერთი ავიდა ქართული სამხედრო ნაწილების დასათვალიერებლად, მეორე კი გაემგზავრა ზაჰესში.

პირველი ჯგუფი ესტუმრა ქართულ სამხედრო სკოლას, სადაც ყაზარმის დათვალიერების და წითელ არმიელებთან გამოსაუბრების შემდეგ დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. **ფორკაშმა** წითელ არმიელებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ნაციონალური სამხედრო ნაწილების მშენებლობის საქმეში.

მეორე ჯგუფი დილიდანვე გაემგზავრა ზაჰესში. აქ დელეგატებმა დაათვალიერეს მთავარი სამუშაოები: საგუბარი, გამათხარი, სადგურის ასაგებათ წარმოებული სამუშაოები და სხვ.

დელეგატებს ახსნა-განმარტებას აძლევდა გერმანულ ენაზე სამუშაობის ხელმძღვანელი-ინჟინერი.

ავსტრიელი სტუმრები მეტად კმაყოფილი დარჩნენ ზაჰესის დათვალიერებით.

დელეგატებმა თავისი შთაბეჭდილებები ჩასწერეს სტუმართა წიგნში, რის შემდეგაც გამოემგზავრნენ თბილისში.

დელეგაცია ამხ. შ. ელიავასთან

დღის 2 საათზე ავსტრიის მუშათა დელეგაცია მიიღო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ—ამხ. **ელიავამ**, რომელმაც დელეგაციისადმი მიმართულ ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით დაახასიათა საქართველოს ეხლანდელი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა.

დელეგატები მეტად კმაყოფილი დარჩნენ ამხ. ელიავას მოხსენებით, მათ მადლობა გადაუხადეს მას ვრცელი ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში ავსტრიის მუშათა დელეგაციის საპატივცემლოდ შედგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საზეიმო სხდომა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წევრების თანადასწრებით.

საზეიმო სხდომა გახსნა პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. **ყურულაშვილმა**, რომელმაც დელეგატებს მიმართა მოკლე მისასალმებელი სიტყვით:

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

— ამხანაგებო, იმ დელეგაციაში, რომელიც ჩვენ გვესტუმრა, შედიან ავსტრიის მუშები, უმთავრესად სოციალ-დემოკრატები.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატია დიდ როლს თამაშობს მეორე ინტერნაციონალში. ავსტრიის იმპერიალისტური ომის შემდეგ მცირე ტერიტორია დარჩა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ავსტრიის სოციალ-დემოკრატია მაინც დიდ გავლენას ახდენს მეორე ინტერნაციონალზე.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, თუ როგორი ჭორებია გავრცელებული ევროპაში საქართველოს და საერთოდ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ავსტრიის მუშებში დიდი ხანია დაიბადა სურვილი საკუთარი თვალით ენახათ საბჭოთა კავშირი, კერძოთ კი საქართველო და შეემოწმებიათ ის ცნობები, რომლებსაც ავრცელებს იქაური სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული პრესა.

პირველად რკინისგზელებმა სცადეს დელეგაციის გამოგზავნა, მაგრამ ამას წინ აღუდგა ცნობილი ოტტო ბაუერი. მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა, ავსტრიის მუშებმა მაინც მოახერხეს დელეგაციის არჩევა და გამოგზავნა; ეს დელეგაცია საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებთან ერთად დღეს ჩვენც გვესტუმრა.

ვისურვოთ, რომ შექმნილიყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ავსტრიის მუშათა კლასი სათავეში მოექცეს თავის სახელმწიფოს და წარმართოს ის იმ გზით, რომელიც სასარგებლო იქნება ავსტრიის და საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

შემდეგ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ბირმანი** კრებას ცალცალკე აცნობს ყველა დელეგატებს.

ამხ. პიტცლის სიტყვა

დელეგაციის სახელით პირველ სიტყვას ამბობს დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პიტცლი. იგი ესალმება კრებას და მადლობას უძღვნის საქართველოს მშრომელებს ამხანაგური მიღებისათვის.

— ჩვენ,—ამბობს ამხ. პიტცლი,—დავათვალიერეთ თქვენი სკოლები, სამხედრო ნაწილები, წარმოებები და დავრწმუნდით, რომ ხუთი წლის განმავლობაში თქვენ ბევრი რამ გაგიკეთებიათ, განსაკუთრებით გვაკვირვებს ჩვენ ეს ამიერ-კავკასიაში, სადაც ამდენი წვრილი ერია.

თქვენ დიდ შედეგებს მიაღწიეთ, მიუხედავათ [illegible], რომ ევროპის სახელმწიფოები ხელს გიშლიდნენ. ჩვენი მიზანია თქვენი ქვეყნის გამოცდილების შესწავლა, რომ ამ გამოცდილების მიხედვით იმუშაოთ ავსტრიის მუშათა კლასის სასარგებლოდ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიან ფრონტს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

ამხ. ტროსტის სიტყვა

შემდეგ სიტყვას ამბობს დელეგატი ქალი—კომუნისტი ამხ. ტროსტი.

— მე საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი ვარ იმ მიზნით, რომ დავათვალიერო თქვენი ქვეყანა და ავსტრიაში დაბრუნებისას უამბო იქაურ მუშა-ქალებს ის, თუ როგორ სცხოვრობენ საბჭოთა კავშირის მუშა ქალები და ბავშვები.

მე დავათვალიერე თქვენი საბავშვო ბაღები და სკოლები, რომლებმაც აღტაცებაში მომიყვანა. როდესაც მე ამას უამბობ ავსტრიის მუშა-ქალებს, ისინი, და არა მარტო ისინი, არამედ ყველა ქვეყნების მუშები ჩვენთან ერთად იბრძოლებენ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ბოლოს სიტყვით გამოდის დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ფორკაში.

ამხ. ფორკაშის სიტყვა

— ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა, რადგან ავსტრიის მენშევიკური და ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი რუსი კომუნისტების ტერორის ქვეშ არის დაყენებული.

ჩვენ ვნახეთ 25 თებერვლის დღესასწაული და გადაჭრით ვამბობთ, რომ ქართველ ხალხი სრული თავისუფლებით სარგებლობს, რადგან შეუძლებელია ამოდენა ხალხის ძალით გამოყვანა ქუჩაში.

ჩვენ დავათვალიერეთ თქვენი სკოლები, ჯარი და სხვადასხვა წარმოებები, და დავრწმუნდით, რომ ქართველ ხალხს სრული შესაძლებლობა აქვს განავითაროს თავისი ნაციონალური კულტურა.

ეროვნული თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ბურჟუაზია ჩამოგდებულია. ეროვნულ თავისუფლებას იქ ვერ ექნება ადგილი, სადაც ბურჟუაზია და მემამულეები ბატონობენ. საკმარისია მოვიყვანოთ რუმინეთის და ჩეხო-სლოვაკიის მაგალითი, სადაც ეროვნული უმცირესობანი დაჩაგრულია.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

ყველა დელეგატების სიტყვებს ფარავდა დარბაზის მქუხარე ტაში.

საღამოს 7 საათზე დელეგაცია გაემგზავრა ერევანში.

შ.

კოოპერაცია

კოოპერაციის მუშაკების მომზადება

წარსული ხუთი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის კოოპერაციას დიდი მიღწევები აქვს. მაგრამ საჭირო მიექცეს კიდევ ერთ დარგში—ეს არის დაბალ საფეხურის კოოპერაციის მუშაკთა კულტურული დონის აწევა—საკითხი, რომელიც წამოაყენა საბჭოთა პრესამ.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კიჩკიამ განაცხადა შემდეგი:

— „ზაკსოიუზმა“ უკანასკნელ დროს მიიღო მთელი რიგი ზომებისა კოოპერაციის მუშაკთა კულტურული დონის ასაწევათ და აგრეთვე დაბალი საფეხურის კოოპერაციისათვის მუშაკების მოსამზადებლათ. ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტთან დაარსებულია 1 წლიანი კურსები. ამ კურსებზე საქართველომ გაგზავნა 44, სომხეთმა 21 და აზერბაიჯანმა 16 კაცი. ამ კურსებზე მუშაკები გადიან საერთო განათლების და სპეციალურ საგნებს.

მომავალ წელს ეს კურსები გადაკეთებულ იქნება კოოპერატიულ ტექნიკუმად, რომელშიაც შესაძლებელი იქნება მუშაკების სერიოზული მომზადება საოლქო მასშტაბით.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე საოლქო მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. შარშან ეს მოკლევადიანი კურსები გაიარა 359 კაცმა, მიმდინარე წელს 270 კაცმა. ასეთივე კურსები მოეწყო ამას წინათ ბაქოში.

ინსტრუქტორების გადასამზადებელი კურსები არსებობს აგრეთვე „ბაკსოიუზთან“ და „აზერიტიფაქთან“. ბაქოს კოოპერაციის მთელ რიგ მუშათა კლუბებში აწყობენ კოოპერატიული მუშაობის შესასწავლ კურსებს. სოფლებში კი ქოხ-სამკითხველოებთან მოწყობილ იქნება კოოპერატიული ბიბლიოთეკები და წრეები.

საქართველოს კოოპერატიული საბჭო

ამ ახლო მომავალში განზრახულია საქართველოს კოოპერატიული საბჭოს დაარსება. საბჭოში შევლენ ყოველგვარი სახის კოოპერატივების (როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო) წარმომადგენლები.

ახლო მომავალში მოწვეულ იქნება თათბირი, სადაც გამოიმუშავებენ საბჭოს სამოქმედო პროგრამას.

სასოფლო-სამეურნეო კომუნები

უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა კოლექტივისტური მოძრაობა გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებში. ეს მოძრაობა იმდენათ ძლიერია, რომ გლეხობა ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე, სტიქიურად აარსებს სასოფლო-სამეურნეო არტელებს, კომუნებს და ამხანაგობებს, რომლებიც კისრულობენ მიწების საზოგადოებრივი ძალებით დამუშავებას.

ყველა ამ არტელებსა და კომუნებს შორის ყველაზე უფრო ძლიერია სამთავისის კომუნა გორის მაზრაში, რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში საკმაოდ დიდი ნდობა და პოპულიარობა მოიპოვა ახლომახლო სოფლების და მაზრების გლეხთა თვალში.

ასეთი კომუნების დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რადგან გლეხობა საქმით ეცნობა მიწის დამუშავების კოლექტივისტურ ფორმებზე გადასვლას და აქედან გამომდინარე შედეგებს; ის საქმით, გამოცდილებით რწმუნდება იმაში, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სასოფლო - მეურნეობისათვის და თვით გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შექმნას.

ეხლა კი, როდესაც საქართველოში არსებობს ისეთი დიდი და პოპულიარული კოლექტივი, როგორიც არის სამთავისის სასოფლო-სამეურნეო კომუნა, ასეთი კოლექტივების შექმნის საქმე სწრაფი ტემპით წავა ჩვენში, რადგან გლეხობამ უკვე მნიშვნელობა.

ამ ჟამად საქართველოში არსებობს 30-დე სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი (ეს ციფრი არ არის სრული, რადგან ყველა კოლექტივები არ არის გატარებული რეგისტრაციაში), რომლებშიაც გაერთიანებულია 700 მეურნეობა. ეს ციფრი ჩქარა გაიზრდება, რადგან ლტოლვა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში გაერთიანებისაკენ ჩვენ გლეხობაში დიდია.

გ.

ა. კ. ფინსახკომში

26 თებერვალს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაიხსნა რესპუბლიკანურ ფინსახკომების და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გაერთიანებულ უწყებათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირის მიზანი იყო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების და რესპუბლიკანურ ბიუჯეტების შედგენის ერთნაირი ტექნიკის გამოჰმუშავება მომავალი 1926—27 საბიუჯეტო წლისთვის.

მოხსენებაში ამიერ-კავკასიის 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ აღნიშნულ იქნა ბიუჯეტის ზრდა და ხარისხობრივი გაუმჯობესება. საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი 68 მილ. მანეთის რაოდენობით გაიზარდა წინანდელი წლის ბიუჯეტთან შედარებით 64,5 პროცენტით. უნდა აღინიშნოს, რომ არასაგადასახადო შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა მაგალითად შარშანდელთან შედარებით საგადასახადო შემოსავალი შემცირდა 21,4 პროცენტით, მაშინ, როცა არა-საგადასახადო შემოსავალი 36,5 პროცენტით გაიზარდა. 1924—25 წლის ფაქტიურ შემოსავალთან შედარებით არასაგადასახადო შემოსავალი გაიზარდა 88,72 პროცენტით.

შემდეგ მოხსენებაში აღნიშნული იყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი, რომელიც წინანდელ წელთან შედარებით გადიდებულია 46,5 პროცენტით. ჩვეულებრივი ხარჯების ზრდა 46,3 პროცენტს უდრის, ხოლო საგანგებო ასიგნების რეალური ზრდა 128,9 პროცენტს აღწევს. ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფონდებს, რომლებშიაც გადადებული თანხების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს საგანგებო დოტაციები 2.500 ათასი მანეთის რაოდენობით და აგრეთვე აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს დოტაციები 3.340 ათასი მანეთის რაოდენობით.

საუწყებო ხარჯთ-აღრიცხვათა და რესპუბლიკანურ ბიუჯეტების შედგენის ტექნიკასთან და დაკავშირებულ საკითხების დასამუშავებლათ თათბირი გაიყო 3 სექციათ.

საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მე-8-ე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

27 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სექციების მუშაობის ანგარიში, დაამტკიცა წარმოდგენილი თეზისები და მიიღო რეზოლიუციები ამხ. კახიანის, ცეკას და განათლების კომისარიატის მოხსენებების შესახებ.

ცეკას მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად აღიარა.

შემდეგ ამხ. ს. ორაგველიძემ გააკეთა მოხსენება სამანდატო კომისიის სახელით.

ყრილობის შემადგენლობა

ყრილობას სულ დაესწრო—283 დელეგატი გადამწყვეტი ხმის და 58 სათათბირო ხმის უფლებით. დელეგატთა შორის 22 ქალია. დელეგატების **სოციალური შემადგენლობა** შემდეგნაირია: მუშა—82, მოჯამაგირე—7, უღარიბესი გლეხი—109, საშუალო შეძლების გლეხი—14, ხელოსანი—6, და სხვადასხვა—65, **ეროვნული შემადგენლობის მიხედვით** ყრილობა შემდეგ სურათს წარმოადგენს:—ქართველი —172; სომეხი—31, რუსი—28, თურქი—10, ოსი—18; აფხაზი—9, აჭარელი—5 და სხვა და სხვა 10, **წლოვანების მიხედვით** დელეგატები შემდეგნაირად ნაწილდებიან: 19 წლამდე—9 დელეგატი, 20—22 წ—121, 23 წლ.—58 და 24 და ზევით 95.

განათლების მიხედვით სურათი შემდეგნაირია: უმაღლესი განათლებით (დამთავრებული და დაუმთავრებელი)—2, საშუალო—103 და დაბალი—178, დელეგატებს შორის პარტიის წევრია—120, კანდიდატები—111 ამხანაგი. სამანდატო კომისიის მოხსენება ყრილობამ დაამტკიცა.

შემდეგ ყრილობა გადავიდა კავშირის ცეკას და დელეგატების არჩევნებზე.

არჩევნები

არჩეულ იქნენ ცეკას წევრებად:

არუტინოვი, ა[illegible], აჭარაშვილი, ბახტაძე, ბრეგვაძე, ბიტიევი, ბიჩენკო, ვაშაკიძე, გ[illegible]ქოვი, გავრიში, გუგრლოვ, გეგეჭკორი, გაბარაშვილი, გობეჩია, გრიგორიანი, გვანელაძე, გარსევანიშვილი, დ[illegible]რახველიძე, დოლიძე, ჯოჯოევი, ჯავახაძე, ძიგრაშვილი, ჯი[illegible]ლაძე, [illegible], ზვიადაძე, კახიანი, ქართველიშვილი, კორსაველი, კაჭარავა, კეკელია, კობახიძე, კუზნეცოვა, კარპოვ, კოვინიოვი, კანანოვი, მოჯელიძე, ერკვილაძე, მესაევი, მხეიძე, ნესტოროვი, ორაგველიძე, ფრანგიშვილი, პატარაია, პერვუხინ, ფირცხალავა, რამიშვილი, რიჟამაძე, სალუქვაძე, სარქისოვი, თავგირიძე, ტაბიძე, ფილიპოვი, ხო[illegible]ასურიძე, ჰანკვეტაძე, ჩაქაბერია, შენგელია, შკოლინი.

ცეკას კანდიდატებათ:

ზარდალია, ცინცაძე, ბოხუა, კუხალეიშვილი, ჯაში, კალანდია, ზაქიკაშვილი, ცხოვრებოვ, ნადირაძე, ტერეგულოვ, შენგელია, ხ[illegible]ჩიკისნ, აბაზაძე, კისპენკო, ჯორბენაძე, აგანეზოვა.

დელეგატებათ საკავშირო ყრილობაზე:

დარახველიძე, გეურქოვი, კეკელია, აჭარაშვილი, კორსაველი, გეგეჭკორი, გობეჩია, სალუქვაძე, არუტინოვი. აჭარაშვილი, ფილიპოვი, ბახტაძე, ნესტოროვი, ჯავახიძე გავრიშ, გავრიშ (მუშა ქალი) კობახიძე, ზოიძე, აბგაჯ, კიუგი, ბუგულოვი, დოლიძე, კაჭარავა, [illegible]ოგელაძე, ხ[illegible]იაშაძე, შენგელია, ჰაკვეტაძე, გ[illegible]საევი, პატარაია, კარპოვი, ბერიძე და ორაგველიძე (სათათბირო ხმით).

ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა მე-4 ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6½ საათზე რუსთაველის თეატრის დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ამ.-კავკ. ორგანიზაციათა მეოთხე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხანაგმა კუჩეროვმა, რომელმაც მოუწოდა დელეგატებს ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ილიჩის, ფრუნზეს, ნარიმანოვის, მიასნიკოვის და სხვა ამხანაგების ხსოვნისათვის. შემდეგ ამხ. კუჩეროვმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა უკანასკნელ ყრილობის შემდეგ განვლილ მუშაობისა და აღნიშნა ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცება. შეეხო რა კომკავშირის უახლოეს ამოცანებს, ორატორმა ხაზი გაუსვა სოფლად მუშაობისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საჭიროებას.

ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია 44, სამდივნოში 9, სამანდატო კომისიაში 5 ამხანაგი.

საპატიო პრეზიდიუმში ერთად აირჩიეს: ამხ. **სტალინი, ტროცკი, რიკოვი, ბუხარინი, კალინინი, ვოროშილოვი, ტომსკი, ზინოვიევი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, კიროვი, ჩაპლინი.**

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგში: მიმდინარე მომენტი და პარტიის ამოცანები, ა. ლ. კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის ანგარიში, სოფლად მუშაობის საკითხები, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის განათლება და საოლქო კომიტეტის არჩევნები.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

მიმდინარე მომენტი, იწყებს თავის მოხსენებას ამხ. ორახელაშვილი,—ეს ის მომენტია, რომელიც ოქტომბრის დღეებში დაიწყო ლენინგრადის ქუჩებზე. ეს მომენტი ჯერ არ დასრულებულა. ეს მომენტი და ის ამოცანები, რომელიც ოქტომბერმა დასახა დასრულებული იქნება მაშინ, როდესაც აღარ იქნება კლასიური საზოგადოება, როდესაც აღარ იქნებიან ექსპლოატატორები და დაჩაგრულები, მანამდის კი ჩვენ ფხიზლათ უნდა ვადევნოთ თვალი მიმდინარე მომენტს, ფხიზლათ უნდა მივუდგეთ მის შეფასებას, რადგან ის თავის საშოში ატარებს ჩვენი რევოლიუციის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს.

მომხსენებელმა გააკეთა თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოს მდგომარეობის ვრცელი მიმოხილვა და აღნიშნა, რომ მიუხედავათ ეგრედწოდებულ სტაბილიზაციისა, კაპიტალისტური წყობილება მერყევ ნიადაგზეა და დიდ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის მდგომარეობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევროპამ დაჰკარგა ეკონომიური დამოუკიდებლობა და ამერიკის ვასალათ გადაიქცა.

როგორია კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის რევოლიუციონური განწყობილება ამჟამად?

უნდა ითქვას, რომ გასული წელი ამ მხრივ პასიური ბალანსით იყო აღნიშნული. რევოლიუციონური განწყობილება კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის ისეთი, რომ ჩვენ უახლოეს ხანში მოველოდეთ გადამწყვეტ ბრძოლას, ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მათ შორის უმთავრესია ის მოღალატური პოლიტიკა, რომელსაც საერთაშორისო მენშევიზმი აწარმოებს.

ისინი სასტიკ ცილისწამებითა და ტყუილებით ჰკვებავენ მუშათა კლასს საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ევროპის მუშათა კლასი თანდათანობით ერკვევა სინამდვილეში, რადგან უამრავ დელეგაციების საშუალებით, რომლებიც მოდიან ჩვენში, იგებენ სიმართლეს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

ჩვენი სიმტკიცე და გამაგრება ბურჟუაზიაზეც ახდენს შესაფერის გავლენას და ისინი იძულებული არიან გვიცნონ ჩვენ პოლიტიკურათ, განაახლონ ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა. რასაკვირველია საერთაშორისო ბურჟუაზია ჩვენს ცნობასთან ერთად არ ჰკარგავს იმედს, და ფიქრობს, რომ ჩვენი შემდეგი განვითარება მათთვის სასურველ გზით წავა და საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც მეფის რუსეთი იყო, გადაიქცევა ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობის დამატებათ.

მართლაც და როგორი გზით უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა, როგორ და საით მიდის ის, ეს საკითხი ფრიად საყურადღებო და სერიოზული საკითხია.

ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობამ ამ კითხვაზე ერთხელ და საბოლოოთ გასცა მტკიცე და გარკვეული პასუხი.

კომკავშირის წინაშე მრავალი ამოცანებია, მაგრამ მათ შორის უმთავრესია: განათლება, განათლება და განათლება.

მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ არა გაქვთ ბევრი თავისუფალი დრო, განათლების საქმეს მაინც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე ყრილობა ერთი იმ საფეხურთაგანი იქნება, რომელიც დაახლოვებს ჩვენს ახალგაზრდობას ამ მიზანთან.

გაუმარჯოს ახალგაზრდა ლენინელის სალ გონებას!— ათავებს თავის მოხსენებას ამხ. ორახელაშვილი.

მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ფარავს მის უკანასკნელ სიტყვებს და ოვაციებს უმართავს მას.

გაზეთ „კომუნისტზე“ გაზეთ
მიიღება ხელისმოწერა
მთავარ კანტორაში
ძველ ბინაზე
(რუსთაველის პროსპ. № 24 მეორე სართული)
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

უკანასკნელი პარტყრილობის დად-
წყვა სოციალისტურ მშენებლობის გზით,
წარმოებით გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, კომუნა ზოგჯერ ვერ
ნეობის წარმოების [illegible] ბელი საშუალებანი.
[illegible] სოფლით მუშაობაში. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ღარიბი გლე-
განმტკიცებისაკენ. ღარიბ გლეხობის ორგანიზაციამ ამას უნდა შეუწყოს ხელი,
რომ მუშათა პარტიის აღმასკომი ამ წინადადებას შეუძლებლად სთვლის. [illegible] რა II და III ინტერნაციო-
ნებს სოციალისტურ პარტიებს, განსაკუთრებით კი ინგლისის მუშათა პარტიას“.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ხარჯზე უნდა გაიზარდოს

საქართველოს კომკავშირის რიგები უკანასკნელი წლის განმავლობაში ძლიერ გაიზარდა. თუ მე-7 ყრილობის დროს მისი წევრთა რიცხვი 21 ან 22 ათასს არ აღემატებოდა, დღეს მე-8 ყრილობის დროს, საქ. კომკავშირი თავის რიგებში 47 ათას ახალგაზრდას ითვლის.

ორგანიზაციის ასეთი გაზრდა შიშს ბადებს ზოგიერთ ამხანაგებში, რომლებიც გაიძახიან, რომ დავხუროთ კომკავშირის კარები, შევაჩეროთ კავშირში ამხანაგების მიღებაო. ეს ამხანაგები თავის აზრს იმით ასაბუთებენ, რომ კომკავშირი ვერ შესძლებს ამდენი დაუმუშავებელი მასის გადამზადებას, მის აღზრდას, მის ბოლშევიკურ გზაზე დაყენებას. და ამიტომ კავშირი ვერ მიაწვდის პარტიას ნამდვილ მომზადებულ და ბოლშევიკურად აღზრდილ ბოლშევიკურ დისციპლინას შეჩვეულ წევრებს. ეს ამხანაგები ისე აიტაცა შიშმა კომკავშირის უზომოდ გაზრდისა, რომ, როგორც ვსთქვით, პირდაპირ სვამენ კითხვას კომკავშირის კარების დახურვის შესახებ, და სხვა გამოსავალს კი ვერ ხედავენ.

კავშირის მე-8 ყრილობა, რასაკვირველია, ვერ აჰყვებოდა ამ ამხანაგების შიშს და ვერ დაადასტურებდა მათ აზრს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყრილობამ დაადგინა: გაგრძელდეს კავშირის რიგების ზრდა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე, გაძლიერდეს კომკავშირზე ხელმძღვანელობა.

[illegible] ყოვლად შეუძლებელია კავშირის კარები დაეხურა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას. რამდენიც დრო გადის, პარტიისა და კომკავშირის გავლენა, ავტორიტეტი იზრდება მუშურ და გლეხურ მასებში. ეს უკანასკნელნი ხედავენ, რომ როგორც პარტია, ისე კომკავშირი იღვწის, მუშაობას აწარმოებენ ქვეყნის ასაღორძინებლად, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სიტყვასთან ერთად საქმეც კეთდება. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის მოწინავე, აქტიურ ნაწილზე. და სწორედ ამიტომ ეს ნაწილი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისა მიილტვის ჩვენი კავშირის რიგებისკენ. დიდი შეცდომა იქნებოდა ამ ახალგაზრდობისთვის კარები დაგვეხურა და მათთვის ზურგი შეგვექცია. ყრილობამ, როგორც ვსთქვით, სწორად გადასჭრა საკითხი: აძლიერდეს კომკავშირის რიგები მუშური და გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე.

ყრილობამ აქვე დაადგინა,—რომ ვსძლოთ კავშირის წევრთა აღზრდა, საჭიროა კომკავშირზე პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერებაო. ეს საკითხი ჩვენი კავშირის მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს. ხელმძღვანელობის საკითხი მწვავედ იდგა წინათაც, როდესაც კომკავშირის რიგებში მხოლოდ რამდენიმე ათასი წევრი ითვლებოდა. დღეს კი, როდესაც ორგანიზაცია თითქმის ორჯერ გაიზარდა და კიდევ იზრდება, ამ საკითხს — ხელმძღვანელობის საკითხს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ეძლევა. პარტიამ ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს; პარტიულ მუშაკთა რიცხვი კომკავშირის რიგებში უნდა გავაძლიეროთ, უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ცალკე უჯრედებზეც ხელმძღვანელობა პარტუჯრედების მიერ. კომკავშირზე პარტიის გაძლიერებული ხელმძღვანელობით ჩვენ უნდა შევძლოთ კომკავშირელთა კომუნისტურად აღზრდა, ბოლშევიკურ გზაზე დაყენება. ამით ჩვენ უნდა ბოლო მოვუღოთ ზოგიერთ ამხანაგების შიშს კავშირის მეტისმეტად გაზრდის შესახებ.

კავშირის გაზრდა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე, კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერება,—აი საით არის სწორი გზა.

ა.

დამზღვევ სალაროს კომუჯრედში

უჯრედი დაარსდა 1923 წელს 3 კაცის შემადგენლობით. ამ ჟამად უჯრედში ირიცხება 23 კაცამდე. უჯრედის წევრთა პოლიტიკური დონე საშუალოა, დისციპლინა დამაკმაყოფილებელია, პარტიის დავალებების შეუსრულებლობას ადგილი არა აქვს. მუშაობაში ჩაბმულია 17 ამხანაგი. სწარმოებს მუშაობა უპარტიოთა შორის; ინტენსიურად მუშაობს უჯრედის ეკონომიური კომისია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს უპარტიო მასაზე.

აი კონკრეტიულად ყველაფერი, რაც სთქვა დამზღვევი სალაროს კომუჯრედის მდივანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში უჯრედის მუშაობის შესახებ.

საორგანიზაციო თათბირმა მოიწონა უჯრედის მუშაობა და წინადადება მისცა მას გაატაროს ცხოვრებაში შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი:

1) საავიტაციო წრის მოწყობა უჯრედის წევრთა პოლიტმომზადების დონის ასამაღლებლად.

2) საჭიროა, რომ კომუჯრედის წევრები ყველა ერთგვარად იქნენ ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში.

3) ადგილკომთა გაერთიანებული ფრაქციის ლიკვიდაცია საორგანიზაციო მიზანშეუწონლობის გამო.

4) ეკონომთათბირის მუშაობის გაძლიერება პროფორგანოების საშუალებით.

5) უჯრედის ღია კრებების მოწვევა სათანადო დღის წესრიგით, უპარტიო მასების დიდი რაოდენობის მიზიდვის მიზნით.

6) საკონტროლო წიგნის შექმნა საწევრო ადასახადების შემოტანის აღსანიშნავად.

7) უჯრედის კრებებზე ამხანაგების ამოუცხადებლობის მიზეზების გამორკვევა და მათი საკონტროლო წიგნში აღნიშვნა.

ა. კონდაკჩიანი

პარტიული ქრონიკა

თ. კ. საორგანიზაციო და საავიტაციო კოლეგიებში

უჯრედებიდან ტეხნიკურ მდივნების გამოყოფის შესახებ

რომ უჯრედებში გაუმჯობესდეს ინფორმაციულ-სტატისტიკური მუშაობა, თ. კ. საორგ. კოლეგიას აუცილებლად მიაჩნია, უჯრედებიდან გამოყოფილ იქნენ ტეხნიკური მდივნები.

რაიკომებს წინადადება ეძლევათ, მოიწვიონ უჯრედების ტეხნიკურ მდივანთა თათბირი საინსტრუქტოროდ.

უჯრედებში ერთიან საქმის-წარმოების შესახებ

რომ უჯრედებში შემოღებულ იქნას საქმის-წარმოების ერთიანი სისტემა, თ. კ. საორგ. კოლეგიამ გადასწყვიტა ყველა უჯრედებში შემოიღოს 7 საქმე: ამას გარდა უჯრედებმა უნდა აწარმოვონ წევრთა აღრიცხვის ფორმა № 1, უჯრედების სხდომებზე დასწრების ჟურნალი და შემოსავალ-გასავლის წიგნი.

მეთოთხმეტე პარტყრილობის შედეგების კამპანიის ჩატარების შესახებ მაზრებში

თ. კ. საავ. კოლეგიამ გადასწყვიტა, გარდა საანგარიშო მოხსენებისა მეთოთხმეტე პარტ. ყრილობის შესახებ, სოფლის უჯრედებში განხილულ იქნეს საკითხი გლეხობის შესახებ.

კომკავშირის პოლიტსკოლების მუშაობის შესახებ

თ. კ. საავიტაციო კოლეგიამ მოისმინა რა კომკავშირის თ. კ. პოლიტგანათლების მოხსენება, წინადადება მისცა მას სკოლების პროგრამა შეიმუშაოს მეთოთხმეტე პარტყრილობის დადგენილებათა თანახმად. სკოლებში პარტისტორიის შემუშავების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გადახრათა გაშუქებას.

აღნიშნავს რა პარტიის რაიკომების პროპაგანდისტების მხრივ სუსტ ხელმძღვანელობას კომკავშირის სკოლებისათვის, საავიტ. კოლეგიამ წინადადება მისცა მათ, შემდეგისათვის დიდი ყურადღება მიექცეს კომკავშირის პოლიტგანათლების რაიონულ სექციების მუშაობას.

წერკუმსის სკოლების დამთავრების შესახებ

მოისმინა რა მოხსენება წერკუმსის მეგობართა საზ. ცენტ. გამგეობისა, თ. კ. საავ. კოლეგიამ შეუძლებლად მიაჩნია სალიკვიდ. სკოლებში მეცადინეობის გაგრძელება უსახსრობის გამო. ამასთან ერთად საავ. კოლეგიამ წინადადება მისცა 30 სალიკვ. სკოლა გადაეცეს თბილისის პოლიტგანათლებას. აგრეთვე წერკუმსის მეგ. საზ. ცენტ. გამგეობას ევალება (რაისაბჭოების ფრაქციების მონაწილეობით, მოაგროვოს ორი ათასი მანეთი და გადასცეს ის პოლიტგანათლების არსებულ სკოლების ქსელის მუშაობის დასამთავრებლად.

კომუნალური მეურნეობა

თბილისის კეთილ მოწყობისათვის

მოსკოვიდან თბილისს დაბრუნდა წყალსადენის მთავარი ინჟენერი ლ. დიასამიძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა მოსკოვში ახლად გამართულ სანიტარულ ტეხნიკური კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ.

ამხ. დიასამიძის გადმოცემით,—ამჟამად ცენტრალურ ქალაქებში მიმდინარეობს გაცხოველებული სანიტარულ-ტეხნიკური აღმშენებლობა. დღეს დღეობით ყველგან პირველ რიგში სდგას წყალსადენებისა და კანალიზაციების აღდგენისა და მოწყობის საქმე. ამ გარემოების გამო დიდი მოთხოვნილება არის სააღმშენებლო მასალაზე, რომლის ნაკლებობაც ყველა ქალაქებში თანდათან საგრძნობი ხდება. თუმცა, სახელმწიფო [illegible] ნაყოფიერება ომის წინა დროინდელ დონემდე ავიდა, მაგრამ გაძლიერებულ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენი კავშირის სააღმშენებლო მასალის მწარმოებელი სამრეწველოების პროდუქცია. მაგალითად,—უკანასკნელ დრომდე დამზადებული საწყალსადენო მილების მარაგი (1.800 ათას ფუთი) უკვე განაწილებული და წაღებულია სხვადასხვა ქალაქების მიერ. ამ მარაგიდან ა.-კ. ქალაქებს, კერძოდ,—თბილისს არაფერი არ რგებია, რის გამოც ჩვენი ქალაქები იძულებულნი არიან დაიცადონ, ან შეიძინონ მილები [illegible] წესით.

[illegible] წყალსადენი და კანალიზაცია [illegible] მილების დიდ რაოდენობას და რადგან [illegible] შეიძლება მათი შეძენა, ქალაქი იძულებული ხდება [illegible] მილების წარმოების მოწყობის შესახებ.

[illegible] პირველი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ინჟ. დიასამიძეს მოლაპარაკება ჰქონდა საბჭოთა კავშირის ლითონის ტრესტთან, რომელიც დაჰპირებია დაამზადოს თბილისისათვის საკანალიზაციო და საწყალსადენო მილები 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში.

საგზაო მშენებლობა

სვანეთის გზატკეცილი

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო ამჟამად ამუშავებს სვანეთის გზატკეცილის პროექტს იმ კვლევა-ძიების მიხედვით, რომელსაც გასულ წელს აწარმოებდა ინჟენერ-ტეხნიკოსთა საგანგებო კომისია. გზატკეცილი გაყვანილი იქნება სოფ. ჯვარიდან მესტიამდე (სვანეთის სამაზრო ცენტრი) 105 ვერსის მანძილზე.

სურამ-ძირულის გზატკეცილი

სურამის მთის მაღლობზე დიდი თოვლის დადების გამო, მიმდინარე წლის მარტამდე შეჩერებულია მუშაობა სურამ-ძირულის გზატკეცილის გასაყვანად.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ხიდების და ხელოვნურ ნაშენობათა ნახაზების და პროექტების შესადგენათ.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილი

ამ ჟამად საქ. სამხედრო გზატკეცილზე ზემო ავჭალის რაიონში სწარმოებს მუშაობა ახალი გზატკეცილის გასაყვანად, რადგან მოკლე ხანში ძველ გზატკეცილს დაფარავს ზაჰესის საგუბარი აუზი. მუშაობა დამთავრდება გაზაფხულის წყალდიდობამდე.

ამავე გზატკეცილზე სოფელ მეტეხთან სწარმოებს მუშაობა მდ. მტკვარზე ხიდის ასაგებად, ხიდის აგება დამთავრდება მარტის პირველ რიცხვებში.

ამ მოკლე ხანში საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე დაიწყება ჯებირების გრძელი გალლერეის კეთება მთიდან ჩამოწოლილ მიწის და თოვლის ზვავების შესაკავებლად. ჯებირები აგებული იქნება [illegible]. ჯებირების საერთო სიგრძე იქნება 245 საჟენი.

რკინის გზებზე

ნავთლუღში მომხდარ შემთხვევის გამოკვლევა

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გაემგზავრა ნავთლუღში გუშინწინ მომხდარ შემთხვევის გამო, გამოარკვია, რომ მატარებლისა და ორთქმავლის დატაკებაში დამნაშავეა უმცროსი მეისრე, მაგრამ ამავე დროს აქ დანაშაული მიუძღვის უფროს მეისრესა და სადგურის უფროსს. საგ. კომისიამ ამასთანავე დაადგინა მოაწყოს სადგ. ნავთლუღში ცენტრალიზაციური ისრები.

ა | კ. რკ. გზების ელექტროფიკაცია.

მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვსა და ლენინგრადში მოწვეულ იქნება თათბირი ა | კ. რკ. გზების ელექტროფიკაციის შესახებ.

აღნიშნულ თათბირზე ა | კ. რკ. გზები გზავნის ინჟ. შახბუდაგოვს. უკანასკნელი ლენინგრადში მონაწილეობას მიიღებს გეოლოგიურ თათბირზე, ხოლო მოსკოვში ა | კ. რკ. გზ. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის თათბირზე.

სახარჯთაღრიცხვო კომისიის დაბრუნება.

კახეთის ხაზიდან დაბრუნდა ა | კ. რკ. გზების სახარჯთაღრიცხვო კომისია, რომელიც იქ გაემგზავრა ამხ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

რკინის გზის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

დოკუმენტების და ანგარიშწარმოების გამოკვლევა ა.-კ. რკინისგზის სადგურებზე

ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა დოკუმენტების მიდგომის, შემოსავლის აღრიცხვის წესების და აპარატის რაციონალიზაციის გამოკვლევა ზესტაფონის, კოპიტნარის, სამტრედიის და ბათომის სადგურებზე.

ბილეთის კასების ოპერაციების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ კასების ბართო სტრუქტურა ეთანხმება ნორმალურ ტიპს, რაც უზრუნველყოფს შემოსავლის თავის დროზე მიღებას და აღრიცხვას. გამოკვლევამ დაამტკიცა აგრეთვე, რომ ზოგიერთ კასებში დაცული არ იყო ანგარიშწარმოების [illegible] ნორმა, რაზეც მიქცეულია ყურადღება.

შემდეგ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ პლატფორმების ბილეთების დაწესება ხდება უწესრიგოთ და უსისტემოთ. ასე, მაგალითად, ბილეთი პლატფორმა იანეთამდე, რომელიც შუა ხაზზე მდებარეობს სამტრედიასა და სად. კოპიტნარს შორის, ღირს 25 კაპ. იმ დროს, როდესაც ბილეთი [illegible] სად. კოპიტნარამდე 21 კაპ. ღირს, რაც გაუგებრობას იწვევს გლეხთა შორის.

საბარგო კასების ოპერაციების შესწავლის დროს მუშათა და გლ. ხ. ინსპექციამ აღნიშნა, რომ საბარგო ოპერაციებში დიდი სირთულე შეაქვს ანგარიშწარმოებას კომუნალურ გადასახადზე; ამ გადასახადების არ შეტანა სათანადო ქვითარში და დუბლიკატში და ცალკე ქვითრის [illegible] ართულებს ანგარიშწარმოებას 30 პროცენტით, განსაკუთრებით გაძლიერებული საქონლის გაზიდვების დროს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ [illegible] სათანადო ღონისძიება ამ [illegible] გასამარტივებლად.

რაც შეეხება საქონლის კასების ოპერაციებს, მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიზნათ ისახავს რაც შეიძლება გამარტივებულ იქნეს მათი ანგარიშწარმოება როგორც საქონლის მიღების, ისე გაცემის საქმეში.

ამ მიზნით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა ღონისძიება, რომელიც გაამარტივებს მუშაობას, ხელს შეუწყობს შრომის დაზოგვას და ამას გარდა გაუადვილებს ტვირთების გამგზავნ და მიმღებ სადგურებს ბარგის მიღება-გადაგზავნას.

პროფკავშირებში

საშეფო მუშაობის გამოცოცხლებისათვის

როგორც ვიცით, სამი წლის წინეთ ამხ. ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი „ქალაქის სოფელზე კულტ-შეფობის" შესახებ. ეს იყო გენიალური აზრი, ვინაიდან საშინელმა სამოქალაქო ომმა მოსწყვიტა სოფელი ქალაქს. სოფლის გლეხობა რჩებოდა რევოლიუციის ბოლოს. იგი ხშირად ამ ჩამორჩენილობის გამო მტრულ განწყობილებაში იყო ქალაქის მუშებისადმი. ეს ხიდი, ეს ცოცხალი კავშირი, რომელიც გასწყვიტა სამოქალაქო ომმა, უნდა აღედგინათ ბელადის აზრით შეფკომებს, რომელშიაც შედიან ქალაქის შეგნებული და რევოლიუციონურად მომზადებული მუშები. შეფებს უნდა ეწარმოებინათ სოფლად გლეხებზე კულტურული ხელმძღვანელობა გლეხებისათვის სათანადო ლიტერატურის მიწოდებით, მიტინგების და სოფლად კრებების მოწყობით და ამ კრებებზე მოხსენებების და ლექციების გამართვით და სხვ. და სხ.

როგორც ვიცით, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა აღორძინდა - გაიზარდა. ამასთან ერთად გაიზარდა ჩვენი გლეხების კულტურული მოთხოვნილებანი. აქედგან კი ცხადია, რომ ჩვენი შეფების ძველი მეთოდით მუშაობა კრებები და მიტინგები, მიტინგები და კრებები, ლექციები და მშრალი მოხსენებები და სხვა ასეთები, სრულებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენ გლეხობას.

ჩვენი შეფების პრაქტიკული მუშაობა კი ძალზე მოიკოჭლებს და თითქმის არაფრად იქცევა ამ ზღვა მოხსენებებში და დაუსრულებელ კრებებში.

[illegible] უკვე დიდი ხანია მოისმინა ბევრი და ძალიან ბევრი „ლამაზი სიტყვები" ჩვენი შეფებისაგან, საქმე კი ძალიან ცოტა გაკეთდა.

დღეს უკვე ანაქრონიზმულ და მიზანშეუწონელ მოვლენად უნდა იქნას აღიარებული სოფლებში ჩვენი შეფების ავტომობილებზე მუსიკით სეირნობა - გასტროლიორობა და ერთგვარი „შეფყოფობა".

მიტინგის, დემონსტრაციის, უმარილო სიტყვების დრო უკვე ჩაბარდა ისტორიის არქივს, ეხლა უნდა ვაწარმოოთ პრაქტიკული მუშაობა, მუშაობა და მუშაობა.

როგორც ვიცით, ბევრი სიტყვები ითქვა, ბევრი ლამაზი სამიტინგო გასტროლებიც გამართა ჩვენი შეფების მიერ სოფლად, ეხლა კი საჭიროა განაღდება ამ გლეხობაზე გაცემულ სიტყვიერ ვექსილების, გაორკეცებული პრაქტიკული მუშაობა იმ ახალი მეთოდით, რომელიც ნაჩვენებია საკ. კ. პ. ცეკას დადგენილებაში და რომელიც მოუწოდებს შეფებს გაუწიონ გლეხობას პოლიტიკურ - კულტურული და საორგანიზაციო - სამეურნეო დახმარება. ჩააბან გლეხობა აქტიურად ამ საშეფო მუშაობაში და სხვ.

საჭიროა ჩვენმა პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩვენი შეფების მუშაობას სოფლად და გაუწიონ მათ სათანადო ხელმძღვანელობა ახალი ხაზით, თუ არა გვსურს, რომ გლეხობას სრულიად გული აუცრუოთ მათ მუშაობაზე.

დინამიტი.

ხელოვნების მუშაკთა მე-6 ყრილობა

მე-7 და მე-8 სხდომები

ამხ. გედევანიშვილის მოხსენება

25 თებერვლის საღამოს სხდომაზე ამხ. გედევანიშვილმა გააკეთა მოხსენება ხელოვნების მთავარ საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა მთავარ კომიტეტის საქმიანობა მუსიკის, სახვითი და თეატრალურ ხელოვნების დარგებში. მოხსენების ანგარიში მოთავსებულია ჩვენი გაზეთის 24 თებერვლის №-ში.

ამხ. გედევანიშვილის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მწვავე კამათი. უპირველეს ყოვლისა ოპონენტები აღნიშნავდნენ სახელოვნო საბჭოს სამეურნეო პოლიტიკის ნაკლულოვანებასა და დეფექტებს, რომელთაც, მათი აზრით, გაართულეს თეატრალურ სეზონის მდგომარეობა, ამ გართულების შედეგად ოპონენტები სთვლიან იმ გარემოებას, რომ მსახიობები თავის დროზე ვერ იღებენ ხელფასს და უკანასკნელ დრომდე იკვებებიან წვრილ-წვრილი ავანსებით. ზოგიერთი ამხანაგები წინააღმდეგი არიან აგრეთვე გასტროლების, რომელიც მათი აზრით ერთი მხრივ,—მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს და მეორე მხრივ,—ხელს უშლის ადგილობრივ თეატრალურ დაწესებულებათა ნაყოფიერ მუშაობას. თვით სახელოვნო საბჭოს მომქმედი აპარატი, ოპონენტების აზრით, [illegible] საწარმოო ორგანიზაციების ინტერესების და ნაკლები ყურადღებით ეპყრობა წარმოებაში მომუშავე მასების საჭიროებას. დელეგატების დიდი უმრავლესობა [illegible] მიაჩნია აგრეთვე რომ ადმინისტრაციის, კერძოდ,—სამეურნეო ნაწილის წარმომადგენელი შედიოდეს კავშირის ცენტრალურ გამგეობაში.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. გედევანიშვილმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ იმ სამეურნეო პოლიტიკის გარეშე, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს ხელოვნების მთავარი კომიტეტი, შეუძლებელია ჩვენი სამხატვრო და თეატრალური დაწესებულებების არსებობა.

მე-9 სხდომა

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა

სახ. კინო-მრეწველობის დირექტორმა ბეკ-ნაზაროვმა ყრილობას გააცნო სახელმწიფო კინო-მრეწველობის საქმიანობა ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში: დამუშავებულ სურათების რაოდენობა, მათი მეტრაჟი, და აგრეთვე ის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ახალ სურათების დასადგმელად.

ამხ. ბეკ-ნაზაროვის მოხსენებამაც დიდი კამათი გამოიწვია. ამხანაგები უმთავრესად ორ მხარეს ეხებოდნენ: კინო-მრეწველობის სამხატვრო მუშაობას და მის მიერ შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხებს. ზოგიერთი ამხანაგების აზრით 3—4 სურათის გამოკლებით საქართველოს კინო-მრეწველობის სურათები მხატვრულად ვერ არის გამართლებული. ამ გარემოების მიზეზად ამხანაგებს მიაჩნიათ ამ საქმის ხელმძღვანელთა მიერ იმ ხალხის ყოფა-ცხოვრების უცოდინარობა, რომელთა წარსული და ამჟამ მდგომარეობიდან ისინი სურათს იღებენ, მეორე—მსახიობთა შეურჩევლობა და შემთხვევითი ძალების ქუჩიდან მოკრეფა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ოპონენტები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად სახელ. კინო-მრეწველობის ადმინისტრაცია ანგარიშს არ უწევს პროფორგანოებს: [illegible] არ იცავს [illegible] პირობებს და სხ. ოპონენტები [illegible] ინტერესების და შრომის დაცვის [illegible].

პროფკავშირების ქრონიკა

შორაპნის (ჭიათურის) სამპროფბიუროში

— **სავაჭროებსა და სახელოსნოებში 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად.** შორაპნის სამპროფბიურომ სთხოვა ადგილობრივ სამაზრო აღმასკომს, გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რათა სავაჭროებში და სახელოსნოებში მუშაობა იწყებოდეს და თავდებოდეს მხოლოდ განსაზღვრულ დროს.

— **ზესტაფონის გამასწორებელი სახლის მილიციის შტატის შესახებ.** შორაპნის სამპროფბიურომ სთხოვა სამაზრო აღმასკომს გაადიდოს ზესტაფონის გამასწორებელი სახლის მილიციის შტატი.

— **ზესტაფონის გამასწორებელი სახლის მილიციელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.** შორაპნის სამპროფბიურომ სთხოვა აღმასკომს გააუმჯობესოს მილიციელთა მდგომარეობა.

— **შრომის კოლექტივის გაუქმება.** ქალ. ზესტაფონში არსებული შრომის კოლექტივი გაუქმდა სამპროფბიუროს დადგენილებით.

დუშეთის სამპროფბიუროში

— **აღმშენებელი მუშაობის კავშირის დასაარსებლად.** დუშეთის სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოსთან დუშეთის მაზრაში აღმშენებელი მუშაობის კავშირის დაარსებაზე.

— **მოძრავი კინოსათვის.** დუშეთის სამპროფბიურომ სთხოვა საქართველოს პროფსაბჭოს დუშეთის სამაზრო პროფკავშირებისათვის საჭირო მოძრავი კინოს ღირებულება გაინაწილოს კავშირების ცენტრალურ გამგეობამ.

— **მუხრანის მამულების მომუშავეთა მდგომარეობის გამოსარკვევად.** სოფ. მუხრანში სახ. უნივ. მამულში მომუშავეთა მდგომარეობის გამოსარკვევად კომისია დანიშნა დუშეთის სამპროფბიურომ.

— **გლეხთა სესხი.** დუშეთის სამპროფბიურომ მოუწოდა ყველა ადგილობრივ კავშირებს შეიძინონ გლეხთა სესხი.

— **კავშირის ფულის დაუბრუნებლობისათვის.** დუშეთის სამპროფბიუროს ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა მოქ. არწრუნოვმა არ დააბრუნა ვალად წაღებული თანხა. სამპროფბიურომ გადასწყვიტა საქმე გადასცეს სასამართლოს.

კომუნალური მეურნეობის კავშირის ც. გამგეობაში

— **პროფტეხნიკური კურსების მოწყობა.** მეურნეობის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო ტრამვაის მოწაფეებისათვის მოაწყოს პროფტეხნიკური კურსები.

— **შუამდგომლობის აღძრა.** ც. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, რათა ცეცხლის მქრობელთა რაზმის შოფერები გადმორიცხულ იქნენ კომუნალურ მუშაკთა კავშირში.

— **მ-14 საგადასახადო განყოფილებაში** ც. გამგეობამ კავშირის წარმომადგენლად მიავლინა ამხ. ამხ. ხუჩუა, მახარაშვილი და ვარნაზოვი.

— **დავალიანების ჩამოსაჭრელად.** კომმეურნეობის ც. გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა კავშირის ცეკასთან ძველი დავალიანების პატიების შესახებ.

— **საქალაქო კონფერენცია.** 8 მარტს, მოწვეულია სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა საქალაქო კონფერენცია. დღის წესრიგში სდგას მნიშვნელოვანი საკითხები.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

— **პიონერების კოლექტივი.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის კულტგანყოფილებამ მოაწყო პიონერების წრე, სადაც მეცადინეობენ კავშირის წევრების ბავშვები.

— **მუშებს ეხმარება.** ამავე კავშირის კულტკომისიამ დიდი დახმარება გაუწია მუშებს ლიტერატურის მიწოდებით და აგრეთვე ლექციების კითხვით.

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირში

— **ქალთა წრის გაძლიერება.** სამთო-მადნო მუშაკთა კავშირის კულტკომისიამ გააძლიერა ქალთა წრე მათი კულტმუშაობაში ჩაბმის მიზნით.

— **ურთიერთ-დამხმარე სალაროები.** სამთო-მადნო მუშაკთა კავშირის სალაროებში ამჟამად გაერთიანებულია—2.296 წევრი.

— **7.100 პროფესიონალური და პოლიტიკური ხასიათის წიგნი.** სამთო-მადნო მუშაკთა კავშირი ენერგიულ ზომებს ღებულობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საჭირო წიგნებით უზრუნველსაყოფად. სულ ამჟამად მოეპოვება 7.100-მდე პროფესიონალური, პოლიტიკური და ლიტერატურული შინაარსის წიგნი.

რკ. გზ. პროფკავშირში

— **აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობაზე.** 2 მარტს იხსნება აზერბეიჯანის პროფკავშირების ყრილობა. ყრილობაზე მოწვეულია ა. კ. რკ. გზების საგზაო კომიტეტის წარმომადგენელი.

— **კედლის გაზეთი.** გამოვიდა ა. კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის ორგანო „დოსუგ პროფრაბოტნიკა"-ს მე-3 ნომერი.

ბათომის საუბნო კომიტეტში

— **საწარმოო თათბირების დადგენილებების გატარებისათვის.** ვინაიდან საწარმოო თათბირების დადგენილებები არ გატარებულა ცხოვრებაში 50 პროცენტზე ზევით, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ბათომის, საუბნო კომიტეტმა დაადგინა მომავალში ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილკომებმა და მიიღონ სათანადო ზომებიც.

რადიო-მშენებლობა

რადიომიმღები აპარატები საქ. ქალაქებში

უკანასკნელი თვეების განმავლობაში რადიო მოყვარულთა წრეების ორგანიზაციამ ფართო ხასიათი მიიღო. გასული წლის ოქტომბრიდან თებერვლის დამლევამდე თბილისში აღრიცხულია 10 სპეციალური რადიო მიმღები და 100-ზე მეტი კერძო ახალი დადგმები. ამავე ხნის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დადგმულ იქნა 130 ახალი რადიო მიმღები აპარატი.

მხედველობაში არის მისაღები ის გარემოებაც, რომ დადგმულ რადიო აპარატების მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხული არ არის და მუშაობს ფარულად. ნამდვილად რადიო აპარატთა რიცხვი აღრიცხულ რაოდენობას ბევრათ აღემატება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რადიო მოყვარეობის გავრცელება პროვინციალურ ქალაქებში.

გასული წლის ნოემბრამდე საქართველოს არც ერთ პროვინციალურ ქალაქში არ ყოფილა დადგმული არც ერთი კერძო რადიო მიმღები აპარატი, იყო მხოლოდ სახელმწიფო რადიო სადგურები.

ნოემბრიდან—თებერვლამდე რადიო აპარატები გაჩნდენ ქუთაისში, ფოთში, ახალქალაქში, ლიუქსემბურგში, ავჭალაში, ზუგდიდში, ჭიათურაში და სხვაგან.

რადიო-მოამბე სადგურის მოსაწყობათ.

საოლქო კავშირის მიერ მოსკოვის ელექტრობანკისგან უკვე მიღებულია 115 ათასი მანეთი სესხი ფართო რადიო მოამბე სადგურის შესაძენად ამერიკაში.

სულ საოლქო კავშირიდგან გამოთხოვილი იყო სადგურის შესაძენად და დასადგმელად 280 ათასი მანეთი. მიღებული თანხა მოხმარდება სადგურის ყიდვას, გადმოტანას და დადგმას. თუ შემდეგი მუშაობისათვის საჭირო იქნება კიდევ თანხები, ელექტრო ბანკი გაიღებს სესხს გამოთხოვილი რაოდენობის ფარგლებში.

სესხი გაცემულია 5 წლის ვადით.

საბჭოთა არჩევნები

განკითხვის დღეც შორს არ არის

(აბასთუმანი, ზუგდ. მ.)

აბასთუმანის თემის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, რომ მას ღირსეული ხელმძღვანელები ჰყოლოდა. ყველაფერია აქ თემის პირობაზე: ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, კოოპერატივი, აფთიაქი და სკოლა. აბასთუმნელი გლეხებიც არ არიან საზოგადოებრივ მუშაობის უნარ მოკლებულნი.

მაგრამ სამწუხაროდ, რამდენადაც ეს ასეა, იმდენათ სუსტი და გამოუსადეგარნი არიან თემის მეთაურნი, საბჭოს პრეზიდიუმის წევრები: თავმჯდომარე და მდივანი.

პირველი მათგანი გარეგნული შეხედულებით მშვიდი და უწყინარი კაცია. მაგრამ მას ერთი ავი ზნე სჭირს. ესაა ნუნუას უსაზღვრო სიყვარული. ძნელათ თუ მოიძებნება აბასთუმანში ისეთი ყანწი, რომელსაც თემაღმასკომის თავმჯდომარე ცხადაიას ბაგეებში არ გამოუვლია. ის სხვა ჭურჭელს არც კი ხმარობს წყურვილის ღვინით მოსაკლავათ.

თავმჯდომარეს გვერდს უმშვენებს აღმასკომის მდივანი, ყოფილი აზნაური, რომელიც ქეიფისთვის უფრო შექმნილი, ვიდრე საზოგადოებრივ მუშაობისათვის. სადაც ჭიქა გარახუნდება, ჩვენი თავმჯდომარე და მდივანიც იქ არიან. და, როგორც მათი ადმინისტრატიული მდგომარეობა მოითხოვს, ისინი ქეიფში და ლხინშიაც სუფრის მეთაურობას იჩემებენ.

ქორწილში და ქელეხში თავმჯდომარე ისე არ წავა, თუ უსათუოდ მდივანიც თან არ წაიყვანა. ქეიფობენ დილიდან დაღამებამდე და დაღამებიდან დილამდე.

ამას წინათ აღმასკომის წინ თავი მოეყარა რამდენიმე გლეხს და ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს. ბევრი უცადეს თავმჯდომარეს და მდივანს, მაგრამ მათი ჭაჭანი არსად სჩანდა. აბასთუმნის თემაღმასკომი ნამდვილ „მისე მწერალის" კანცელარიის სურათს წარმოადგენდა.

ბოლოს გამოირკვა, რომ პატივცემულ თავმჯდომარეს მდივანითურთ ენებებია საქეიფოთ წასვლა, სადაც სამი დღე და ღამე ერთმანეთზე გადაბმით დრო უტარებიათ. ცხადია, ასეთი ხელმძღვანელებისაგან ვერაფერი ხეირი დაეყრება აბასთუმანის თემს, რომ ისინი კიდევ რამდენიმე ხანს დარჩენ საქმის სათავეში.

მაგრამ, საბედნიეროთ, განკითხვის დღეც შორს არ არის. სადაცაა არჩევნებიც მოხდება და ალბათ აბასთუმნელი გლეხები მიუჩენენ ჩვენი დროის „მისე მწერლებს" შესაფერის ადგილს.

მაცქერალი.

„თავზე ქონის წასმა" დაუშვებელია

არის შემთხვევები, როცა საბჭოს მუშაობა არ აკმაყოფილებს ამომრჩევლებს. საანგარიშო წლის განმავლობაში თემის მესვეურთ არ გაუკეთებიათ გზები, არ მიუხედავთ სკოლისათვის, არც ცდილან რევოლიუციონური კანონიერება განემტკიცებიათ სოფლად, არ უწარმოებიათ ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც ეს საჭირო იყო, არ მიუხედნიათ გლეხკომისათვის, რომელიც თავის მუშაობით სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში, არ გამოუჩენიათ მზრუნველობა საექიმო მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მთელი რიგი საბჭოს წევრები ახლოც არ გაკარებიან საანგარიშო ხნის განმავლობაში საზოგადო საქმეებს და მრავალი სხვა.

აშკარაა, ასეთი საბჭოს მუშაობით ამომრჩევლები კმაყოფილნი არ იქნებიან. ეს უკმაყოფილება კიდევაც იჩენს თავს სათემო ყრილობებზე, სადაც საბჭოს წარმომადგენელი აკეთებს საანგარიშო მოხსენებას. გლეხები გამოდიან სასტიკი და საქმიანი კრიტიკით საბჭოს მუშაობის შესახებ.

იქმნება ისეთი სულისკვეთება, რომ საბჭოს მუშაობა უთუოდ დაწუნებული უნდა იქნას... მაგრამ დასასრულ შემოდის რეზოლიუცია, რომელსაც წინ უძღვის ერთგვარი „დასაბუთებული" წინასიტყვაობა და, რომელიც ამბობს, რომ თუმცა ესა და ეს ვერ შეასრულა საბჭომ, მაგრამ მისი მუშაობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას ჩათვლილიო.

ამომრჩევლებიც მაინცა და მაინც დიდ წინააღმდეგობას არ უწევენ ამას, რადგან თავისთავად იგულისხმება, რომ ძველი საბჭო უნდა გადადგეს და, რომ რეზოლიუციით წარსულ საქმეს არაფერი ეშველება.

ნამდვილათ კი ასეთ „დიპლომატობას" ზიანის გარდა არაფერი მოაქვს. თუ საბჭო არ ვარგოდა მოურიდებლათ და გარკვევით უნდა ითქვას რეზოლიუციაში, რომ ის არ ვარგოდა და თანვე სათანადოთ უნდა იქნას დასაბუთებული, თუ რატომ არ ვარგოდა ის.

ამას მნიშვნელობა აქვს და ძალიან დიდი მნიშვნელობაც ახალი საბჭოს მუშაობისათვის, აქ ვისიმე წყენა არ წყენაზე არ უნდა დაურჩეს ადგილი ლაპარაკს. საქმის ინტერესი ამას სრულიადაც არ მოითხოვს.

საბჭოთა ხელისუფლება, სხვათა შორის, იმითაც განირჩევა სხვა წესწყობილებიდან, რომ ის არასოდეს არ აფარებს ხელს თავის ნაკლულევანებას. თვითკრიტიკა, მუშაობის საქმიანი შეფასება, სასარგებლოა პირველყოვლისა თვით საქმისათვის.

შეცდომების მიფუჩეჩება, „დიპლომატობა", თავზე „ქონის წასმა"—საქმეს ვნებს. ამიტომ უნდა ვერიდოთ მას საზოგადოთ და კერძოთ მიმდინარე არჩევნებშიაც.

მზისელი.

პირველი სხდომა

(მუხრან-მჭადიჯვრის თემები)

არჩევნების დამთავრების შემდეგ 12 თებერვალს ს. მჭადის-ჯვარში შეიკრიბა ახალი საბჭო.

ამხანაგი არუთინოვმა აღნიშნავს ყოფილ საბჭოს უმოქმედობას, რასაც ამტკიცებს ამომრჩეველთა განცხადება: „რათ გვინდა ძველი საბჭოს წევრები, როცა იყვნენ რაი გაგვიკეთესო". ამიტომ იყო, რომ ძველი საბჭო შეცვლილი იქნა თითქმის 90 პროცენტით.

და მართლაც: სოფლის გზები და ბოგირები თითქმის სულ უვარგისნი არიან; სასმელი წყლების მაგივრად გამოყენებულია უსუფთაო ხევის წყლები, რომლებიც ქმნიან ბევრ გვარ სნეულებებს; თემში ხშირია ტყეების უთავბოლო გაჩეხვა. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვის მნიშვნელობა არა აქვს შეგნებული ხალხს, რის გამო ტყეები თითქმის ჩანაგდებიან; სასკოლო აღმშენებლობის საკითხი მოწესრიგებულია.

რაც შეეხება გლეხკომებს, მდგომარეობა აქაც ერთობ ცუდია. მათ გაუხსნიათ სავაჭროები და ტყავს აძრობენ გლეხებს. მაგ. სოფ. ოძისის კოოპერატივი გლეხობის განცხადებით 4 კაპ. ჰყიდის სპიჩკას. ზოგან კი ადგილი აქვს გაფლანგვას. სოფ. ძალისში (მუხრანის თემი) საერთოდ კოოპერატივების აღორძინება-გაჯანსაღების საქმეს ხელს ვერ უწყობს ვერც მუხრანის და ვერც მჭადის-ჯვრის საბჭოები. კოოპერატივებში არ არიან ჩაბმული გლეხთა ფართე მასები.

მუხრანის და მჭადი-ჯვრის თემებში არსებობს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მამული, სადაც ადგილი აქვს ბევრ ბოროტმოქმედებას.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენათ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას ახალი საბჭო.

გ. კარანაძე.

ვის ირჩევს მშრომელი გლეხობა

(წერილი თელავიდან)

შარშან მთელ მაზრაში იყო მხოლოდ 26 საარჩევნო პუნქტი, წელს კი საარჩევნო პუნქტების რიცხვი 74 უდრის.

უმთავრესი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ეს არის მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა არჩევნებში. არავის არ ახსოვს სოფლებში არც ერთი რეჟიმის დროს ისეთი მასიური ყრილობები, როგორც მიმდინარე საბჭოთა ყრილობებია.

მოსახლეობის აქტიურობა შეეხო თუშ ქალებსაც. გასულ წელს ქვემო და ზემო ალვანში საბჭოთა ყრილობებს დაესწრო მხოლოდ 17 თუში ქალი. წელს კი ამ თემებში კრებაზე გამოცხადდა 200-ზედ მეტი—და საბჭოშიც არჩეულია 6 ქალი.

საინტერესოა ღარიბი და საშუალო გლეხობის დამოკიდებულება არჩევნებთან. უნდა ითქვას, რომ თელაველ ამხანაგებს დიდი წინასწარი საარჩევნო კამპანია ჩაუტარებიათ. გლეხები ამბობენ: „ვინც ბონების ფულები მოსპო და ვერცხლის ფული დაგვანახვა, იმათი მომხრენი ვართ"-ო. თუში მეცხვარეები აცხადებდენ: „ვინც მშვიდობიანობა დაამყარა, ბანდიტიზმი მოსპო და კეთილ განწყობილება ჩამოაგდო მეზობელ სახელმწიფოებთან, სადაც ჩვენ ცხვარს ვრეკავთ—იმ მთავრობას როგორ არ შევიყვარებთ"-ო?

ორ სამ ადგილას რამდენიმე „კულაკის" მიერ წამოყენებული კანდიდატები ერთხმად გაშავა კრების მთელ შემადგენლობამ. თავის მხრივ გლეხები თვით ადგენენ სიებს და სიტყვიერადაც ასახელებენ კანდიდატებს.

იყო შემთხვევები საყვედურებისა სოფლის ამა თუ იმ ინტელიგენტებზე: „ეს ზარმაცია, არ გვემხრობა", „მშრომელ გლეხობაზედ გული არ სტკივა"-ო.

საერთოდ სოფლის ინტელიგენტური ძალები ფართოდაა ჩაბმული საბჭოების მუშაობაში და გლეხობაც მათ ერთხმად ირჩევს. დამოკიდებულება სოფლის კომუნისტებთანაც ძალიან კარგია.

არჩევნები მაზრაში დამთავრდება დაახლოებით მარტის პირველ რიცხვებში.

ვლ. ცაგარელი.

ახალი საბჭო არჩეულია

(გამოჩინებულის თემი, ქუთ. მ.)

გამოჩინებულის თემისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია: **გზების საკითხი**, რომელიც საშიშ მდგომარეობაშია. ახლავე სკოლების შენობების შეკეთება, კოოპერაცია და სხვა. ყველა ამ საკითხებს საბჭო და მისი აღმასკომი აქცევდა ძალიან ნაკლებ ყურადღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ყოველ უბნის კრებას მრავლათ ესწრებოდნენ ღარიბი და საშუალო გლეხები. ამასთანავე ხაზგასმულია ეს გარემოება, რომ მამაკაცებთან ერთად კრებებს მრავლად ესწრებოდენ დედაკაცებიც. ისინი აშკარა კმაყოფილებას გამოსთქვამდენ, რომ ქალებსაც ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში [illegible] გაიყვანონ საბჭოში თავიანთი წარმომადგენლები, მხოლოდ სამწუხაროდ უნდა ითქვას, ჩვენი გლეხობა **კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ დედაკაცსაც შეუძლია საზოგადო საქმის კეთება.** ისინი ალაგ-ალაგ ძალით აშავებდენ ქალების კანდიდატურას.

ამომრჩეველთა რიცხვი მთელ თემში იყო 3581 კაცი და ქალი. მათში გამოცხადდა კრებებზე 2.000 მეტი. აირჩიეს სულ 68 საბჭოს წევრი მათში ქალები 7, კომუნისტები 12, კომკავშირის წევრები 2 და უპარტიონი 54 კაცი.

საშ. ციკაჩეიშვილი.

[illegible] სადარაჯოზე

(დუშეთის მაზრა)

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მაზრა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით განსხვავდება საქართველოს სხვა მაზრებიდან და აქაური მოსახლეობა ძლიერ დაშორებული არიან ერთმანეთისაგან — არჩევნები მაინც დამაკმაყოფილებლათ მიდის. პირველი რაიც აღსანიშნავია, ესაა დამსწრეთა რიცხვის გამოცხადება საარჩევნო კრებაზე, რომელიც საშუალოთ 54—64 პროცენტს უდრის.

გლეხები ახალ საბჭოებისაგან მოითხოვენ სკოლების ქსელის გაშლას, საექიმო პუნქტების დაარსებას, ქოხ-სამკითხველოების რიცხვის გადიდებას და სხვა.

მესამე დამახასიათებელი მომენტი, რაიც თან ახლავს საბჭოთა არჩევნებს არის ახალი საბჭოს შემადგენლობის შერჩევა გლეხობის მიერ.

ღარიბესი გლეხობა გაიძახის: „ჩვენ არ გვსურს, რომ კულაკები და მემამულეები გვყავდნენ საბჭოში, ჩვენ გვინდა საბჭოში იყვნენ ისეთი ღარიბი გლეხები, როგორებიც ჩვენა ვართ"-ო. ჩვენი მაზრის ღარიბეს გლეხობის ასეთი აქტივობა გვაძლევს იმედს, რომ გლეხობის საუკეთესო ნაწილი უკვე გამოფხიზლებულია და სოფლის ტკივნეული საკითხების გამოსწორებას თვითვე შეუდგა.

ს. კარსანიძე.

არჩევნები დავამთავრეთ

(ამაშუკეთი, შორ. მ.)

თემი დაყოფილი გვქონდა 5 საარჩევნო უბნად. არჩევნებში დიდ აქტივობას იჩენდა ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომელთაც გვერდში უდგა სოფლის მასწავლებლობაც. ხმის მისაცემად გამოცხადდა ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტი.

საბჭოს დეპუტატები, რიცხვით 78 კაცი ერთსულოვნად იქნა არჩეული. მათ შორის კომპარტიის წევრი, კანდიდატი და ა. ლ. კ. კ. წევრები არის 24 კაცი, დანარჩენები უპარტიონი არიან.

საბჭოს შემადგენლობაში გვყავს ინტელიგენტური ძალებიც: ექიმის თანაშემწე, პროვიზორი, და რვა მასწავლებელი.

ალგეთ.

ხათრით მოიწონეს

([illegible] თემი, გურია).

ჩვენი საბჭოც წარსდგა მასის წინაშე ანგარიშით. კრებაზე გაცხოველებული კამათი გაიმართა. გამოირკვა, რომ ზოგიერთი საბჭოს წევრები მთელი წლის განმავლობაში არ გაჰკარებია ახლო საბჭოს კრებას და მით უფრო მის მუშაობას.

გამოირკვა ისიც, რომ აღმასკომის მუშაობა უმთავრესად კანცელარიის მუშაობაში გამოიხატებოდა. საბჭოს წევრებს ვერ გამოუჩენიათ უნარი გავლენა მოეხდინათ თავმჯდომარეზედ, რომ ის დამდგარიყო თავის სიმაღლეზე. მიუხედავათ ამისა, „ხათრით" საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ფაქტი.

როგორ ჩავატარეთ არჩევნები

(თბილისის მაზრა)

საბჭოთა არჩევნები დიღომის თემში დამთავრდა.

გლეხები, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, დიდი ხალისით ცხადდებოდნენ კრებებზე.

არჩევნებზე დამსწრეთა რიცხვი საშუალოდ 90 პროცენტს უდრის, აქედან 15 პროცენტი გლეხი ქალებია.

იყო, აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ საარჩევნო უბნებში (ქ. ლისის, მსხალდიდი) საარჩევნო კრებებზე ყველანი უკლებლივ გამოცხადდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, მუსლიმან ქალების კრებებზე უკლებლივ გამოცხადება და მათი აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

არჩევნების დროს, ამა თუ იმ საკითხის გარშემო გამართულ კამათში, მამაკაცებთან ერთად მუსლიმანი ქალებიც იღებდენ აქტიურ მონაწილეობას.

სურვილს გამოსთქვამდენ, რათა ხშირ ხშირად მოსულიყვენ მათთან ხელისუფლების წარმომადგენლები.

გარდა სოფელ მსხალდიდისა დანარჩენ სოფლებშიაც თვალსაჩინო იყო გლეხ-ქალთა აქტივობა.

საერთოდ, ამჟამად გლეხი ქალები როგორც მაჰმადიანები აგრეთვე ქართველებიც, საზოგადო საკითხის გარჩევა გადაწყვეტაში, მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან და ფრიად კმაყოფილი არიან მით, რომ იგინი საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით გამოვიდენ დღის სინათლეზე და გახდენ, მამაკაცებთან ერთად თანასწორუფლებიანები.

კანდიდატების დასახელება და კენჭისყრა ხდებოდა პერსონალურად და ხმის მარტივ უმრავლესობით ირჩევდნენ საბჭოს წევრებს.

კულაკებისა და ვაჭრუკანების გამოსვლას ადგილი არსად ქონია, გარდა სოფ. დიღომისა (ქვემო დიღმის საარჩევნო უბნისა). იქ ზოგიერთა ვაჭრუკანები და ცუდად [illegible] პირები,—როდესაც დაატყვეს, რომ გეგმები იღუპებოდა, შეეცადნენ კრების ჩაშლას. მათ ყვირილით და ღრიანცელით შეიტანეს არევ დარევა კრებაში, რაც რამოდენიმედ ხელს უშლიდა არჩევნების ნორმალურ მსვლელობას.

ეს პირები გახლავან: იოსებ ჯანიაშვილი, გიორგი თაბაგარი, ილა ხმალაძე, შაქრო ჯანიაშვილი და ოქრო მძევაშვილი.

სწორეთ ეს პირები არიან, რომ ყოველთვის, ყოველ კრებებზე და არჩევნებზე, როდესაც სოფლის სასარგებლოდ სწყდება ხოლმე რაიმე საჭირბოროტო საკითხები, მუდამ ხელს უშლიან საქმეს და წყალს ამღვრევენ თავიანთ სასარგებლოდ.

აქაც ჩვეულებრივათ მათ წამოყვეს თავი და ყოველ ღონეს ხმარობდენ რათა არჩევნები ჩაშლილიყო, მაგრამ გლეხობა მათ არ გაჰყვა და არჩევნები მაინც წარმატებით ჩატარდა.

პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობა მოიკოჭლებდა, არჩევნების წინასწარ მოსამზადებელ კამპანიაში დიღმის და ზემო-ლისის პარტიის და კომკავშირის წევრები გულგრილობას იჩენდნენ. ყოველგვარ მათზედ დაკისრებულ საქმეს გაურბოდენ.

სოფლის გლეხობაში, მათ არავითარი ნდობა და ავტორიტეტი არ აქვთ, და უწესო წევრის გამო, გლეხობა მათ აღმაცურათ უცქერის. არიან ისეთი პირებიც, რომლებიც პარტიასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, მაგრამ თვლიან თავიანთ თავს პარტიის წევრათ და ამ სახელით ფორმალურ სპეკულაციას ეწევიან. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს უფრო ს. ზემო-ლისში.

ამჟამათ მთელ თემში არჩევნები დამთავრებულია. არჩეულ იქნა ორი სოფლის საბჭო, დიღომის და ზემო-ლისის, დიღომის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. თოფურიშვილი, გლეხი, პარტიის წევრი და ლისის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ კი ამხ. ჩოხელი აგრეთვე გლეხი, კომუნისტურ პარტიის თანამგრძნობი.

თემაღმასკომში არჩეულ იქნენ 5 ამხ. და ორი კანდიდატი, მათში ორი პარტიის წევრი, ერთი ექიმი—ერთი მასწავლებელი და დანარჩენი გლეხები. თემაღმასკომის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. მესხიძე, მუშა ყოფილი ახოთ-ამწყობი, პარტიის წევრი.

ლ. ნ.

სად ჩატარდა არჩევნები

ზუგდიდის მაზრა

— ჭიღის თემში არჩევნები ჩატარდა წარმატებით: მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 72 პროც., თემსაბჭოში გაყვანილია 25 წევრი, მათ შორის 14 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და 10 უპარტიო. აქედან 2 ქალი.

— ტყიაპეჟას ღალის თემის საბჭოში აირჩიეს 19 წევრი, მათ შორის 6 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და 12 უპარტიო, აქედან 3 ქალი.

შორაპნის მაზრა

— ხუნევის თემის საბჭოში აირჩიეს 42 წევრი, მათ შორის 8 კომუნისტი, 34 უპარტიო. არჩეულთა შორის არის 3 ქალი.

— თერჯოლის თემის საბჭოში არჩეულ იქნა 104 წევრი, აქედან 21 კომუნისტი და 83 უპარტიო, მათ შორის 18 ქალი.

— ამაშუკეთის თემის საბჭოში აირჩიეს 58 წევრი; 19 კომუნისტი, 5 კომკავშირელი და 34 უპარტიო. მათ შორის 2 ქალი.

სენაკის მაზრა

— გეჯეთის თემის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 65 პროც., საბჭოში აირჩიეს 18 წევრი, მათ შორის 9 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და 8 უპარტიო, აქედან 1 ქალი.

თელავის მაზრა

— ახალ გავაზის საბჭოში აირჩიეს 35 წევრი, 3 კომ., 3 კომკავშირელი და 29 უპარტიო, მათ შორის 4 ქალი.

ლეჩხუმის მაზრა

— ოყურეშის თემის საბჭოში არჩეულ იქნა 37 დეპუტატი, მათ შორის 11 კომუნისტი, 5 კომკავ., 21 უპარტიო, აქედან 3 ქალი.

— ნაკურალეშ-ლასრიშის თემის საბჭოში აირჩიეს 44 წევრი, მათ შორის 16 კომუნისტი, 8 კომკავშირელი, 20 უპარტიო. არჩეულთა შორის 2 ქალია.

— ზუბის თემის საბჭოში აირჩიეს 20 წევრი, მათ შორის 5 კომ., 1 კომკავ., აქედან 3 ქალია.

გორის მაზრა

— ქარელის თემის საბჭოში არჩეული იქნა 77 წევრი, მათ შორის 16 კომ., 15 კომკავშირელი, 46 უპარტიო, აქედან 4 ქალია.

ქუთაისის მაზრა

— უხუთის თემის საბჭოში აირჩიეს 3 წევრი, 2 კ. პ. კანდიდატი და 35 უპარტიო, მათ შორის 1 ქალი.

— კინჩხის თემის საბჭოში გავიდა 2 წევრი, მათ შორის 12 კომ. და 14 უპარტიო, აქედან 1 ქალია.

— გურნის სათემო საბჭოში აირჩიეს წევრი, მათ შორის 2 კ. პ. კანდ., 2 კომკავშირელი, 4 უპარტიო, ოთხივე ქალია.

— ოფუჩხეთის თემის საბჭოში აირჩიეს 32 წევრი, აქედან 3 კ. პ. კანდიდატი, 2 უპარტიო, არჩეულთა შორის 1 ქალია.

— აბაშის თემის საბჭოში აირჩიეს 29 წევრი, 1 კომ., 1 კომკავშირელი, 27 უპარტიო, მათ შორის 1 ქალია.

— ობჩის თემის საბჭოში აირჩიეს 40 წევრი, მათ შორის 2 კ. პ. კანდ., 38 უპარტიო, აქედან 3 ქალია.

—კოკნაველეთის თემის საბჭოში გავიდა 34 წევრი, მათ შორის 2 კ. პ. კანდ., უპარტიო, აქედან 1 ქალია.

ბორჩალოს მაზრა

— ბულნის კაპანახჩის თემის საბჭოში აირჩიეს 25 წევრი, 4 კომ. და 20 უპარტიო, მათ შორის 1 ქალია.

— აზაგასერალის თემის საბჭოში აირჩიეს 16 წევრი, მათ შორის 3 კ. პ. კანდ., კომკავ., 9 უპარტიო.

ყველა თემებში არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობდა ამომრჩეველთა 56 პროც.

სრულიად საქართველოს მწერალთა კონფერენციის რეზოლიუციები

შესახებ მწერალთა კავშირის საგამომცემლო მუშაობისა

მწერალთა კავშირის საგამომცემლო მუშაობისათვის ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ დარგში მწერალთა კავშირს მიეცეს სათანადო საშუალებანი, რისთვისაც საჭიროა გადადებულ იქნას სპეციალური თანხა, რომელიც მოხმარდება როგორც კავშირის საერთო გამოცემებს, ისე კავშირში შემავალ სექციების საგამომცემლო მუშაობას. ამავე დროს საჭიროა გამონახულ იქნას ღონისძიებანი, რათა ეს ძირითადი თანხა ყოველ წლიურათ გაძლიერებულ იქნას რაიმე მუდმივი შემოსავლის წყაროს გამოჩენით. ამავე მიზნით საჭიროა მიეცეს კავშირს უფლება საკუთარი წიგნის მაღაზიის გახსნისა.

სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მწერალთათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ სალიტერატურო ხასიათის მუშაობაში

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებში სალიტერატურო მუშაობას ასრულებენ ქართული სიტყვის არა სპეციალისტები, ხოლო პროფესიონალურ მწერლობას ხშირად უხდება მუშაობა მისი პროფესიისათვის შეუფერებელ დარგებში, ყრილობას სასურველათ მიაჩნია მიღებულ იქნას ზომები, რათა სალიტერატურო და საერთოდ ხელოვნების დარგის სამუშაოზე პირველ რიგში იგზავნებოდეს პროფესიონალი მწერალი.

ზეპირ - სიტყვიერების ნაშთების დაცვისა და გამოცემის შესახებ

ვინაიდან ახალი ყოფის განმტკიცებასთან ერთად თანდათან დავიწყებას ეძლევა ქართული ზეპირსიტყვიერების ნაშთები, რომლის შესწავლა უაღრეს მნიშვნელობას წარმოადგენს, როგორც მეცნიერებისათვის, ისე, განსაკუთრებით, მწერლობისათვის, — აუცილებელ საჭიროებათ იქნას მიჩნეული, რათა მწერალთა კავშირს მიეცეს საშუალება ამ ნაშთების შეგროვებისა და გამოცემისათვის.

1) ვინაიდან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემები დაუმუშავებელი და შეუსწავლელია,—დაარსდეს მწერალთა კავშირთან ქართული სიტყვის ინსტიტუტი. დაევალოს ამავე ინსტიტუტს იზრუნოს ქართული ენის გაწმენდისათვის და კერძოთ ყურადღება მიაქციოს ფაქტს ენის სისტემატიურად გადამახინჯებისას, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ პრესაში და ქართულ გამოცემებში.

2) ამავე მიზნით საჭიროთ იქნას მიჩნეული, რათა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი მიწვეულ იქნას უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში.

3) ყრილობას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია შესდგეს მწერალთა კავშირის ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით სპეციალური კოლეგია ქართული აკადემიური ლექსიკონის დამუშავებისა და გამოცემისათვის.

4) ვინაიდან ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობისათვის, ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რათა ქართულ უნივერსიტეტს მიეცეს საშუალება გააძლიეროს ქართული და უცხოეთის ლიტერატურის ისტორიის დარგი.

საგეგმო კომისიაში

ღორის ხორცის დასამუშავებელი ქარხნის მოწყობა საქართველოში.

საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა პროფ. ჟანდიერის მოხსენება ღორის ხორცის დასამუშავებელი ქარხნის მოწყობის შესახებ ზუგდიდის მაზრაში. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო საერთოდ სამეგრელოში (სენაკში ან ზუგდიდში) ასეთი ქარხნის მოწყობა. მხოლოდ, რომ შესაძლებელი იქნეს ერთ რომელიმე პუნქტზე საბოლოოდ შეჩერება, დაევალა სასოფლო-სამეურნეო სექციას ტეხნიკურ კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს და წარმოადგინოს მოკლე ხანში ორივე ვარიანტის შესახებ თავისი დაწვრილებითი მოსაზრება, კომერციული და სამეურნეო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გაშუქებული.

საქართველოს საგეგმო კომისიამ შეიმუშავა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ქარხნის ასაშენებლად და მოსაწყობად 275.000 მან. ფარგლებში. ქარხანა ნავარაუდევია წლიურად 250.000 ფ. ხორცის დასამუშავებლად. ქარხანა მოეწყობა დანიის ან ინგლისის ქარხნების ტიპის მიხედვით, რაც შეეხება რაიონს, პირველ რიგში მიღებულია დასავლეთი საქართველო, სადაც მეღორეობა მეტად განვითარებულია. მაგალითად—აღმოსავლეთ საქართველოში 1923 წ. მოშენებული იყო 97.569 ღორი. დასავლეთ საქართველოში 246.339, აფხაზეთში 46 670, აჭარაში 266.

ცალკე მაზრებში 1923 წ. ყოველ 100 მოსახლეზე მოდიოდა:

ზუგდიდის მაზ.	35.19	ღორი
ლეჩხუმის „	41.13	„
ოზურგეთის „	38.73	„
რაჭის „	27.89	„
სენაკის „	34.09	„
ქუთაისის „	20.34	„
შორაპნის „	20.67	„

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ რამოდენიმე მაზრას ღორების თითქმის ერთნაირი, როგორც აბსოლიუტური ისე შედარებითი რაოდენობა, ახასიათებს. მაგრამ ქარხნის ასაშენებელი რაიონის საბოლოოდ გამოსარკვევად, საჭიროა ადგილებზე არა მარტო არსებულ მდგომარეობის გათვალისწინება, არამედ ანგარიშის გაწევა მეურნეობის სისტემის შესაძლებელ ცვალებადობის, პერსპექტივებისათვის და მეღორეობის განვითარების ტენდენციისათვის კერძოთ. ასე მაგალითად ძალიან დამახასიათებელია, რომ რაჭის მაზრაში მეღორეობა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა, სენაკის მაზრაში—2½-ჯერ, ოზურგეთის მაზრაში—2-ჯერ, მაშინ როდესაც სხვა მაზრებში ღორების რაოდენობა ან შემცირდა—ან კიდევ უცვლელი დარჩა.

დასავლეთ საქართველოში ქარხნისათვის რაიონის შერჩევის დროს ანგარიში გასაწევია სხვადასხვა გარემოება: ტრანსპორტი, სათბობი მასალა, წყლით უზრუნველყოფა, ღორების მომშენებელ მოსახლეობის შემჭიდროება, შავი ზღვის ნავთსადგურების სიახლოვე.

რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას, რომელიც ეკონომიურად ძლიერ დაკავშირებულია სამურზაყანოსთან, ის წარმოების ერთერთ შესაძლებელ პუნქტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა ქარხნის ასაშენებელი ადგილი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

საგეგმო კომისიას საჭიროთ მიაჩნია ჯიშიან ღორების ამ თავითვე გამოწერა, იმდენათ, რამდენათაც ქარხნის ორგანიზაციის საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში ქარხნის ამუშავების მომენტისათვის მოსახლეობას საშუალება ექნება მიაწოდოს ქარხანას გაუმჯობესებული ღორის მასალა.

მზადება ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისია გასული წლის დეკემბრიდან შეუდგა მუშაობას იმის გამოსაანგარიშებლად, თუ რამდენი ენერგია იქნება საჭირო ქალაქისა და მისი წარმოებებისათვის. კომისიამ წინადადება მისცა „რუოს“-ს (ელექტრონის მომმარაგებელი სამმართველოს), ტრამვაის, წყალსადენის და წყალთა სამმართველოს, რათა წარმოედგინათ მათთვის საჭირო ელექტრო-ენერგიის რაოდენობის შესახებ ცნობები.

ჯერ-ჯერობით ცნობები წარმოადგინეს მხოლოდ ტრამვაის, და წყალსადენის სამმართველოებიდან. წარმოდგენილ ცნობების მიხედვით წყალსადენს დასჭირდება 1927-28 წ. 2,500,000 კილოვატი, (ამჟამად კი ესაჭიროება 2,075 000 კილოვატი.) ტრამვაის კი დასჭირდება 6,000,000 კილოვატი (ამას გარდა ტრამვაი [illegible] ენერგიას 2,074,000 კილოვატს და სახელოსნოებს 100,000 კილ. ენერგია).

საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა „რუოს“-ს ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს საბოლოო ცნობები მისთვის საჭირო ენერგიის რაოდენობისა, რის წარმოუდგენლობა აგრეთვე აფერხებს ზაჰესის ენერგიის თვითღირებულების გამორკვევას.

სახალხო კომისართა საბჭოში

სასჯელი შრომის კანონმდებლობათა დარღვევისათვის.

იუსტიციის სახ. კომისარიატმა წარადგინა სახ. კომისართა საბჭოში დადგენილების პროექტი შრომის კანონმდებლობათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული სასჯელის დადების წესის შესახებ. პროექტი დადასტურებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ და გადაეცა დასამტკიცებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ინსტრუქცია საადგილ-მამულო დავის განხილვის წესის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა, საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებისა და მიწსახკომ-ს საად.-მამულო საბჭოში საადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის ინსტრუქცია, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სათანადო უწყებებთან.

სოციალურ დახმარების საზოგადოებათა დაარსება

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა წარადგინა სახკომსაბჭოში პროექტი დადგენილებისა ქალაქებში სოციალურ დახმარების საზოგადოებათა დაარსების შესახებ. პროექტი მიღებულ იქნა და წარედგინა დასამტკიცებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების შუამდგომლობა.

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა წითელი ჯვრის საზოგადოების შუამდგომლობა ქ. თბილისში საზოგადოების კუთვნილი ერთ ერთი შენობის ვალიდან გათავისუფლების შესახებ.

ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა

ს. მ. უ. საბჭომ აღძრა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე აბრეშუმის საქსოვ ქარხნის მის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

საკითხი გადაეცა განსახილველად საარბიტრაჟო კომისიას.

სვანეთის მდგომარეობის გამოკვლევა

დაევალა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. [illegible] და მის მოადგილეს ამ. ს. ჯუღელს გამოჰყონ კომისია სვანეთის მდგომარეობის გამოსარკვევად.

დამსახურებული სამთომადნო ინჟინერი ცეიტლინი

შეტანილ იქნა შავი-ქვის საგანგებო სამმართველოს პენსიონერთა სიაში.

საქართველოს ს. ს. რ. მ|მ. მილიციის დებულების დამტკიცება

საქ. სახკომსაბჭომ, დადგენილებით დაარსებულ კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების პროექტი დამტკიცებულ იქნა გარდა მე-5 თავისა, რომელიც დაუბრუნდა აღნიშნულ კომისიას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შესათანხმებლად.

„საქართველოს ჩაი“

სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობამ დაათვალიერა ჩაის პლანტაციები ჩაქვში, ოტრადნოეში, სალიბაურში, კაპრეშუმში და ყოფ. მეხუთე საბჭოთა მეურნეობაში.

პლანტაციების დათვალიერებამ დაამტკიცა, რომ ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების დაცვას და განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოს და აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ გამომუშავებულ ღონისძიებების გატარებამ.

პლანტაციების დათვალიერებამ და გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ პლანტაციების სრულ აღსადგენად საჭირო იქნება დიდი თანხები. ჩაის კულტურის და მისი დამუშავების ტეხნიკის გასანვითარებლად საჭირო იქნება საცდელ-საჩვენებელი სადგურის და ლაბორატორიის მოწყობა, მუშათა სახლების აგება, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, დანგრეული ჯებირის აღდგენა მდ. ჩაქვაზე, ხიდის აგება და სხვა. ამას გარდა, საჭირო იქნება ჩაის საქმის სპეციალისტების ჩაბმა ჩაის წარმოებაში.

ჩაქვში, სხვათა შორის, გაიმართა საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელსაც დაესწრო მამულის მთელი ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატი; ამ სხდომაზე გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ძამაშვილმა ადგილობრივ მუშაკებს გააცნო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს მიზნები და ამოცანები.

სასეზონო აუცილებელი მუშაობის შესასრულებლად გამგეობამ გადასდო 100.000 მანეთი.

ამ ჟამად გამგეობა მუშაობს უახლოესი წლის საწარმოო გეგმის და ჩაის კულტურის გაფართოებისათვის საჭირო აგრიკულტურული ღონისძიების გამომუშავებაზე.

სატყეო მრეწველობა

ხე-ტყის მასალის გატანა საზღვარგარეთ

ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, ომამდე ამიერ-კავკასიას საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა ხე-ტყის მასალის გაყიდვებისაგან. საზღვარგარეთის სავაჭრო-სარეწველო საზოგადოებები ამიერ-კავკასიაში შემოჰქონდათ [illegible] ნაწარმოები, და სამაგიეროდ გაჰქონდათ ხე-ტყე.

ამასთან ერთად ამ საზღვრებს გარეთ ჰქონდათ ცუდი და კარგი ღირსებისა [illegible], რამაც დასცა ამიერ-კავკასიის ხე-ტყის ღირსება. ამას მოჰყვა ის, რომ საზღვარგარეთ შემცირდა მოთხოვნილება ამიერ-კავკასიის ხე-ტყეზე.

სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა ანგარიში გაუწია ამ მდგომარეობას და ჩვენებურ ხე-ტყის ღირსების აღსადგენად ამერიკაში, გაგზავნა სანიმუშოდ კაკლის და სხვა ხეების ჯიში.

სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატს [illegible] (ცნობა [illegible]), ჩვენებური ხე-ტყის მასალამ იქ კვლავ მოიპოვა გავლენა და სავაჭრო-სარეწველო წრეები დაინტერესებული არიან ამ.-კავკასიის ხე-ტყით.

ამასთან დაკავშირებით კომისარიატს განზრახვა აქვს გააფართოვოს ამიერ-კავკასიაში ხე-ტყის მასალის დამზადება და შემდეგ საზღვარგარეთ ფართოთ გასაღების საქმე.

ტრავერსების (შპალების) დამზადება

საქართველოს სატყეო ტრესტთან დასდო ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველომ 180 ათასი იფნის ტრავერსის (შპალის) დასამზადებლად. ტრავერსები დამზადებული უნდა იქნას 10 თვის განმავლობაში.

სატყეო ტრესტმა ახსნა უკვე ხე-ტყის [illegible] და შეუდგა მუშაობას მაწყლისის, კახეთის, ტყიბულის და საჩხერის სატყეო რაიონებში. ხელშეკრულებით ტრესტი ვალდებულია რკინისგზის სამმართველოს ყოველთვიურად ჩააბაროს 18 ათასი [illegible].

სატყეო ტრესტის ცნობით, ტრავერსების დამზადება წარმატებით მიმდინარეობს და ყოველთვე რაოდენობა მზადდება შეპირებულ [illegible]. მაგალითად იანვარში 18 ათასის მაგივრად დამზადებულ იქნა 26 ათასი ცალი ტრავერსი და თუ ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა მუშაობა, ტრესტი [illegible] ხელშეკრულებას [illegible] ვადაზე ადრე.

ქრონიკა

საბინაო მშენებლობა.

— საბინაო კავშირის გეგმით, მიმდინარე წელში თბილისში საბინაო-საამშენებლო ამხანაგობები წელს ააგებენ 100 სახლს.

— **მუშათა ახალშენი.** წელს ბათომში შეუდგებიან მუშათა ახალშენის მოწყობას.

— **კომუნალურმა ბანკმა** თბ. აღმასკომს სახლების შესაკეთებლათ გადასცა 200 ათასი მან.

სახალხო განათლება.

— **სამხრეთ-ოსეთში.** სახალხო განათლების საქმისათვის მიმდინარე წელში გადადებულია 267,675 მან.

— **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილების ცნობით თბ. მაზრაში ამჟამად მოქმედებს წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლი 184 სკოლა.

ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატში.

— **წამლეულობის შეძენა.** სახ. ვაჭრობის კომისარიატმა გერმანიიდან მიიღო წამლეულობა.

— **ტრაქტორები.** ახლო მომავალში სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი ამერიკიდან მიიღებს ფორდზონ სისტემის 450 ტრაქტორს.

— **ძვირფას მინების სახელოსნო.** ახლო ხანში გერმანიიდან მიღებული იქნება ოპტიკური (სათვალეების და სხ. ძვირფას მინების) სახელოსნოს მოწყობილობა. სახელოსნო მოეწყობა თბილისში.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** ორშაბათს, საღამოს 8 საათზე, სახ. უნივერსიტეტის დოცენტი ი. იოსელიანი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მენდელიზმის (მემკვიდრეობის) ძირითადი პრინციპები“.

— **ოსების კრება.** დღეს საქ. პროლეტ. უნივ. ოსური სექტორის თაოსნობით თბ. ოსური მე-104 შრ. სკოლაში დაინიშნა თბილისში მცხოვრები ოსების კრება. [illegible] საკითხი. დასაწყისი დილის 10 საათზე.

— **ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში** ორშაბათს, 2 მარტს საღამოს 8 საათზე [illegible] მოხსენებები: 1. პროფ. [illegible]: „ზოგიერთ [illegible] ქართულში“ და 2. არნ. ჩიქობავა: „[illegible]“.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

მიხეილ ჯავახიშვილი მოთხრობების წიგნი: „[illegible]“ 254 გვ. ფასი 1—50 კ. „ორი განაჩენი“ 215 გვ. ფასი 1 მ. 20 კ.

ბ. კუპრაშვილი—„ამაკო სამანიშვილი“. მოთხრობა 142 გვ. ფასი 80 კაპ.

უოლტ უიტმანი ლექსები—თარგმანი კ. გამსახურდიასი. 96 გვ. ფასი 1 მანეთი.

ბ. ბიბინეიშვილი—„მეოთხედი საუკუნის იატაკქვეშ“ (მოგონებანი) 115 გვ. ფასი 60 კაპ.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 26 თებერ. დილით მეთევზეებმა თევზაობის დროს მტკვარში იპოვეს დამხრჩვალი ქალის გვამი.

— **გადმოვარდნა.** 26 თებ. საღამოს ჩუღურეთის ქ. № 30 მე-2 სართულიდან გადმოვარდა ვლადიმერ ნებიერიძის 4 წლის ბავშვი თამარა და სასიკვდილოთ დაშავდა.

— **შეპყრობა.** სოფ. როზენფელდში შეიპყრეს ანტონ უნტერზეგერი და იოანე ბაუერი ქურდობისათვის.

— **ქურდობა.** 26 თებ. ჩერქეზიშვილის ქ. № 61 გაქურდეს არტემ სომხიევის ბინა. წაიღეს 150 მან. ნივთები.

— ამავე დღეს პლეხ. პრ. № 1 ხელო გუსეინოვის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

ხელოვნების ქრონიკა

— **კინო სოფლად.** პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო სხვადასხვა სოფლებში აწყობს „საბჭოთა კინო უჯრედებს“.

— **ეგონ პეტრი** ახლოხანში კონსერვატორიაში კონსერვატორიის მოწაფეთათვის მისცემს საჩვენებელ გაკვეთილებს ფორტეპიანოზე.

— **სიმფონიური კონცერტი.** ორშაბათს, 1 მარტს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება საოპერო სტუდიის სიმფონიური კონცერტი ს. მიგაის მონაწილეობით და ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

— **„ლაკმე“.** დღეს ოპერის თეატრში მომღერალ ქალის სტეპანოვას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „ლაკმე“.

— **კინო ბავშვებისათვის.** დღეს კინო „მინიონში“ დღის 12 ს. გაიმართება საბავშვო სეანსები.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სინათლე“ 1 ნაწ.

— **საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** კვირას დღის 12 საათზე, ხელოვნების სასახლეში მოწვეულია საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა. აუცილებელია დაესწრონ შემდეგი ამხ.: ნ. ზომლეთელი, შ. დუდუჩავა, ს. ეული, შინატეხელი, ა. მაშაშვილი, რონდელი, კ. კალაძე, ლ. ესაკია, რ. ქალაძე, ს. ბუაჩიძე.

პოეტ მაიაკოვსკის მოხსენება

26 თებერვალი, რუსთაველის თეატრი

„ჩემ მიერ ამერიკის აღმოჩენა“ —ეს იყო პოეტ მაიაკოვსკის მოხსენების თემა. საბჭოთა კავშირში მაიაკოვსკი დიდი პოეტია, და მართლაც, ინტერესს არ იყო მოკლებული, თუ როგორ გატარდა მის პოეტურ შემეცნების პრიზმაში ამერიკის სინამდვილე. რა აღმოაჩინა პოეტის მგრძნობიარე თვალმა და ყურმა ისეთი, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველი და ჩაუწვდომელი რჩება.

ატლანტის ოკეანე რომ უსაზღვროდ ვრცელია და განუზომელი; ატლანტის დიდ გემზე სხვადასხვა წრის მგზავრებს შორის რომ ისეთი ურთიერთობა არსებობს, როგორც თვით ამერიკის კონტინენტზე, ან ერთ დროს ოქრო - ვერცხლით მდიდარი და უხვი მექსიკა დღეს რომ დაუნდობლად გაყვლეფილი და გაძარცულია შეერთებული შტატებისაგან, — ეს ახალი აღმოჩენა არ უნდა იყოს და ახალ ამბავს არ უნდა წარმოადგენდეს შრომის სკოლის მე-4 ჯგუფის მოწაფეთათვისაც კი. ან იქნება ის არის აღმოჩენ რომ, ფორდის ქარხანა დღეში 6 ათას ავტომობილს ამზადებს; რომ მრავალეროვანი ნიუიორკის მოსახლეობა იტევს 4 ჯერ მეტ მცხოვრებლებს, ვიდრე საქართველო.

გასაკვირი არ არის, თუ ასეთი „აღმოჩენის“ მოსმენა ძილისა და მთქნარების გუნებაზე აყენებდა აუდიტორიას. გასაკვირი იყო მხოლოდ პოეტის გაცხარება და ნერვიულობა, როცა ასეთი მოხსენების დროს აქა-იქ ხედავდა მთვლემარე და მიძინებულ მსმენელებს. ბუნებრივია, თუ ათასჯერ გაგონილი და გადაღეჭილი ცნობების მოსმენა დამსწრეებში ძილს იწვევს.

ამერიკის აღმოჩენას რომ თავი დავანებოთ, იქნება პოეტს აღმოჩენად მიაჩნია ის გაზვიადებული მედიდურება და საზოგადოების აბუჩად აგდება, რომლითაც იგი გაუმასპინძლდა მის მოსასმენად მისულ აუდიტორიას. არც ეს არის ახალი „აღმოჩენა“. ასეთი ორიგინალობით ხომ თავი მოგვაბეზრეს თბილისში ახლად გამოჩეკილმა პოეტებმაც კი. ასეთი პოეტური ხერხები ისე გაცვეთილია, რომ ჩვენში ამით ვერავის გააკვირვებ.

თავის ცოდვები პოეტმა გამოასწორა რამოდენიმე ლექსით, სადაც პოეტური ფიგურებით, მოხერხებული შედარებებით და სახეებით შორეული და უცნობი ქვეყანა მსმენელებისათვის მისაწვდომი და ადვილად საგრძნობი გახდა.

ი. წ.

მუშათა ცხოვრება

დღეს, დილის ცხრა საათზე, ჩვენი რედაქციის ახალ ბინაზე კამოს ქუჩაზე № 68 (ყოფ. [illegible])

დანიშნულია „კომუნისტი“-ს მუშკორების არაჩვეულებრივი კრება

მუშკორებისათვის [illegible]

ვიწვევთ სხვა მუშებსაც

— კაცო, რა იქენი, ამდენ ხანს გელოდები?!

— რა ვქნა, ამხანაგო, ფული მოვაგროვე და უნდა ჩავაბარო თუ არა სალაროს გამგეს?!

— რა ფული? რისთვის მოაგროვე?

— რა ვქნა!.. რამ გამოგაშტერა, კაცო... გაზეთებს არა კითხულობ?

— ვკითხულობ... მერე რაო?

— თუ კითხულობ, მაშ გეცოდინება რომ, თუ რომელიმე ამხანაგი, უპატრონო ბავშვების, სასარგებლოთ ფულსა სწირავს, ის იწვევს თავის ნაცნობ მეგობრებს, რომ იმის მაგალითს მიჰბაძონ და მათაც თავიანთი მხრით გამოიღონ თავიანთი წვლილი და სხვებიც გამოიწვიონ?

— როგორ არ შემხვედრია. ეს ძალიან კარგი მოსაზრებაა.

— ჰოდა გასულ კვირას ჩვენი კომუჯრედის სხდომაზე გადაწყდა, რომ ჩვენც შევაგროვოთ, ფული როგორც პარტიულ, აგრეთვე უპარტიო ამხანაგებში და შევიტანოთ იგი საცა საჭიროა და სხვა კომუჯრედებიც გამოვიწვიოთ. ჩვენმა მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხნის კომუჯრედმა უკვე გადასდგა ის კეთილი ნაბიჯი და შეაგროვა 32 მანეთი და ახლა გამოვიწვევთ სხვებსაც.

— ჰოო... ეს კარგი ამბავია, მართლაც საჭიროა ყოველი შეგნებულ მუშამ მიჰბაძოს ასეთ მაგალითს. რადგანაც აუცილებლათ საჭიროა დავეხმაროთ ჩვენი მთავრობის კეთილ განზრახვას. თორემ თუ ჩვენც არ დავეხმარეთ, ის მარტო ვერ შესძლებს გასწმინდოს იარმუკა და „დიზერტირკა“ ამ უბედურ ბავშვებისაგან, რომელნიც დადიან მთავარ ქუჩებზე და თხოვნით აბეზრებენ გამვლელებს თავს.

—ძალიან კარგად მესმის ამ სიმპატიური საქმის მნიშვნელობა; თუმცა არც ეხლაა დაგვიანებული, მაგრამ ამაზე უფრო ადრე გვეფიქრნა, ვიდრე საბუთად გამოიყენებდნენ მას ბოროტი ადამიანები, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე გვიყვირიან: „აგერ თქვენი სოციალისტური სახელმწიფო!.. მაინც მშიერ-ტიტველა ბავშვებით ქუჩები მოფენილიაო“.

— ამხანაგო! ხომ გაგიგონია ძველად, „სადაც მოკეთე გყავს, იქ მტერიც იყოლებაო“, ჩვენ თავისუფალ ქვეყანასაც ჯერ ბევრი მტერი ჰყავს... ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს და თუ აქამდის ვერა დაგვაკლესრა, ამის შემდეგაც ვერას გვიზამენ;

— მე ეგ მჯერა და ამიტომაც არც მეშინიან და არც [illegible], ვიტყვი.

— ჩვენთან ადგილი არა აქვს, ძმაო, გულის გატეხას, ჩვენ სხვებსაც ვიწვევთ კეთილ საქმის გასაკეთებლად; რომ სხვებიც ჩაერიონ ამ საერთო ფერხულში და საერთო ძალით სახალხო საქმე სასურველ სიმაღლემდის ავსწიოთ.

— მართალია და ამას ჩვენ კიდეც გავაკეთებთ.

მუშკორი ალ. ბ შვილი.

ამ მუშამ რა დააშავა?

ხუთი წელიწადი იმუშავა ამხ. ელიკაშვილმა 1-ლ საბჭოთა [illegible]სადგურზე დამლაგებლის თანამდებობაზე. თავის მოვალეობას იგი პირნათლად ასრულებდა, ერთ მშვენიერ დღეს იმას გამოუცხადეს, რომ აღარ ხარ საჭირო, სამსახურიდან მის ადგილზე უნდა ავიყვანოთ სხვა. როდესაც ელიკაშვილმა გვარიანი პროტესტი განაცხადა და ადგილკომიც დაიხმარა, სადგურის გამგე დაჰპირდა: მაშ კარგი, ამ ერთ თვეში ზეთის დამსხმელები დაგვჭირდება და დაგტოვებ, [illegible] მე-8 ელ. სადგურს გაუგზავნა დროებით სამუშაოდ.

გათავდა დროებითი სამუშაო მე-8 ელ. სადგურზე და ელიკაშვილი უკანვე [illegible] 1-ლი ელ. სადგურის გამგეს, ამ უკანასკნელმა დაპირება დაარღვია და ფეხიც არ შეადგმევია სადგურში: „მე აქ [illegible] და შენ საჭირო აღარა ხარო“ გამოუცხადეს მას. ვინ მიიღეს?

არა კავშირის წევრები, ბირჟაში ჩაუწერელი. სხვათა შორის ერთი მათგანი [illegible]. ელიკაშვილი კი მუშათი წლის ნამსახური, რომელმაც სხვა ხელობა არა იცის, ქუჩაში დასტოვეს.

ასე მოულოდნელად ამოჰკვეთა თავი ძველმა ნამსახურმა ქუჩაში და [illegible] მოულოდნელათ [illegible] თავი სხვა პროფესიის მქონე, არა კავშირის წევრმა.

რა დააშავა ელიკაშვილმა?—სრულიად არაფერი; [illegible] არ წაუყენებიათ მისთვის არავითარი ბრალდება.

იგი მხოლოდ არ მოსწონს გამგეს. საჩივარი, ახალ-მაყალი, საკომისიო კომისია, „ემს“-ი, შრომის კომისარიატი [illegible] მაგრამ ვერაფერმა მას ვერ უშველა; „ეს“-ს ერთადერთი საბუთი ჰქონდა: „გამგეს არ უნდა“.

[illegible] ახალ-მაყალის შემდეგ ელიკაშვილს [illegible] სხვა სადგურში გადასვლა, მაგრამ მან, რადგან თავი მართლად სთვლიდა მოითხოვა საქმის გარჩევა.

ჩაერია პარტიული უჯრედი, შეჰქმნა ეს კომისია. კომისიამ დაჰკითხა მუშები, გამოირკვა „საქმენი საგმირონი“ ორი ადმინისტრატორის შესახებ [illegible] მდგომარეობა. [illegible] რომ იგი უჯრედმა გადასცა მე 2 რაიკომს.

ეს ვაკანტური ადგილები კი დღემდის თავისუფლად [illegible] ენ მუშების შევიწროებას და „გლახა“ ჩვე[illegible] საქმე[illegible] მათ.

ელიკაშვილი კი, მიუხედავად იმისა რომ 1-ლ ელ-სადგურში იმას შემდეგ რამოდენიმე თავისუფალი ადგილი იყო, მაინც უმუშევრად დადის, უჭირს და შიის, თუ რა ექნება ბოლოს. მე [illegible] ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ვისაც [illegible] საჭიროა. მით უმეტეს რომ მე-2 რაიკომს აქვს საქმის საბუთები, რაც ამჟღავნებს [illegible] უწესო მოქმედებას.

ემსელი.

რა იქნა წამლები

შარშან ჯანმრთელობის კომისარიატიდან სვანეთის საავადმყოფოსათვის ექიმი იოსელიანმა მიიღო მედიკამენტები, რომელიც უნდა ჩაებარებინა ხსენებულ საავადმყოფოს გამგე გიორგი ნიჟარაძისათვის. ნიჟარაძემ ასწონა მედიკამენტები, რომელსაც წონით 35 გირვანქა დააკლდა, რის გამო მან მიღებაზე უარი განაცხადა. იოსელიანი არწმუნებდა მას, რომ მედიკამენტებს არაფერი არ აკლია და მიიღეო. ნიჟარაძემ აცნობა ამის შესახებ აღმასკომის თავმჯდომარეს, პიმენ დვალს, და სთხოვა დაენიშნა რევიზია და მედიკამენტები ისე მიეღო იოსელიანისგან. დვალმა გამოუძახა იოსელიანს და მოელაპარაკა, რის შემდეგ წინადადება მისცა ნიჟარაძეს მიეღო მედიკამენტები ურევიზიოდ. ნიჟარაძემ მაინც შეამოწმა, თანახმად ფაქტურისა, და აღმოჩნდა, რომ ფაქტურაში აღნიშნულს ბევრი რამე აკლია, და ნიჟარაძემ ხელმეორედ განაცხადა უარი მიღებაზე, მაგრამ მას იგი მაინც მიაღებინეს...

საჭიროა გამოირკვეს, რატომ დააკლდა, ან ვინ მიითვისა 35 გირვანქა წამალი.

მუშკორი მილიციელი.

ჩვენც გვინდა წყალი

მე-6 და მე-7-დე შეერთებულ უბნში, თელავის, ფალავანდოვის, ჩინგილის, ახმეტის, და ხახანაშვილის ქ-ში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო, ქ. [illegible] „დეპოს“ „[illegible]“, და სხვა ქარხნების მუშები და მოსამსახურეები [illegible]. ეს ბინი სავსებით მუშათა უბანია. ერთადერთი წყლის ონკანი, არის იქ წყალი, მაგრამ ჩვენი ეზოებიდან ძალიან შორის არის.

ასეთ მდგომარეობაში ვართ [illegible] მუშა-მოსამსახურეები ამ სიშორის გამო.

იმედია, ქალაქის აღმასკომი [illegible] ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში.

მუშკორი ალ. ბ—ლი.

გამოუგზავნელი წერილები

— **მადლობის ღირსია ეს მემანქანე.** 14 თებერვალს მატარებელი უნდა გამგზავრებულიყო სადგურ [illegible] სად. თბილისში, იმ დროს, როცა სადგურის უფროსი დაჟინებით მოითხოვდა საჩქაროდ მატარებლის გაგზავნას, მემანქანე ქანთარია გასინჯა [illegible] და აღმოჩნდა დაზიანებული [illegible] № 342—76, რის გამო შესაძლებელი იყო მთელი მატარებლის დამსხვრევა. სადგურის უფროსს კი მატარებელი გამზადებული ჰქონდა გასაგზავნად.

მუშკორი ლ. კ—ძე.

— **კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება?** რკინის გზის მთავარ სახელოსნოების დამხმარე პერსონალი მეკარეები, [illegible] და შავი მუშები, რომლებიც მუშაობენ 8 საათს, ძირითად ჯამაგირს იღებენ ახალ ტარიფის მიხედვით; [illegible] 8 სა[illegible] აგრეთვე ზედმეტ ხელფასს: პირველნი—დაცვითი სახით და მეორენი კი ნარდ მუშაობის სახით. ხოლო ეს დატვირთვა ადმინისტრაციამ ა.-კ. საგზაო კომიტეტთან შეთანხმებით არ [illegible] ახალ ჯამაგირზე და მას (დატვირთვის ხელფასს) უწერენ ძველ ტარიფზე. 1926 წ. 26 იანვრის გზ. ცეკას გაზეთი „გუდოკი“ აცხადებს, რომ 10 პროც. ის მომატება ვრცელდება ყოველნაირ ხელფასზე და მისი მოხსნა არავის არ შეუძლიაო.

რა იყო საქმე?

მუშკორი ნესტორ ჯავახიძე.

— **მუშათა კლუბს ცხნით.** ა. წ. 7 თებერვალს საგარეჯოს თემის საბჭოთა და სავაჭროთა [illegible] შირის, განათლების მუშაკთა და მიწა წყლის კავშირის ადგილკომიებს გაერთიანებულმა კრებამ გადასწყვიტა საგარეჯოში დაარსოს კლუბი. კლუბის შენობა გამოყოფილია, სადაც სწარმოებს რემონტი, ა. წ. 1 მარტიდან მოხდება კლუბის საზეიმო გახსნა. კლუბი დაიხურება სახელწოდებით „ამხ. ყუფუნაშვილის სახელობის კლუბი“.

გ. გარსიაშვილი.

— **გაგვიხსენით კოოპერატიული დუქანი.** ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩა დასახლებულია თითქმის 75 პროც. მუშა-მოსამსახურეებით. ამათ საშინლად ყვლეფენ სპეკულიანტები და მოითხოვენ, რომ ნინოშვილის ქუჩაზე მათთვის გახსნილ იყოს კოოპერატიული დუქანი. მაგრამ მათ ამაზე უარი უთხრეს.

რაშია საქმე?

ქუთათური.

საბჭოთა საქართველო

თავმჯდომარის ფეხსაცმელები

(ს. ტელეფა, შორ. მ.)

მინაგო გურგენიძეს თავისებურათ ესმის გლეხკომის თავმჯდომარეობა. გლეხკომი ღარიბ გლეხთა ორგანიზაციაა. ის მიზნათ ისახავს ქვრივ-ობლების, ინვალიდების და უმიწაწყლო გლეხების დახმარებას. მაგრამ, რომ გლეხკომის ასეთი კეთილშობილური მოღვაწეობა ყველასათვის თვალსაჩინო გახდეს, საჭიროა მინაგოს აზრით, თავის თავზე უჩვენოს გლეხებს მაგალითი, რომ ამით დარწმუნდნენ ისინი, თუ რა კარგი და ხელსაყრელი საქმეა ისეთი სიმპატიური ორგანიზაციის თავმჯდომარეობა, როგორიც გლეხკომია.

რა უნდა ექნა მინაგოს? გლეხკომის სალაროში თავები ოთურმას გადაიძიდნენ. და რომც ყოფილიყო იქ რაიმე გროში, სულერთია ისე ადვილად ვერ დაავიწყებდა. პარტუჯრედის და აღმასკომის მახვილი თვალი ასე ადვილათ არ შეარგებდა მას სოფლის ფულის შეჭამას.

ფულები კი მეტად ესაჭიროებოდა თავმჯდომარეს. სესხს გალახდა უნდა, მაგრამ სასესხებელიც რომ არსად არის? არც ვინმე ენდობოდა მაინცა და მაინც მინაგოს, თუმცა მას საპატიო ადგილიც კი ეჭირა. მაგრამ მინაგო მოხერხებული კაცია. მას ფიქრით თავი არ შეუწუხებია.

ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადა გლეხკომის თავმჯდომარემ, რომ მისი მშვენიერი ფეხსაცმელები, რომელზედაც ტელეფელ ახალგაზრდებს კარგა ხანია თვალი რჩებოდათ, „ლატარიაში ვაგდებთ“. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ვინ იცის, ფიქრობდენ ტელეფელი გლეხები, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს, ექვს შაურათ თუთხმეტ მანეთიანი ფეხსაცმელი მოვიგდო ხელშით.

ასე ფიქრობდენ ტელეფელი ლატარიის მონაწილენი, მაგრამ ასე არ ფიქრობდა გლეხკომის თავმჯდომარე მინაგო. ის ფულის დაგროვებას უცდიდა. შეკრიბა ერთ თუმნამდე ფული, თუმანი თუთხმეტ მანეთამდე გაიზარდა, თუთხმეტი ოცამდი, ოცი ოცდა ათამდი, ოცდა ათი ორმოცამდი, უცდიდენ ფულის შემტანნი ფეხსაცმელების გათამაშებას. მაგრამ არ შეგჭამოს ჭირმა მინაგოს არ ეჩქარებოდა.

ბევრმა ამ ლოდინში ძველი ფეხსაცმელებიც გაყიდა და ახალის შესაძენათ თავს არ იწუხებდა, ერთიც ვნახოთ მინაგოს კოხტა ჩექმები მერგოს, სად არის იმდენი ფული ორ-ორი ფეხსაცმელები დავილაგოთ სახლშით.

მაგრამ გადიოდა ხანი და მინაგო თავს არ იტკივებდა. კვირეებს თვეები მოჰყვა, თვეებს წელიწადი. ამასობაში თავმჯდომარის ფეხსაცმელებმაც თავი დაგვკრათ (კაცის ხომ არ იყო, რომ მთელი წლობით გაეძლოთ), ორმოცი მანეთი კი მინაგომ კოხტალამაზათ შეახვილიფა.

დადიან დღეს მოტყუებული ტელეფელი ახალგაზრდები მინაგოსთან და გულში ხელის რტყმევით გაბრაზებული ბრუნდებიან მისგან. მინაგოს კი მათი ორმოცი მანეთი მთელი წლის განმავლობაში ფეხებზე ეკიდა, როცა ის ატარებდა გასათამაშებელ ფეხსაცმელებს, და ახლა ფეხებზეც აღარ ჰკიდია.

ეკალი.

თუ გამძღოლი იქნა—საქმე გაკეთდება

(წერილი შორ. მ.)

გზები და ხიდები ხომ აუცილებლობას წარმოადგენს დღეს ამა თუ იმ სოფლის ან რაიონის ხორმალური მიმოსვლისათვის და გლეხის მეურნეობის აღორძინების საქმეში, ეს ყველასათვის უდაო ჭეშმარიტებაა. მე მინდა ამ მხრივ შევეხო დ. ჩხარის მდგომარეობას.

დ. ჩხარი დაშორებულია ქ. ზესტაფონზე (რკინის გზას) 20—25 ვერსით.

ზესტაფონიდან 5—6 ვერსის მანძილზე დ. ჩხარსა და ზესტაფონს შორის ჩამოდის მდინარე ჩოლაბური. ამ მდინარეზე უხიდობის გამო დღემდე ჩხარსა და ზესტაფონს შორის ნორმალური მიმოსვლა თითქმის შეწყვეტილი იყო. ჩხარის ორგანიზაციის დაჟინებითი მოთხოვნით და შორაპნის სამაზრო აღმასკომის ენერგიული დახმარებით ხიდი გაკეთდა, მაგრამ თუ ხიდი ჯერ კიდევ არ წაუღია წყალს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ხიდის აშენების შემდეგ დიდი წყლობა არ ყოფილა.

ჩრდილოეთის მხრით მდინარეს არა აქვს გამაგრებული კალაპოტი, რის გამო წყალდიდობის დროს ჩოლაბურს შეუძლია სხვა კალაპოტი მონახოს და ხიდი გარიყული დასტოვოს.

გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მდ. ჩხარაზე ხიდის აგებას, რომელიც მდ. ჩოლაბურიდან 3 ვერსის მანძილზე ჩაივლის. როცა მდ. ჩხარა მოდიდდება, მასში გასვლა არ შეუძლია არც მეურმეს და არც ცხენოსანს. ხიდის ასაგებათ დიდი ხარჯი არაა საჭირო. უფრო მწვავე საკითხს ამ რაიონისათვის წარმოადგენს გზა ზესტაფონსა და ჩხარს შუა. ამ გზის გაკეთება დაკისრებული აქვს მხოლოდ ორ თემს, თერჯოლის და ჩხარისას, რასაც ეს თემები ვერ აგვარებენ და გზაც საშინელ მდგომარეობაშია. ზემოთ აღნიშნულ მდინარეებზე, რომ მშვიდობით გახვიდეთ, უნდა გეშინოდეთ გზაზე ტალახში არ დაიხრჩოთ. არც თვით ჩხარის თემის გზებია სანუგეშო მდგომარეობაში. ვერსად, ჩხარის რაიონში ვერ ნახავთ ისეთ გაოხრებულ და გაფუჭებულ გზებს, როგორც ჩხარის თემის ფარგლებში. თუ ჩხარში მიდიხართ, უსათუოდ მიადგებით დიდ ტალახს, რომელიც გრძელდება ჩხარის აღმასკომამდე. ჩხარის თემის აღმასკომის თავმჯდომარე რომ ცოტა ინიციატივას გამოიჩენდეს, გზებიც გაკეთდება.

ამნაირია გზების და ხიდების მდგომარეობა ჩხარის რაიონში. ყველაფერის გაკეთება შეიძლება, მხოლოდ საჭიროა ენერგია და ინიციატივა ვისგანაც ჯერ არს.

სალი.

რა გვაკლია

(ცაგერი, ლეჩხ. მ.)

ადგილობრივ ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომლის გაკეთებაც შეუხვდება ახალ აღმასკომს.

ჩვენს მაზრას ბლომად მოეპოება ხე-ტყე, რომლის დამუშავება ძალიან ჭირს. პირველ რიგში მაზრაღმასკომმა უნდა მოაწყოს სახერხი ქარხანა.

ცაგერში არ არის აბანო, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ხათანადო შენობა უკვე დადგმულია, რომლის მოწყობასაც არაფერი ეშველა.

ერთი ბაღის მეტი ცაგერს არაფერი არ გააჩნია და ისიც უყურადღებოთ არის. დღით და ღამით ოთხფეხა საქონელი დასეირნობს შიგ.

იმედი გვაქვს ახალი აღმასკომი, რომელიც უნდა ავირჩიოთ ახლო მომავალში, შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას.

წრუხა.

დაწყებული საქმე უნდა დასრულდეს

(დარჩელი, ზუგდ. მაზ.)

ზუგდიდიდან 10 ვერსის მანძილზე ს. ცაცხვში, გაიხსნა რკ.-გზ. ბაქანი; ამ ბაქანს დასავლეთით აკრავს დარჩელის უბნის სოფლები და აგრეთვე ნაწილი გალის მაზრისა (სამურზაყანო), რომელთაც დამოკიდებულების დაჭერა რკ.-გზასთან უფრო ეხერხებათ ცაცხვის სადგურიდან, მაგრამ დარჩელიდან ცაცხვამდი არ არის ხეირიანი გზა, ამიტომ მიმოსვლა და განსაკუთრებით ტვირთის გადაზიდვა მეტად ფერხდება, რის გამო მგზავრებმა უნდა მოუარონ ზუგდიდიდან და ამ რიგად გაიარონ 8 ვერსის ნაცვლად 28 ვერსი.

დარჩელ-ცაცხვს შორის პირდაპირი გზა არის 8 ვერსი, რომლისგან 3 ვერსი უკვე გაკეთებულია, ხოლო 5 ვერსის მანძილო წალის უბნის გლეხ-კაცობა ხალისით მოკიდებს რმოადგენს უბრალო საურმე გზას. დარჩელის უბნის გლეხ-კაცობა ხალისით მოკიდებს ხელს ამ გზის დამთავრების საქმეს, თუ კი ნახეს ვინმე საქმის მოთავე.

იმედია ამას მიაქცევს ყურადღებას დარჩელის თემაღმასკომი და ითავებს მშრომელ გლეხ-კაცობისთვის სასარგებლო და საჭირო გზის გაკეთებას.

ეგრისელი.

ბოლო უნდა მოეღოს

(ს. ლასურიაში, ლეჩხ. მ.)

ჩვენს სოფელში არის ერთად ერთი სანიმუშო ბაღი, რომელიც უწინ ეკავა კულაკს. გასაბჭოების შემდეგ ის გადაირიცხა სახელმწიფო ფონდში, მაგრამ ვინაიდან ბაღი სანიმუშო იყო, ის გადასცეს აგრონომს მოვლა პატრონობისათვის და ტეხნიკურად მოწყობისათვის.

საუბედუროდ მოწყობის მაგივრად ბაღი მთლად გააპარტახეს. წინათ ის გავსებული იყო ყოველგვარი ხეხილით და ვენახით, იყო აგრეთვე გაშენებული ფუტკარიც, მაგრამ ის სანახევროდ გადაშენდა. რაც დარჩა, ისიც უმწეო მდგომარეობაშია: ფიჭებს ლორები აბურთავებენ, ვენახს კი საქონელი შეექცევა.

ბაღი დღეს შამოუკავებელია. ჩვენ აგრონომებს ერთხელაც არ უნახავთ. შემოდგომაზე გამობრძანდებიან ცხენით, მაშინაც ცხენის საძოვრად, თორემ ბაღის ინტერესი, ბევრათ არ აწუხებს. უმთავრეს დროს კი ატარებს თბილისში. თემაღმასკომის საბჭოს არა ერთხელ მიუმართავს უმაღლეს ორგანოსათვის, რათა ეს ბაღი გადაცემოდა ადგილობრივ საბჭოს, მაგრამ ამაოდ.

იქნებ ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა და სამაზრო პარტკომმა მოაგვარონ ეს საჭირო საკითხი. თორემ სანიმუშო ბაღის ასეთ მდგომარეობაში დატოვება დაცინვაა სოფლის მეურნეობის და დაუშვებელი ბოროტებაა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ლავრენტი ჩაბუკიანი.

მიწები უქმად ცდება

(დილიკაური, შორ. მ.)

ჩვენს თემში არის მრავალი მიწები უბრალოთ და უნაყოფოთ გაშვებული, სადაც კარტოფილის მოყვანა, დაფნის და ეკლის ხის გაშენება შეიძლება. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ტყეები მოისპო და განადგურდა, ურომლისოდ ვენახები ვერ იარსებებენ; ას ქცევობით თავისუფლად გაშვებულ მიწებს ყურადღება მიაქცია ადგილობრივ კომუჯრედმა და სთხოვა რაიპარტკომს, რომ უკანასკნელის საშუალებით ჩვენ თემში მოსულიყო ხოლმე აგრონომი გლეხობაში საუბრების ჩასატარებლად.

უჯრედის შუამდგომლობა გამართლებული მნიშვნელოვან საუბრებს ატარებს ხოლი. იწყო აგრონომმა პ. ღვალაძემ. უკანასკნელია. ჩვენ თემში სისტემატიური სიარული მე ყოველგვარ კულტურულ მცენარის მოვლა-მოშენების შესახებ..

აგრონომის საუბრით გლეხობა ძლიერ დაინტერესდა. კრებებს მრავალი გლეხობა ესწრება და უამრავ შეკითხვებს აძლევენ მომხსენებელს.

ამბროსი სალაძე.

ერთი წლის მიღწევები

(სამიქაო, სენ. მ.)

სამიქაოს თემის მდგომარეობა წარსულ წლებში უნუგეშო იყო. მაგრამ 1925 წ. დაიწყო თემში აღმშენებლობა, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღო გლეხობამ. 7 წლედი შრომის სკოლა, რომელიც წინათ მოგაგონებდათ პირუტყვის სადგომ ბინას, საუცხოვოთ იქნა შეკეთებული და დღეს სკოლისათვის მშვენიერ შენობას წარმოადგენს. გარდა ამისა დამზადდა მოწაფეებისათვის 50 პარტები.

ამასთან ერთად ხოფელ მოიდანის პირველი საფეხურის სკოლის შენობის შეკეთებაც დამთავრდა. შეკეთებულ იქნა სამკითხველოს შენობა, რომელიც წინათ თავლა იყო და საზურავი არც კი ქონდა. ასეთია მუშაობის შედეგი განათლების დარგში.

წარსული წლის განმავლობაში ჩვენს თემში იქნა მოწყობილი ბაზრობა, სადაც გლეხობას გააქვს თავისი ნაწარმოები ოთხშაბათობით. აბაშის „ეპო“ აწვდის ამ ბაზრობის დროს გლეხობას ფართლეულობას. გარდა ამისა შეკეთებულ იქნა საექიმო პუნქტის შენობაც. აღმასკომის შენობაც შეაკეთეს. ადგილობრივი აფთიაქში ყოველგვარი წამლები იშოვება და გლეხებს არ უხდება შორი მანძილის გავლა წამლის შესაძენათ.

კომკავშირელი ქალი.

წერილებიდან

ცაგერი

— **სადამდი ველოდოთ?** ერთ წელზე მეტი გადის რაც აქაურ მილიციელთ ტანსაცმელი არ მიგვიღია. ამას გარდა უჯამაგიროთ ვიმყოფებით აგერ უკვე ორი თვეა. კავშირი არავითარ ზომებს არ ღებულობს, ადმინისტრაციასაც სძინავს. სადამდი ველოდოთ?

გარეშე.

გურჯაანი (კახეთი)

— **სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია.** ჩვენს ქოხ-სამკითხველოს არ მოსდის საკმარისათ ჟურნალ-გაზეთები. იატაკი სამკითხველოში ცუდია. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ მომსვლელებმა სარდაფში არ ამოჰყონ თავი. თვით სამკითხველოს გარშემო სამიკიტნოები აკრავს, რაც შეუძლებელს ხდის სამკითხველოში მეცადინეობას.

გულნატკენი.

შუხუთის თემი (გურია)

— **ვაშენებთ კულტურულ მცენარეებს.** გლეხები თანდათან აშენებენ სხვადასხვა კულტურულ მცენარეებს: მანდარინას, ჩაის, დაფნას და სხვა. ადგილობრივ არავინ მოიპოება, რომ რჩევა-დარიგება მისცეს გლეხებს ამ მცენარეთა მოშენების საქმეში. გარდა ამისა ბოლო ხანებში გახშირდა მანდარინის ნერგების ქურდობა, რასაც აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ხაკოია შუხუთელი.

ს. ჯანდაურა (სიღნ. მ.)

— **ვინ მისცათ ამის უფლება?** ამას წინათ აქაურ მცხოვრებს აბელა არუთინოვს ეწვია სტუმრათ სამაზრო სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწე ია შიბნიაშვილი, რომელსაც თან ახლდა ამალა: მეველეები, ტყის დარაჯები და სხვა. სტუმრებმა მთელი ღამე იქეიფეს დოლ-გარმონზე. შემდეგ ეზოში გამოვიდენ და ასტეხეს უთავბოლო სროლა. შეშინებული სოფელი შუაღამისას ფეხზე დადგა. ბევრს ეგონა უბედურობა სადღაც მოხდაო. ნუ თუ იმისათვის ეძლევათ ტყის მცველებს იარაღი, რომ მათ სოფლათ მშვიდობიანობა დაარღვიონ?

იქაური.

ს. ტაბახმელა (თბილ. მ.)

— **სკოლა კერძო პირის შენობაშია.** მიუხედავად იმისა, რომ თბილისთან ახლოს ვართ, არა გვაქვს საკუთარი სკოლის შენობა. დღემდის ის კერძო პირის სახლშია მოთავსებული. დაქირავების ვადა გადის და მალე სრულიად უსკოლოთ დავრჩებით. საჭიროა ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს მაზრის განათლების განყოფილებამ და კოჯორის თემაღმასკომმა.

გლეხი ვ—ი.

სოფლის ქრონიკა

— **საფოსტო განყოფილება.** ს. მიქელგაბრიელში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა ფ.-ტელეგრაფის განყოფილება.

— **სარძეო არტელი.** მანგლისში ადგილობრივმა გლეხებმა შეადგინეს სარძეო არტელი.

— **ზუგდიდის აღმასკომი** მოკლე ხანში შეუდგება ანაკლიის ნაპირების გამაგრებას.

— **სამხრეთ-ოსეთის ცენტ.** აღმასკომის დადგენილებით სოფ. ზარი და [illegible] უერთდება ცხინვალის რაიონს.

— **ბუგეულის აღმასკომი** შეუდგა ადგილობრივ სკოლის საფუძვლიან შეკეთებას.

— **ახალი აფთიაქები.** რაჭის აღმასკომი სოფ. ღებსა და პატარა-ონში ხსნის აფთიაქებს.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„სახელმწიფო უნივერსიტეტი"— „არსენალის რაიონი"

25 თებერვალს, დღის 3 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის და არსენალის რაიონის გუნდების შეჯიბრება.

არსენალის რაიონის გუნდი მოთამაშეების შერჩევით და ერთმანეთთან შეწყობილი თამაშით საკმაოთ დიდ ძალას წარმოადგენს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა; მასში არიან კარგი მოთამაშეები (ბაგდოევი, დანელია, ფრუიძე, თურქია და პივოვაროვი) მაგრამ მთლიანად გუნდი სუსტია; სიმძიმის ცენტრი შეჯიბრების დროს აწევება აღნიშნულ მოთამაშეებს, დანარჩენი მოთამაშეები მეტათ მოისუსტებენ.

შეჯიბრების პირველი განყოფილება უშედეგოთ დამთავრდა; მეორე ხავტაიმში პირველი ბურთი გაიტანეს არსენალის რაიონის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ბოლომდი შეინარჩუნეს მიღწეული შედეგი და გამარჯვებული წავიდენ მინდვრიდან.

ყოფ. „გ. ქავთარაძე"—წ. ა. ფ. ს.

კვირას, 28 თებერვალს, დღის 12 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეტად საინტერესო შეჯიბრი ყოფ. გ. ქავთარაძის სახელობის და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდებს შორის.

ეს მესამე შეჯიბრებაა ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში.

ამ გუნდების მესამე შეხვედრა გამოწვეულია მით, რომ უკანასკნელ შეჯიბრებაში, 21 თებერვალს, ქავთარაძის სახელობის გუნდმა დაამარცხა (4:2) თავისი მეტოქე—წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი, რომელმაც თავისი სახელის აღდგენის მიზნით გადამწყვეტ შეჯიბრებაზე გამოიწვია ქავთარაძის სახელობის გუნდი.

კვირის შეჯიბრებაში წითელი არმიის და ფლოტის სახელობის გუნდი გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით: ლარიონოვი, კრავჩენკო, ქსენოფონტოვი, ბერლინოვი, ორეხოვი, ფილიპოვი, კუზნეცოვი, პერეპელიცინი, მდივანი და რიაბოვი.

ყოფ. ქავთარაძის სახელობის გუნდი: პაპკოვი, ფოჩხუა, თაყაიშვილი, იმნაძე, ქუთათელაძე, ხევსურიანი, ქებაძე, ვაჩნაძე, მერკვილაძე, გუნია და ბეგიშვილი.

შეჯიბრის მსაჯული იქნება ამხ. გალპერინი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება

კითხვა

რკინისგზის მთავარ სახელოსნოების დამხმარე პერსონალი: მეანგარეები, მეტაბელეები, მემანქანეები და შავი მუშები, რომელნიც მუშაობენ 8 საათს, ძირითად ჯამაგირს იღებენ ახალ ტარიფის მიხედვით, თანახმად ახალი მომატებისა, იღებენ აგრეთვე ზედმეტ ხელფასს: პირველნი დატვირთვის სახით და მეორენი კი ნარდ მუშაობის სახით. ხოლო ეს დატვირთვა ადმინისტრაციამ ა. კ. საგზაო კომიტეტთან შეთანხმებით არ გაავრცელა ახალ ჯამაგირზე და მას (დატვირთვის ხელფასს) გვიწერენ ძველ ტარიფზე. 1926 წ. 26 იანვრის რკ. გზელთა ცეკას გაზეთი „გუდოკი" გვაცნობებს, რომ ათი პროცენტიანი მომატება ვრცელდება ყოველნაირ ხელფასზე და მისი მოხსნა არავის არ შეუძლიათ.

გთხოვთ გვიპასუხოთ ჰქონდა თუ არა უფლება რკ. გზ. კავშირის ცენტრ. კომიტეტის დადგენილების შემდეგ ა. კ. საგზაო კომიტეტს შეეცვალა უმაღლესი ორგანოს დადგენილება, და გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება გავასაჩივროთ ეს საქმე ჩვენ კანონიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ნ. ჯავახაძე.

პასუხი

თანახმად ა. კ. შრომის სახკომატის 1924 წ. 14 მარტის დადგენილებისა № 88 მუხ. 4-ისა ძირითად ხელფასზე დატვირთვის სახით მომატება სრულებით არ არის სავალდებულო ადმინისტრაციისათვის. დატვირთვის პროცენტების გაცემა და მათი რაოდენობის განსაზღვრა ძირითადი ჯამაგირის 50 % ქვევით შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციის კომპეტენციას. მასვე აქვს სრული უფლება გაადიდოს ან დაამციროს დატვირთვის პროცენტები ზემოხსენებულ ფარგლებში.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ჟუკოვის ქ. № 23, მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 32 კვადრ. არშინი. ოთახის უქონლობის გამო იძულებული შევიქენი სახლის პატრონს შევკროდი შინაურ სახის ხელწერილით იმ პირობით, რომ ყოველთვიურად მეძლია მისთვის 12 მანეთი. წინდაწინ მისი მოთხოვნილების თანახმად გადავიხადე ერთდროულად სამი თვის ქირად 36 მან.

ოთახში ვსცხოვრობთ 2 სული—სტუდენტები; მათში ერთი უმუშევარი, რომელიც იმყოფება ჩემს კმაყოფაზე. მე კი ვმუშაობ საქ. ცენტრ. სტატისტიკის სამმართველოში პირველ ხარისხოვან სტატისტიკოსად, და ხელფასად ვიღებ 60 მანეთს თვეში.

ვარ პროფკავშირის წევრი და დაზღვეულიც (წიგნაკი № 761). ვინაიდან დრო უკვე გათავდა წინდაწინ გადახდილ ოთახის ქირისა, სახლის პატრონი მთხოვს 12 მან. შემდეგი თვისას, რომლის გადახდა ჩემთვის შეუძლებელია უსალსრობის გამო.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადოთ თვეში ბინის ქირად და, შემიძლია თუ არა სახლის პატრონს წინდაწინ გადახდილი ფული გამოუქვითო შემდეგისათვის ქირის გადახდის დროს.

გიორგი სამსონია.

პასუხი

თვითეულ კვადრატიულ არშინზე საცხ. მოედნის თქვენ იხდით ოთხნახევარ (4.5 კ.) რაც შეეხება წინდაწინ გაცემულ ბინის ქირის სხვა თვეებზე განაწილების და შინაური ხელწერილის გაბათილების, ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33-ისა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბარსეგოვთან.

1) ტერ-აკოპოვი რუბენ ავაკიმის, 2) იაკობ გასპარისძე გრიგორიანი, 3) გერასიმ ტრიფონისძე კუბლაშვილი, 4) ნიკოლოზ გიორგისძე ხუბულაშვილი, 5) პლატონ პროკოფისძე საველიევი, 6) ნიკოლოზ გაბრიელისძე აბუზოვი, 7) ანატოლი ბენედიქტესძე ოსტროუმოვი, 8) ივანე ნიკულოზისძე ურიგაშვილი, 9) ვოსინიანი მიხეილ ივანესძე, 10) ანდრია დოლიძე, 11) ვლადიმერ ანდრიასძე კუზნეცოვი, 12) კაზარ კარაპეტისძე აველიკოვი, 13) მარკოზ გიორგისძე ხუბულაშვილი, 14) ივანე მიხეილისძე ხუბულაშვილი, 15) იოსებ მელქონისძე მაკაროვი, 16) იმედაშვილი აკაკი კირილესძე, 17) იაშვილი დავით ილიასძე, 18) გიორგი როსტომისძე ანასაშვილი, 19) ვასილ გიორგისძე მირინაშვილი, 20) იოსებ პოლიკარპისძე ბახტაძე, 21) ვარლამ სევერიანისძე ბახტაძე, 22) მელიტონ სოსიასძე ჩიკვილაძე, 23) სიმა გრიგოლის ასული ბროსლავსკაია.

— ქალაქის რაიკომის აღრიცხ.-განაწ. განყ. წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ აღრიცხ. ქვე-განყოფილებაში ამხ. ზზიაშვილთან:

ერმილე ლიპარტია, ლ. ჯოჯუა, შოთა კუტუბიძე, ილია ბალტაევი, ანტ. ბუაძე, არტაშ ბურდინოვი, გ. გძელიშვილი, გრ. აბაქოვი.

ქალაქის რაიკომი.

— ორშაბათს, 1 მარტს, საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა სახ. შენობაში შესდგება 1—2 საფეხურის პოლიტსკოლების ყველა ენებზე მოცადინე ხელმძღვანელთა თათბირი.

დღის წესრიგი: პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციის შედეგები.

დასწრება სავალდებულოა სკოლების ხელმძღვანელთა და რაიონულ პროპაგანდისტებისთვის.

სამშაბათს, 2 მარტს, დილის 8 ნახ. საათზე შესდგება

თ. კ. სააგ. კოლეგიის გაფართოებული სხდომა

შემდეგი უჯრედების აგიტ-პროპ-ორგანიზატორების თანადასწრებით: მთავარ სახელოსნოების, დეპოს, თამბ. ფაბ. „ლუქსემბურგი", 26 კომისრის ქარხანა, ეკავშირი, ტყავის ქარხანა, სახ. უნივერსიტეტი სამაუდრო-აზღვაო სტამბა, ქალაქის მილიცია.

სწრება სავალდებულოა სააგ. კოლეგიის ყველა წევრებისა და აგიტ პროპ-ორგანიზატორებისათვის.

ვის აქვს საწინააღმდეგო

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის № 2 მე-2-ე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტკანდ დატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. 1. [illegible]ცვაძე მიხეილი 25 წლ, გლეხი უპარტიო, მცხ. შორაპნის მ. ზ. სოფ. ვაზჩვი, 2. ალფეაიძე ერასტი კონსტანტინეს ძე, გლეხი ა. ლ. კ. კ. წევრი 1921 წლ. მცხ. ზუგდიდის მაზრა სოფ. კოკი. 3. ნიჟარაძე კირილე ნესტორის ძე, გლეხი, უპარტიო, მცხ. ქუთაისის მაზრის სოფ. საყულია, 4. დოლიძე ალექსანდრე მაქს მეს ძე, გლეხი, უპარტიო, მცხ. ოზურგეთის მაზრა სოფ. ამაღლება. 5. ქოიავა სევერიანე მაქსიმეს ძე, გლეხი, ა. ლ. კ. კ. წ. 1921 წ-იდან მცხ. სენაკია მაზრა სოფ. აბაშა, 6. კალოიანი გიორგი კარპეს ძე, უპარტიო, საქმის-წარმოებელი დაბადებული 1896 წელში, დაბა საჩხერეში მცხოვრები (შორაპნის მაზრა) ამ ჟამად მცხოვრები ქალ. თბილისში. 7. გელოვანი ანდრო ანდრიას ძე ინტელიგენტი, ამავე სკოლის პოლიტ-მასწავლებელი ა. ლ. კ. კ. წევრი 1924 წლიდან, მცხ. ლეჩხუმის მაზრა სოფ. ლაჯანაში. 8. სირაძე ივანე ნესტორის ძე, უპარტიო, კურსანტი, მცხ. ქალ. თბილისში. თუ ვინმემ რაიმე იცით უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ ზემოაღნიშნულ სკოლის მე-2-ე კომუჯრედის პრეზიდიუმში ათი დღის განმავლობაში.

№ 2 კომუჯრედის პრეზიდიუმი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იტყობინება, რომ ა/წ. 1 მარტს ორშაბათს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის ქართულ და რუსულ იურიდიულ სექციების სხდომა.

აუცილებლად და დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ ყველა დელეგატი ქალები, რომელნიც ჩაწერილნი არიან იურიდიულ სექციაში.

მდივანის მაგიერ წითლიძე.

ლენინის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა მომუშავე განყოფილება იტყობინება რომ პირველ მარტს საღამოს 5 ს. შესდგება მეცადინეობა შემდეგ სექციების: კოოპერატიული, იურიდ. და პროფესიონალური ქართულ ენაზე, რკინისგზის საბავშვო კერაში № 3 (მაგისტრალის ქუჩა № 19).

განყოფილების გამგე: კუკაჩეიშვილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ თანახმად რაიკომის მოთხოვნილებისა ა/წ. 1 ლ მარტიდან 4 მარტამდე იწარმოებს კომუჯრედების წევრთა და კანდიდატთა ახალი აღრიცხვა.

აღრიცხვა იწარმოებს აღმასბიუროს ოთახში შემდეგ დღეებში:

1 და 2 მარტს დილის 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

უნდა გამოცხადდეს სოც-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ უჯრედის წევრები.

3 მარტს იმავე საათებში საექიმო, აგრონომიული და ქიმიო-ფარმაცევტიულ ფაკ. არსებული უჯრედების წევრები.

4 მარტს იმავე საათებში პედაგოგიური და პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებულ უჯრედის წევრები. ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ დღეებში მათი სია გადაეგზავნება რაიკომს.

ორშაბათს, 1 მარტს, სრულ 6 საათზე, მილიციის ცენტრალურ კულტ-კუთხეში (განოვის 7) შესდგება კონფერენცია მ/გ, მილიციის თანამშრომელთა აქტივისა. კონფერენციას უნდა დაესწრონ: ბიურო-კოლექტივის წევრები, ყველა მილიციის კომუჯრედთა, ბიუროების წევრები, მილიციის უფროსები (მხოლოდ კომუნისტები) დაწყებული ადმინგანის უფროსიდან, რაიონების უფროსებით და თანაშემწეებამდე.

ორშაბათს, 1 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას ბინაში მუშიშვილის კაბინეტში ოთახი № 17 დანიშნულია

საქ. რემედას-ის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: 1. ჩოდრიშვილი, 2. ჯიჯაძე, 3. მუშიშვილი, 4. რცხაძე ავთანდილ, 5. ზაქა. 6. ჯ.იანი, 7. [illegible], 8. ბელიაევი. 9. ხაჩანოვი, 10. ატაზეგოვი ტუმას, 11. ნუცუბიძე, 12. ნაცვლიშვილი, 13. არაზაშვილი.

საქ. რემ. ცეკას საორგ. გა. ყ. გამგე: კიზირია.

განცხადებები

სოსიკო და ანიკო მერკვილაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უსაყვარლესის ერთად-ერთი დისა და მულის

მაკრინე მერკვილაძის ასულის გუგუაშვილის (მაჭავარიანის)

სულის მოსახსენებლად, დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ბაშვეთის წ. და გიორგის ეკლესიაში კვირას, 28 თებერვალს. წირვა დაიწყება ჩვეულებრივად, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 2—2 1661

ღრმა მწუხარებით [illegible] ასული, შვილები: დავით, გრიგოლი (გიგუცი), ნიკოლოზ (ნიკუშა) და ნუკა, რძალი ლუბა დიმიტრის ასული და შვილის შვილები გოგონიკა და ირა [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ქ. ფოთში გარდაიცვალა ხანძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი [illegible]

სტეფანე დავითისძე გამუა

დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში კვირას, 28 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2—2 1671

[illegible] კვამლი, გ[illegible] შურა დუდუჩავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი დისა და დედის

მაშიკო დუმბაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას 12 საათზე ბინიდან ლორის-მელიქოვის ქ. № 11 დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2—2 ნ. 833

დამ უხრეულ გრიგოლ გრიშა, ამ[illegible] ძე დუმბაძე აუწყებს ნაცნობ-ნათესავ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ახალგაზრდა მეუღლე

მარიამ (მაშიკო) სიმონის ასული იორაშვილი—დუმბაძე

დაკრძალვა: ქ. თბილისში, ნიკოლოზის სასაფლაოზე, 28 თებერვალს კვირას, 12 საათზე. გამოსვენება: ელბაქიძის ქუჩა (ლორის-მელიქოვის), № 11 1670 2—2

გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ—დედა მართა, ძმა ვასილ ამბაკოს ძე დუმბაძე, მეუღლე ვერა, დებით: ეკატო, ანთონ, ანეტა, მაშა, თინა[illegible] შვილებით: სიძეებით: ლეკვინაძე, [illegible], ლოლუა და ბორჩაძე, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ათ ძვირფასი დაუვიწყარი საყვარელი [illegible]

მარიამ (მაშიკო) სიმონის ასული იორაშვილი—დუმბაძისა

დაკრძალვა ოხდება 28 თებერვალს, დღით კვირას, 12 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე თბილისში, გამოსვენება: კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის მელიქოვის) სახ. № 11. 2 2 1674

გულდაწვავი და სულიერად დაობლებული მეუღლე ლიზა, ძმა გიორგი, ძმისწული ოლღა ჯაფარიძეები, წუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დღეს, 23 თებერვალს სრულდება ნახევარი წელი, რაც გარდაიცვალა

სერგო (ვარდენ) ქაიხოსროს-ძე ჯაფარიძე

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე დილის 11 საათზე 16-1 1—1

თბილისის კომუნალური ბანკის გამგეობის

განცხადებაში რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტი"-ს 1926 წ. 2 თებერვლის № 46 1101 ნომერში

შეპარულია შემდეგი შეცდომები

სვეტი:	№ რიგზე	დაბეჭდილია	უნდა იყოს:
1	12	გ დას. 68 მ.	გადას. 168 მ.
2	23	არსენალის ქ.	არსენას ქუჩაზე
2	26	საურკვევლია	თამარ
3	36	მურადოვების	ნუ წაიკითხავთ
3	33	ბოკუჭავას	ბოკუჩავას
3	44	ამახას, ალევან	ამაზა პ, ლევან
4	45	ძ რ. ვ. 290 მ. 74 კ.	ძირ. ვ. 299 მ. 74 კ.
4	52	ძირ. ვ. 904 მ. 29 კ.	ძირ. ვ. 904 მ. 99 კ.
4	58	ჩიტელაშვილის ქ.	ტროცკის ქ.
4	62	გადას. 2-1 მ. 10 კ.	გადას. 201 მ.
4	64	ლო ვსკისა	კოსსოვსკისა
5	68	ვართანის	ვართ ნ
6	97	შეკსკის	შეფის
7	108	ციციშვილის	მოთავსდ ს ქ. ცხინვალის მამულებში და არა ხაშურის
8	170	ხახუდაშვილი	ხახუტაშვილი
6,7,8		ყოფილ ქუთაისის საად.-მამულო ბანკში დაგირავებული ქ ლ თბილისში მდებარე მამულები.	ყოფილ ქუთაისის საად. მამულო ბანკში დაგირავებული ქ. თბილისში მდებარე მამულები

საიპოთეკო განყ. მდივანი (ხელმოწერილია).

ნ. 843 1—1

აპოლო არტისტო სოლეი

0—10 ნ. 785

„ინდოეთის აკლდამა"

უკანასკნელ ორ დღეს,—დღეს და ხვალ

უკანასკნელი მე-3 და 4 სერიები

ანონსი სამშაბათიდან, 2 მარტიდან, ანონსი

„კინი"

მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

ორშაბათიდან 1 მარტიდან გრძელდება ჩვენება მესამე კვირაში

1 და 2 სერია ერთად

მსოფლიო შედევრის

„ნიბელუნგები"

იჩქარეთ ნახვა

ხვალიდან, ორშაბათიდან, 1 მარტიდან გრძელდება

მსოფლიო შედევრის

„ნიბელუნგები"-ს

ჩვენება მესამე კვირაში

1 და 2 სერია ერთად

კინო-თეატრებში:

„არფისტო" და „სოლეი"-ში

არაჩვეულებრივი სანახეობა!!!

იჩქარეთ ნახვა!!!

ნ 842

საჭიროა ბუღალტერი

ანგარიშწარმოების მცოდნე

(სხვაგან გასაგზავნად)

მიმართეთ

ლითონის ტრესტს

საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩა, № 114, ტრესტის მთავარ ბუღალტერს ამხ. საკსოგანსკის.

ნ. 838 2—1

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი იწვევს ექიმების და ექიმების თანაშემწე მეან-ქალებს თავის ახლად გახსნილ საექიმო პუნქტებისათვის

აჭარის წყალზე (აჭარისტანი)

ანაკლიაში (ზუგ. მაზრა)

სოფელ უდეში (ახალციხის მაზრა)

ახალი გავაზში (თელავის მაზრა) და თელავში

მაწანწარის საექიმო პუნქტისათვის

ექიმებს მიეცემათ თვიურ ხელფასად 120 მან. სტაჟის მიხედვით, ექიმის თანაშემწე მეან ქალებს 58 მან. 80 კაპ. სასურველია ქართული ენის ცოდნა თხოვნები მიიღება წითელი ჯვრის სამკურნალო განყოფილებაში ლენინის ქ. № 60.

3—3 810 საქ. წით. ჯვრის კომიტეტი.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ლითონის ტრესტი

ამხ. სტალინის სახელობის

ავტო-სახელოსნო

კლარა ცეტკინის ქ. № 119, ტელ. 20—97

აწარმოებს

ავტომობილების, მოტოციკლეტების, ტრაქტორების, აკუმულიატორების

და სხვა ელექტრო-ტეხნიკურ ხელსაწყოების შეკეთებას

ჰყიდის ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ყოველგვარ სისტემის ავტო-ნაწილებს.

0—8 ნ. 709

ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

მედსანშრომის პროფკავშირის საქ. ც. გ.

ამით აცხადებს კავშირის უმუშევარ წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 1-დან 6 მარტამდე კავშირის ბინაზე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე

იწარმოებს კავშირის უმუშევარ წევრთა აღრიცხვა

ყველა უმუშევარი გამოცხადება სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში მექანიკურად გამოირიცხებიან კავშირის წევრთა რიგებიდან.

1687 1—1 ცენტრალური გამგეობა.

С 1 МАРТА

поступают в продажу пиво

Завода „БАВАРИЯ"

Мюнхенское и Пильзенское, изготовляемые из лучшаго солода и культурнаго хмеля.

На должность главнаго пивовара приглашен

Герман Августович БАЗЕНЕР

АДМИНИСТРАЦИЯ.

3-2 Б. 832

ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სას. აღმასრულებელი ვლადიმერ კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 6 მარტს 1926 წ. დილის 11 საათზე ქალ. ქუთაისის ი. ჩ-გ-ვ-ძის ქუჩაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გაიყიდება გიგო და ივანე გლახუ ს ძეები ცანავების ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს ხუთს საცხოვრებელ ოთახს სამხრეთით და ჩრდილოეთის მხრით აივნით და ქვის კიბეებით, დახურული კრამიტით, აგებული საეზოვე მიწაზე, მდებარე აძავე ჩოაავაძის ქუჩ. ზომით მიწა 900 კვადრატიული საქვეი დაფასებული ათას მანეთათ. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილების და სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების დს. ვალის დასაკმაყოფილებლად ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამას თერთმეტი და 312 მუხ. სამოქ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. სახლის მყიდველზე გადადა მიწა თანახმად 1½ აპრილის 1923 წლის მე-18 მუხ. დებულების. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სამართლოში. 1—1 ნ 840

ქალ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 5 მარტს, დილის 11 საათზე ადოლფის ასულის პონომარენკოს ბინაზე ელისაბედის ქუჩ. № 34 საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ოფენბახერის ფაბრიკის პიანინო, რომელიც აწერილია პონომარენკოსაგან ალებულ ვალის გასასტუმრებლად და შეფასებულია 460 მან. 1—1 ქ. 1680

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ 3 მარტს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 31 პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იოსებ და ასიახა ლაროვების მოძრავ ქონებას: ოქროს ფუთ ბაზარს შეფასებულს 120 მანეთად, ილარიონ გაგუას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 12 თებერვალს 1926 წ. თარიღით, № 528 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნის. 839—1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ 6 მარტს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 15 კათოლიკეთა ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის არაკა ალაჯანიანცის მოძრავ ქონებას: ერთი ბუფეტის შკაფს და სხვ. შეფასებულს 54 მანეთად, ივანე ანდრონიკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საპინაო სახალხო სასამართლოსაგან 13 ნოემბრის 1926 წ. თარიღით, № 4209 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1684—1—1

ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა/წ. 4 მარტს დღის 2 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გიორგი ტერ ჯანანცს და იმყოფება მე-5 მილიციის უბ. უსპენსკი ქ. № 5 და შესდგება ბინის მოწყობილობიდან, როგორც არის: სკამებ, მაგიდები, ხალები და სხვა. შეფასებულია 125 მან. რა შეფასებიდან ც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ქონება აწერილია მერაფ ერისსონის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 5 თებერვლის 1926 წ. თარიღით № 179 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემონაჩვენებ მის მართზე, სადაც შეუძლიანთ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს.

1688—1—1

სურენ იაკობის ძე ჯანოევს

მიზანი არის გიორგის ძე ზაუტაშვილი გიდი შენობას, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში მე-12 სამილიციო უბანში და რომელშიაც ერთი მეთექვსმეტედი ნაწილში მოადგილე ხართ თქვენ; თუ გსურთ ისარგებლოთ თქვენი უფლებით, რაც გათვალისწინებულია სამ. სამ. კოდექსის 64 მუხლში, გთხოვთ მობრძანდეთ აწ წლის 1 მარტს შუადღის 12 საათზე მე-5 სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, განოვის ქ. სახ. № 7, ნასყიდობის ხელშეკრულების შესასრულებლად, აღნიშნულ შენობაზე:

1685 1—1

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 8 დეკრეტის 62 მუხლისა ქ. თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების მოქ. მდგომ. აქტ. ჩამ. (მმ. ჩის) ბიურო აცხადებს, რომ

მოქ. იოსებ ვლადიმერის ძე კოგანოვმა

შემოიტანა განცხადება მისი გვარის „კოგანოვი"-ს „ნახუცრიშვილი"-თ შეცვლის შესახებ.

საერთო საადმინისტრ. ქ/განყ. უფროსი კიღურაძე.

მ. მ. ა. ჩ. ბიუროს გამგე შარაძენიძე.

1—1 1683

დაჰკარგე კავშირის წიგნაკი № 429 და პირადობის მოწმობა ივანე ანტონის ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1686

დაჰკარგე თბილისის ლომბარდის ქვითარი № 17013, ჩ. გ. 1—1 1682

დაჰკარგე რკინისგზის სამმართველოდან მიღებული პირადობის მოწმობა № 35064 ბაბილინა ბებიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1497

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 482 ივანე ფილიპეს ძე ფირცხალაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 841

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"


АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН-МОСКВА" в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ ВНУТРИ КОРОБКИ

ავადმყოფობათა წამლობა

პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის ხედვით.

„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან".

„გალენ-მოსკოვის" კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევროსტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარ სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა. ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებას პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН МОСКВА" в МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება 25 პროც. კორესპონდენცია და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის" ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. **адресь:** Зак. представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Караван. Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва" Москва ул. Герцена № 5 отд 3 Б. 425 0—22.

ტირაჟი — 52.822

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68